While investigating traffic accidents, how the circumstance evolved and from what reasoned parameters the accident avoidance depends, experts use existing methods, empirical formulas and rely on the materials obtained as a result of the investigation. An expert study conducted on the basis of the above mentioned materials approximately describes the previous state of the achieved result.

We believe that in this study it is important to describe more specifically the received investigation of a traffic accident with the help of using computer simulation materials, where the participants of the event move. This kind of method has not been used yet.



**ნავთობპროდუქტების „სასიცოცხლო ციკლის“ ანალიზი და დანაკარგების შემცირების
ეკოლოგიურ - ეკონომიკური ასპექტები**

სტუდენტები ილია ხუციშვილი, გიორგი კაცაძე
სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი,
ბაკალავრიატი, III კურსი, ჯგუფი 151404

ხელმძღვანელი ხათუნა მღებრიშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს ასოცირებული
პროფესორი

პლანეტა დედამიწაზე ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე თხევადი ნივთიერებაა: წყალი და ნავთობი. ნავთობმა კი ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის (მათ შორის თანამედროვე ტრანსპორტის) შექმნასა და განვითარებაში. ნავთობპროდუქტებით გარემოს გაჭუჭყიანების ხარისხი, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია მათი შენახვის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილობისა და ორგანიზაციისაგან; საავტომობილო ცისტერნა, რომლიდანაც ხდება ნავთობპროდუქტის ჩასხმა რეზერვუარში, საიმედოდ უნდა იყოს დამიწებული; დამიწების გარეშე ბენზინის ჩამოსხმა ცისტერნიდან არ შეიძლება. აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლითონის ნაწილებიდან დადებითი მუხტის მიწაზე გადაცემა, რაც დამიწებით ხორციელდება. ნავთობპროდუქტების დანაკარგებით გამოწვეული ფრიად არასასურველი ძირითადი შედეგებია: ეკოლოგიური სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუარესებისა და დიდი ეკონომიკური ზარალის შემცირების მიზნით აუცილებელია განსაკუთრებული სიმკაცრით იქნეს დაცული შესაბამისი სტანდარტებით დადგენილი წესები და მოთხოვნები მათი (ნავთობპროდუქტების) მთელი „სასიცოცხლო ციკლის“ განმავლობაში.

**ANALYSIS OF OIL PRODUCT „LIFE CYCLE“ AND ECOLOGICAL - ECONOMIC ASPECTS OF
LOSS REDUCTION**

Students Ilia Khutsishvili, Giorgi Katsadze
GTU, Faculty of Transportation and Mechanical engineering,
Bachelor, III year, 151404 group

Head Khatuna Mgebrishvili
Doctor of technical candidate,
Associate Professor of GTU

Planet Earth is two of the most important liquid substances in the world: water and oil. Oil is one of the most important. Played a role in the creation and development of many branches of the public sector (including modern transport). Quality of pollution by oil products, in all concrete cases, depends on the perfection of the technological processes of their storage and the organization; A motor cistern from which the oil pipeline is stored in the reservoir must be reliably grounded; Without grounding, petrol can not be from the cistern. In order to avoid this event, it is necessary to transfer the positive charge from the parts of the metal to the ground, which is carried out by me. The major undesirable main consequences of the loss of oil products: for the significant deterioration of ecological situation and the reduction of large economic damage, it is essential to ensure that the rules and requirements set out in the relevant standards are protected by the whole "life cycle" of their (oil products) During.



სატრანსპორტო ლოგისტიკის ეკონომიკური
მაჩვენებლების ოპტიმიზირება

სტუდენტი	ნიკიტა ვორონოვი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი ბაკალავრიატი, III კურსი
ხელმძღვანელი	ნინო თოფურია ასოცირებული პროფესორი

ლოგისტიკური პროცესების მართვა თავის მიზნად ისახავს ეფექტურობის ამაღლებას ლოგისტიკურ სისტემაში. ამ მიზნის მიღწევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვას, საბუღალტრო აღრიცხვას და ლოგისტიკური დანახარჯების შემცირებას. ამ ხარჯების წილი საერთო დანახარჯებში მნიშვნელოვანია და სხვადასხვა ქვეყნებში მერყეობს 11% - 35%-მდე. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ამ წილის 1%-ით შემცირება 10%-მდე ზრდის პროდუქციის გაყიდვებს. მონაცემების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს სატრანსპორტო მომსახურებაზე გაწეულ ლაზარებს. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მოგების ნორმის კოეფიციენტის განსაზღვრა, რომელიც აფასებს ტვირთმომრავლის ეფექტურობას შესაბამის ლოგისტიკურ არხში.

Optimization ekonomicheskikh of indicators
of transport logistics

Student	Nikita Voronov GTU, Faculty of Transport and Mechanical Engineering, Bachelor, Course III
Head	Nino Topuria Associated Professor

Managements of logistic processes of the direction on increase in system effectiveness of logistics. To achieve it, the account and logistic expenses is of great importance planning. The share of expenses from joint costs, is important. These expenses in the different countries fluctuates from 11% - 35%. As practice shows, the share of reduction of costs of 1%, increases the sales volume of production of nearly 10%. According to the data, the first place is occupied by the costs of transport logistics. Therefore it is important to define profit coefficient in the channel of logistics which estimates efficiency of merchandising.



ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა შეჯახების მომენტში

სტუდენტი	ნიკოლოზ ტიტვინიძე სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, II კურსი
ხელმძღვანელი	ვალერიან ხარიტონაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

განხილულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ექსპერტიზის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა - შეჯახებამდე ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრის მეთოდები და დასაბუთებულია, რომ არსებული მეთოდების გამოყენებით შეუძლებელია საკმარისის სიზუსტით განსაზღვროს შეჯახების მომენტში ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის შემოთავაზებულია ავტომობილის შეჯახების მომენტში საშტატო სპიდომეტრის ისრის დაფიქსირება უძრავ მდგომარეობაში, შემდეგ სპიდომეტრის ჩვენების სიზუსტის შედარება ეტალონური სპიდომეტრის ჩვენებასთან და კორექტირებული ფაქტობრივი მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრის მეთოდი და მოწყობილობა ამ მეთოდის განხორციელებისათვისა.

Determination of speed of the movement of the car at the time of crash

Student	Nikoloz Titvinidze GTU, TRANSPORT AND MACHINEBUILDING Faculty, Bachelor, Course –II
Head	Valerian Kharitoashvili Doctor of technical sciences, professor

Methods of determination of exact speed of the car at the time of crash the being one of the main problems of examination of a road and transport proyshestviye are considered and it is proved that when using of the existing methods it is impossible with a sufficient accuracy to determine the speed of the movement of the car at crash. For the solution of this problem the method of fixing of an arrow of a speedometer in a nepodvzhny state is offered, then to compare the accuracy of the indication of a speedometer with the indication of a reference speedometer and to define corrected actual the speed of the movement, is offered also the device for implementation of a method.



**ავტოსატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭების სიგნალის გავლენა
მომრავის უსაფრთხოებაზე**

სტუდენტი	პაატა ჭანია სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, II კურსი
ხელმძღვანელი	ვალერიან ხარიტონაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

განხილულია ავტოსატრანსპორტო საშუალების დამუხრუჭების სიგნალის გავლენა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე, დასაბუთებულია დამუხრუჭების სიგნალის ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა არა მხოლოდ მისი საიმედოობის გაზრდით, არამედ ახალი ტექნიკური გადაწყვეტით, კერძოდ საშუალო სისტემის სასიგნალო მოწყობილობის ელექტრულ სქემაში დარეზერვების გამოყენებით, შემოთავაზებულია სასიგნალო მოწყობილობის ელექტრული სქემა.

Impact Brake on road safety vehicles

Student	Paata Chania GTU, TRANSPORT AND MACHINEBUILDING Faculty, Bachelor, Course –IV
Head	Valerian Kharitoashvili Doctor of technical sciences, professor

The effect of the braking signal of the vehicle on the safety of its movement. The possibility of increasing the efficiency of the braking signal, not only prvysnieniem its reliability, but also a new technical solution, in particular the introduction of an electrical circuit Brake redundant circuitry suggested signaling device



საქართველოს საგზაო ქსელში შეფერხებების ანალიზი

სტუდენტი	ბელა დედანაშვილი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მაგისტრატურა, მე-II კურსი
ხელმძღვანელები	ვალერიან ხარიტონაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გელაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოცემულია შსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სატრანსპორტო-საგზაო ქსელში შეფერხებების შემცირების არსებული მეთოდების ანალიზი და სატრანსპორტო შეფერხებების თეორიული კვლევის საფუძველზე დამუშავებული ჩახერგების კლასიფიკაცია და საცობის ცნებები, საქართველოში სატრანსპორტო ჩახერგების ძირითადი მიზეზები, რაც საშუალებას იძლევა დამუშავებულ იქნეს საგზაო-სატრანსპორტო შეფერხებების შემცირების ღონისძიებები, რომელთა თეორიული განზოგადება შეიძლება საფუძვლად დაედოს სატრანსპორტო ნაკადების რაციონალური მართვის და ინფრასტრუქტურის განვითარების ნორმატიული აქტების სრულყოფასა და დამუშავებას.

Analysis of traffic congestion in the road network of Georgia

Student	Bela Dedanashvili GTU, TRANSPORT AND MACHINEBUILDING Faculty, Master, Course -II
Heads	Valerian Kharitoashvili Doctor of technical sciences, professor Otar Gelashvili Doctor of technical sciences, professor

The analysis of the delay reduction methods in the road network razvytiy countries, the theoretical basis of transport costs, classification of traffic congestion, the notion of congestion and traffic jams, the main causes of traffic congestion in Georgia, which makes it possible to develop measures to reduce transport costs, on the basis of which it is possible to improve and to develop appropriate regulatory acti.



მსუბუქი ავტომობილის ტონირებული მინების გავლენა მოძრაობის უსაფრთხოებაზე

სტუდენტი	ნინო ჭიჭინაძე სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, დოქტორანტურა, მე-III კურსი
ხელმძღვანელები	ვალერიან ხარიტონაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი აბრამიშვილი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ავტომობილის ტონირებული მინების ომპლექსურად განხილვის შედეგად დასბუთებულია, რომ მინების ტონირება წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, რომელიც საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობას, განსაკუთრებით „მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ექსპლუატაციისას და შესაბამისად საჭირო ხდება საკანონმდებლო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. ავტომობილის დამაზადებლის მიერ დადგენილი შეუქამტარობის ნორმები არ უნდა შეიცვალოს ეროვნული საკანონმდებლო ნორმებით. კვლევის შედეგები შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებულ იქნეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების საექსპერტო კვლევისას მძღოლის მიერ დროული ზომების მიღება/მიუღებლობაზე შემთხვევის თავიდან აცილებისათვის.

INFLUENCE TINTING CAR WINDOWS AT TRAFFIK SAFETY

Student	Nino Chichinadze GTU, TRANSPORT AND MACHINEBUILDING Faculty, PhD, Course -III
Heads	Valerian Kharitoashvili Doctor of technical sciences, professor Giorgi Abramishvili Doctor of technical sciences, professor

As a result of a comprehensive analysis of tinting car windows proved that toning is a global problem, which leads to the danger of traffic (especially when driving "right-hand drive cars), and accordingly, put the need for legislative action. The rules established by the vehicle manufacturer of light transmission should not be corrected by national regulations. The findings can also be used in the examination of traffic proysshestvii when considering the adoption / rejection of the driver timely measures to prevent proysshestvii.



სარკინიგზო ტრანსპორტის სექცია

სარკინიგზო სამრეწველო მახარისხებელი სადგურის მუშაობის ინტენსიფიკაცია

სტუდენტი გიორგი დიდიძე
სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
ბაკალავრიატი IV კურსი, ჯგ. 151301

ხელმძღვანელი გრიგოლ თელია
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომში გაანალიზებულია არსებული სამრეწველო მახარისხებელი სადგურების სქემები და მუშაობის ტექნოლოგია, გამოვლენილია სიმწეობები მათ მუშაობაში და შემოთავაზებულია სამრეწველო მახარისხებელი სადგურის პროგრესული სქემა რკინიგზების ექსპლუატაციის თანამედროვე პირობებისათვის; მოცემულია აღნიშნული სადგურის ძირითადი პარკების სასარგებლო სიგრძეებისა და მთლიანად სადგურის მწარმოებლობის (გადამუშავების უნარის) გაანგარიშების დაზუსტებული მეთოდიკა სხვადასხვა პირობებისათვის; განხილულია სადგურის მუშაობის ტექნოლოგიის სრულყოფის ეფექტური მეთოდები.

INTENSIFICATION OF RAILWAY MARSHALING YARD OPERATION

Student Giorgi Dididze
GTU, Transportation and Mechanical Engineering
BA, IV course, gr. 151301.

Head Grigol Telia
Candidate of Technical Sciences, Associate Professor of GTU.

In the works are analyzed the existing marshaling yards schemes and operation technology, are revealed problems in its operation and is proposed the progressive scheme of industrial marshaling yard for operation in modern conditions; is stated refined methodology of calculation of mentioned yards basic fleets useful lengths and total station capacity (hauling ability) for various conditions; are considered the effective methods for perfection of station operation technology



ოპტიკურ-ბოჭკოვანი სარელსო წრედები

სტუდენტი	გრიგორ მოისევი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მესამე კურსი
ხელმძღვანელი	ნიკოლოზ მღებრიშვილი- პროფესორი.

მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს რელსი-გოგორწყვილის ურთიერთმოქმედების მონიტორინგი და მისი არასასურველი შედეგების დროული გამოვლენა. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშ ობიექტს წარმოადგენს გადასარბენები. მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოებისა და მართვის საინფორმაციო სისტემის სრულყოფის გზაზე ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობების მომავლის მიღწევად მიგვაჩნია ახალი ტიპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი სარელსო წრედების მოწყობა რელსზე მჭიდროდ მიკრული ბოჭკოვან - ოპტიკური კაბელის გამოყენებით. შემუშავებული ახალი ინოვაციური სისტემა საშუალებას იძლევა:

- განისაზღვროს მოძრავ შემადგენლობაში გაცვეთილი ან დაზიანებული გოგორწყვილი;
- შემადგენლობი სმიერ გადასარბენის დაკავების უმეტესო განსაზღვრა;
- შემადგენლობის მიერ გადასარბენის დაკავების ზუსტი მდებარეობის დადგენა;
- განისაზღვროს გაცვეთილი ან დაზიანებული რელსის ადგილი (რელსი);

The optical-fiber rail circuits

Student	Grigor Moiseev Bachelor faculty of Transportation and Mechanical Engineering of GTU, Third course.
Head	Nikoloz Mgebrishvili- Professor

One of the basic problem of the railway traffic safety is a monitoring of the rail/wheel-set interaction and timely detection of its undesirable results.

In this respect the spans are especially dangerous objects.

Arrangement of the optical-fiber rail circuits of new type on the rail with the use of the tightly attached fiber-optical cable, we consider as an achievement of future of the devices of automatics and telemechanics on the way of perfection of the traffic safety and information controlling system of trains. The project aim is elaboration of a new innovative system, with the help of which will be possible to:

- detect out or damaged wheel-set in the rolling stock;
- detect without fail occupation of the span by the rolling stock;
- ascertain precise location of occupation of the span by the rolling stock;
- determine a place of the worn out or damaged rail (rail);



სავაგონო დეპოს ავტომატიზირებული დაგეგმარების ოპტიმიზაცია

სტუდენტი	ლევან მესხიძე სტუ, სატრანსპორტოდა მანქანათმშენებლობა ბაკალავრიატი III კურსი
ხელმძღვანელი	ზაზა მესხიძე- ასოცირებული პროფესორი

სატვირთო ვაგონების რემონტის ხარისხი, დრო და ღირებულება დიდადაა დამოკიდებული სარემონტო დეპოს ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გამართულ მუშაობაზე.

სავაგონო სარემონტო დეპოს, განსხვავებით საწარმოო დაწესებულებებისგან, ლოგისტიკურ ეკავშირე გააჩნია გაორმაგებული ფუნქცია: ერთის მხრივ ის უზრუნველყოფს სატვირთო ვაგონების გამართულ ტექნიკურ მდგომარეობასატვირთების გადასაზიდად და მეორეს მხრივ თვითონ არის ვაგონების შეკეთების საჭირო მარაგი ნაწილების, კვანძების და დეტალების მომზადებელი. ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც რთული სისტემა, რომელიც შედგება სამუშაოს ტექნოლოგიის ურთიერთდაკავშირებული და განმსაზღვრელი ელემენტებისაგან. მათი საშუალებით კი განისაზღვრება სავაგონო დეპოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

ექსპლუატაციის პროცესში ვაგონების ძირითადი უწყისვრობის კლასიფიკატორის გამოყენებით გროვდება ინფორმაცია, ელექტრონული სახით, ვაგონის ტექნიკურ მდგომარეობაზე, მსგელოლობის მარშრუტზე და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სათანადორო ნაწილებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით შეირჩევა სავაგონო დეპო.

Optimization of automation layout of Wagon's depot

Student	Levan Meskhidze GTU, Faculty of transporting and mechanical engineering Bachelor III course
Head	Zaza Meskhidze- Associated Professor

Time, cost and repair Quality of freight wagon strongly dependson repair depot's proper functionality.

Differing from manufacturing institution, in logistic chain wagon's repairing depot has doubled functionality: On the one hand, it provides roadworthy condition of freight wagon's for transportation, on the other hand it is the store for necessary details. That is why wagon's repairing depot is a hard system, containing technology defining elements for the work. These elements define working quality and quantity of wagon's repairing depot.

On the wagon's motion process information about technical condition and driving route is gained by the fault classifier and after analyzing that information, there is selected wagon's repairing depot with spare parts.



მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგის სისტემა ინტელექტუალური გადამწოდების ბაზაზე

სტუდენტი ნათია ბერაია
სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატი, მეორე კურსი

ხელმძღვანელი ნიკოლოზ მღებრიშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.

1. თანამედროვე სარკინიგზო ტელესაკომუნიკაციო სისტემების განვითარება მზარდ მოთხოვნებს აყენებს მათ წინაშე. ამ სისტემებს გააჩნიათ პერსპექტივა უზრუნველყონ არა მარტო მოძრავი შემადგენლობის დაფიქსირება მოცემულ უბანზე, არამედ უზრუნველყონ მოძრავი შემადგენლობის მონიტორინგი; ავტომატურად აწარმოონ ღერძების (გოგორწყვილების) თვლა, სიჩქარის განსაზღვრა და რკინიგზის შემადგენლობის მოძრავი ერთეულების ამოცნობა, ასევე დაზიანებული გოგორწყვილის გამოვლენა და დაზიანების ხარისხის დადგენა.

2. შემოთავაზებული სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნეს:
- გადასარბენებზე, რკინიგზის უბნების თავისუფლების კონტროლისათვის;
 - გადასარბენებზე, გოგორწყვილის მდგომარეობის (ცვეთა, დაზიანება) კონტროლისათვის;
 - დამრეც უბნებზე, უსაფრთხოების გაზრდის მიზნით შემადგენლობის მოძრაობის სიჩქარის კონტროლისათვის.
 - დამარისხებელ გორაკებზე, მოძრავი ერთეულების სიჩქარისა და რაობის კონტროლისათვის.

System of monitoring of rolling stock on the base of intellectual sensors

Student Natia Beraia
Bachelor faculty of Transportation and Mechanical Engineering of Georgian
Technical University. Second course.

Head Nikoloz Mgebrishvili
Candidate of technical science, professor

1. Development of the modern telecommunication systems is requesting rising claims to railway. These systems have the perspective to ensure not only fixation of the rolling stock on the given section but also providing its monitoring, counting the axles, automatically measuring the speed and identifying the moving units, also detection of the worn out or damaged wheel-sets and ascertainment of degree of their damage.

2. Proposed system might be used:
- on the railway spans to control vacancy of railway sections;
 - on the railway spans to control the wheel pairs' condition (wear, damage);
 - on the steep sections (on the accents and descents), to increase the safety with the help of speed control;
 - on the sorting yards, to control the speed and property of the rolling stocks.



სატვირთო ვაგონის ორღერძიანი ურიკის გორგოლაქსაკისრებიანი ბუქების გენეზისი და განვითარების პერსპექტივები

სტუდენტი	ანზორ ქართველიშვილი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მაგისტრატურა I კურსი
ხელმძღვანელი	ავთანდილ შარვაშიძე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს პროფესორი.

სატვირთო ვაგონების ტვირთაძეგობის გაზრდამ თავისთავად გამოიწვია მათი აღჭურვა ურიკებით, რომელთა შემადგენელ ძირითად კვანძსაც წარმოადგენს ბუქსა. ამ მნიშვნელოვანმა კვანძმა, რომლებიც განთავსებულნი არიან წველითვლის ღერძის ყელეების ორივე მხარეს განიცადა ხანგრძლივი გენეზისი და სარკინიგზო დარგში მომუშავე მეცნიერთა მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი ექსპერიმენტებით საბოლოოდ გადაწყდა, რომ ისინი აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ გორგოლაქიან საკისრებზე. პერიოდულად მიმდინარეობს, რა კვლევები უკანასკნელ ხანებში მსოფლიოს მასშტაბით შემუშავებულია და სერთაშორისო გადაზიდვებში დანერგილია სხვადასხვა კონსტრუქციის გორგოლაქსაკისრებიანი ბუქებზე, რომელთა შორისაც აღსანიშნავია პერსპექტიული და ყველაზე სრულყოფილი კონსტრუქციის კასეტური ბუქები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი საიმედოობით და ხანგამძლეობით ექსპლუატაციის ნებისმიერ პირობებში.

GENESIS AND DEVELOPMENT PERSPECTIVES OF FREIGHT CARRIAGES TWO-AXLE BOGIES AXLES

Student	Anzor Kartvelishvili GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering MA I course
Head	Avtandil Sharvashidze Candidate of Technical Sciences, professor of GTU.

Increasing the load capacity of the freight carriages causes their equipment by bogies, one of the main unit of that is the axle-box. This important unit that is arranged on both sides of the wheel pairs axis has long been a genesis, and with the numerous and important experiments of scientists working in the railway industry, it was decided that they should have been arranged on roller bearings. Due the periodically carried out researches has been developed worldwide in recent times and has been implemented in international traffic to create also the different types of roller bearing axle-boxes, from them most outstanding and comprehensive structures cluster axle-boxes that are characterized by high reliability and durability in the arbitrary conditions of operation.



რკინიგზის ორლიანდაგიანი ჩანართი, როგორც სიმბლავრის გაზრდის მნიშვნელოვანი რეზერვი

სტუდენტი	გიორგი ჭულუხაძე სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაგისტრატურა, II კურსი.
ხელმძღვანელი	ჯემალ მორჩილაძე საინჟინრო მეცნიერებების აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი.

სარკინიგზო ტრანსპორტის საექსპლუატაციო მუშაობაში გადაზიდვითი სიმბლავრის (გამტარ და გადაზიდვის უნარი) გაზრდას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტვირთების გადაზიდვის საქმეში. სიმბლავრის გაზრდის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას რკინიგზაზე დროის გარკვეულ პერიოდში წარმოადგენს ერთლიანდაგიან ტვირთდაძაბულ უბნებზე ორლიანდაგიანი ჩანართის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის უბანზე მატარებელთა გამტარუნარიანობას და შესაბამისად გადაზიდვის უნარსაც. ნაშრომში გაანალიზებულია ნახევრად ავტომატური და ავტომატური ზლოკირებით აღჭურვის პირობებში მატარებელთა რეგულირების ოთხივე ვარიანტი და დადგენილია, რომ ორლიანდაგიანი ჩანართით აღჭურვილ ერთლიანდაგიან უბანზე გრაფიკის პერიოდი ნახევრად ავტომატური და ავტომატური ზლოკირების შემთხვევასთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, ასევე შემოთავაზებულია გადაზიდვითი სიმბლავრის განსაზღვრის დაზუსტებული მეთოდიცა.

DOUBLE-TRACK RAILWAY INSERTION AS AN IMPORTANT RESERVE TO INCREASE CAPACITY

Student	Giorgi Chulukhadze GTU, Transportation and Mechanical Engineering MA, II course.
Head	Jemal Morchiladze PhD Engineering sciences, associate professor of GTU.

In the operating work of railway transport increasing of transportation capability (capacity and hauling ability) has of utmost significance in the transportation process. As one of an effective method to increase the capability of railway for a given period represents the construction on heavy-traffic single track line spans of double-track insertions that will significantly increase the capacity of trains traffic on span and accordingly also the hauling ability. In the work are analyzed in conditions of the equipped by semi-automatic and automatic blocking all four variants of trains regulation and is determined that on the equipped by double-track insertions single track span the schedule period in the case of semi-automatic and automatic blocking is significantly less than, as well as is proposed refined method for determination of transportation capacity



იზოთერმული სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობების ეფექტიანი გამოყენება მალეფუჭებადი ტვირთების გადაზიდვის დროს

სტუდენტი დავით გომარელი
სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი,
მაგისტრატურა I კურსი

ხელმძღვანელი ავთანდილ შარვაშიძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს პროფესორი.

მსოფლიოს მასშტაბით ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ძირითადი რგოლის, სარკინიგზო ტრანსპორტის საშუალებით უწყვეტი სამაცივრო გაყვას ლოგისტიკურ სექტორში უმნიშვნელოვანესი წილი უჭირავს სარკინიგზო იზოთერმული მოძრავი შემადგენლობებით მალეფუჭებადი ტვირთების გადაზიდვებს. რეფრიგერატორული ვაგონების გამოყენებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვისას გადაზიდვის რეჟიმის სწორად შერჩევას და იმ გარემოებას, რომ წინასწარი გაცივების ტექნიკურ-საექსპლუატაციო უპირატესობა დასაბუთებულ და განსაზღვრულ იქნეს ისეთი მეთოდებით, რომელიც დაადასტურებს მთელ რიგ ეკონომიკურ გაანგარიშებებს რაც საბოლოო შედეგში აღნიშნულ მეთოდს უფრო მისაღებს გახდის ვიდრე წინასწარ გაცივებული ხილ-ბოსტნეულის გადაზიდვა.

**EFFICIENT USE OF ISOTHERMAL RAILWAY ROLLING STOCK CARGO AT
TRANSPORTATION OF PERISHABLE GOODS**

Student David Gomareli
GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering
MA I course

Head Avtandil Sharvashidze
Candidate of technical sciences, professor of GTU.

By main components of the unified transportation system worldwide, rail transport has the most important share in continuous refrigeration chain logistics schemes in rail freight perishable goods isothermal rolling stock. At application of refrigerator rolling stock significant attention will be paid to the correct selection of transportation mode at fruit and vegetable shipping and the of the fact that the pre-cooling technical and operational advantages of a reasonable set of such methods, a number of economic calculations confirm that the final outcome of the mentioned method to accept the preliminary not cooled fruit and vegetable shipments.



**რკინიგზის ერთლიანდაგიან უზნებზე მატარებელთაშორის ინტერვალის შემცირება მოძრაობის
პაკეტური გრაფიკის დროს**

სტუდენტი	ელისო ცირდავა სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაგისტრატურა I კურსი
ხელმძღვანელი	გრიგოლ თელია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი.

მატარებელთაშორის ინტერვალის მინიმუმამდე დაყვანა პაკეტში საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზების ინტენსიფიკაცია პაკეტურობის კოეფიციენტის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განისაზღვროს ერთლიანდაგიანი ხაზის გამტარუნარიანობა პაკეტში მატარებელთაშორის მინიმალური ინტერვალის შემთხვევაში. როგორც ცნობილია, ერთლიანდაგიან რკინიგზის ხაზებს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არსებობის პირობებში შეუძლიათ გაატარონ განსაზღვრული მატარებელნაკადები. ნაშროში გაანგარიშებისა და დამოკიდებულებათა მრუდეების აგების საფუძველზე დადგინდა ერთლიანდაგიანი რკინიგზის ხაზების გამტარუნარიანობის ზრდის ზღვრები სხვადასხვა პირობებში, კერძოდ: როდესაც გამოვყენებთ შორის მანძილს 10 + 15 კმ და მოძრაობის საშუალო სიჩქარეა 60 კმ/სთ, პაკეტში მატარებელთაშორის ინტერვალის 10-დან 6 წთ-მდე შემცირება იწვევს რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობის გაზრდას 8 + 10%-ით, ხოლო პაკეტისა და შეერთებული მატარებლების კომბინირებული გატარება ზრდის გამტარუნარიანობას 12 + 15%-ით.

Reduction of interval between trains on single track railway at traffic package schedule

Student	Eliso Tsirdava GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering MA I Course
Head	Grigol Telia Candidate of Technical Sciences, Associate Professor of GTU.

Decreasing up to minimum of interval between trains in the package gives the possibility to carry out the intensification of the single track railway with taking into account of package coefficient. Depending on the above mentioned, it is advisable to determine the capability of single track line in the package in the case of minimum interval between trains. As it is known, in the single track railway lines in case of existence of relevant equipments it is possible to drive the certain train flow. Based on the calculation and construction of dependency curves in the work is determined the length limits of increasing the capability in the single track railway lines in different conditions, in particular: when the distance between the points is 10 + 15 km and the average speed of traffic is 60 km/h, in the package reduction in interval between trains from 10 up to 6 minutes causes the increase of railway by 8% +- 10%, and the combined traffic of the package and united trains increases the capacity up to 12 + 15%.



**საქართველოს რკინიგზაზე მგზავრთა მომსახურების ეფექტურობის ამაღლება
ასინქრონული ძრავებით აღჭურვილი ელექტრომატარებლებით**

სტუდენტი	თემურ ბარამიძე სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაგისტრატურა II კურსი
ხელმძღვანელები	ჯონდო სანიკიძე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში სამგზავრო მომსახურების ტრანსპორტის ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს სარკინიგზო ტრანსპორტი. საბჭოთა პერიოდში საქართველოს რკინიგზაზე მგზავრთბრუნვის მაჩვენებელი იყო რეკორდული და 1985 წლისთვის შეადგინა 2,9 მილიარდი მგზ. კმ. დღეისათვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია და შეადგენს 0,614 მილიარდ მგზ. კმ. დღეისათვის სამგზავრო მომსახურებაში საბჭოთა კავშირის დროინდელი სქემა და მატერიალური საშუალებები უნდა ჩანაცვლდეს ელექტრომატარებლებით, რაც მნიშვნელოვნად გაზარდის მგზავრთა მომსახურების ხარისხს და ამასთანავე ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებს სვლის დროებს და სამგზავრო მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს.

Improvement of passenger service efficiency on the Georgian Railway by equipped with asynchronous motors electric train

Student	Temur Baramidze GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering MA II course
Head	Jondo Sanikidze Candidate of Technical Sciences, Associate Professor of GTU

Currently in Georgia as well as in many countries worldwide railroad transport represents one of the main modes of transportation services. During the Soviet period, the Georgian Railway passenger turnover was record-breaking, and by 1985 it reaches up to 2.9 billion passenger km. At present, this indicator is reduced and makes 0.614 billion passenger km. Recently, the Soviet Union's schedule and material means should be replaced with electric trains, which will significantly increase the quality of passenger services and will significantly reduce expenses on travel and travel time.



მომრავ შემადგენლობათა გამოყენების გაუმჯობესება

სტუდენტი	თემურ სილაგაძე სტუ, სატრანსპორტო დამანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაგისტრატურა I კურსი, ჯგ. 251658
ხელმძღვანელი	ზაზა მესხიძე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

სარკინიგზო ტრანსპორტზე დამკვიდრდა მნიშვნელოვანი ტერმინი – რკინიგზის ხაზის გადაზიდვითი სიმძლავრე. ეს არის ხაზის გადაზიდვის უნარი, რომელიც დადგინდება რკინიგზის ცვალებად მოწყობილობათა მიხედვით – განსაკუთრებით სამატარებლო ლოკომოტივებისა და სატვირთო ვაგონების მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მატარებელთა წევითი მომსახურების სისტემის სრულყოფა – განვითარებას, რაც ამავე დროს აუმჯობესებს მომრავ შემადგენლობის გამოყენებას და უზრუნველყოფს სალოკომოტივო პარკის შემცირებას. მუშაობის დროის სადღეღამისო ბიუჯეტიდან ლოკომოტივები დაახლოებით 12% – იმყოფება შუალედურ სადგურებზე სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაყოვნებების გამო. საექსპლუატაციო ხარჯთა შემცირება კი საბოლოო შედეგში ხელს უწყობს გადაზიდვის თვითღირებულების შემცირებას, მცირდება აგრეთვე სალოკომოტივო პარკისათვის საჭირო კაპიტალ დაზანდებანი, ვინაიდან უმჯობესდება ლოკომოტივთა გამოყენება.

აღნიშნული საკითხების მიზანდასახული და ეფექტიანი გადაჭრა და რაციონალური დარეგულირება ხელს უწყობს სარკინიგზო ტრანსპორტის მაღალმწარმოებლური მუშაობის მტკიცე ბაზის შექმნას.

IMPROVEMENT IN ROLLING STOCK APPLICATION

Student	Temur Silagadze GTU, Transportation and Mechanical Engineering MA, I course, gr. 251658.
Head	Zaza Meskhidze Candidate of Technical Sciences, Associate Professor of GTU

In the railway transport has established an important term - railway line shipping capacity. This is the carrying ability of line, which will be determined by the variable devices of the railway, especially due train locomotives and freight carriages. The main place is the improvement- development of train traction service system, which at the same time improves the application of rolling stock and ensures the reduction of the locomotives fleet. At operation from daily time budget locomotives approximately 12% are on the intermediate stations due to causes due to various reasons delays. Reduction in operational expenses in the final promotes to reduction in the prime cost of transportation, as well as decreases the capital investments required for the locomotives fleet, as is improved the application of locomotives.

The purposeful and effective solution of these issues and rational regulation facilitates the creation of a strong base of high-performance railroad transport.



რკინიგზის მახარისხებელ სადგურთა მუშაობის ინტენსიფიკაცია

სტუდენტი	თენგიზ მიქაძე სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მაგისტრატურა I კურსი.
ხელმძღვანელები	ავთანდილ შარვაშიძე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს პროფესორი. გრიგოლ თელია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი.

რკინიგზის სადგურთა შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევიან მახარისხებელი სადგურები, რომლებიც მასობრივად ახორციელებენ სატვირთო მატარებელთა განფორმირება-ფორმირების ოპერაციებს.

არსებულ მახარისხებელ სადგურებზე გაძნელებულია მრავალჯგუფიანი მატარებლების ფორმირება და ადგილობრივი ვაგონაკადის გადამუშავება, რადგან მათზე არაა გათვალისწინებული დამატებითი სპეციალური სამანევრო მოწყობილობანი, რომლებიც მნიშვნელოვნად დააჩქარებს აღნიშნული კატეგორიის მატარებლების ფორმირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომში გაანალიზებულია არსებული მახარისხებელი სადგურების მუშაობის ტექნოლოგიები და სქემები და შემოთავაზებულია კონკრეტული ეფექტური ღონისძიებები მათი მწარმოებლობის ასამაღლებლად, დამუშავებულია მძლავრი მახარისხებელი სადგურის პროგრესული სქემა, რომელიც უზრუნველყოფს სადგურის გადამუშავების უნარის ამაღლებას 15 ÷ 20%-ით.

INTENSIFICATION OF RAILWAY MARSHALLING YARDS OPERATION

Student	Tengiz Mikadze GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering MA I Course
Heads	Avtandil Sharvashidze Candidate of Technical Sciences, professor of GTU. Grigol Telia Candidate of Technical Sciences, Associate Professor of GTU.

Among the railway stations due their importance are outlined marshalling yards that are carrying out freight trains make-up and break-up operations.

On the existing marshalling yard are complicated the make-up of multi-group trains and processing of local carriages traffic because on them are not provided additional special shunting equipments that significantly accelerate the make-up of these categories trains.

Based on the above mentioned in the work are analyzed the technologies and schemes of existing marshalling yards and are proposed specific effective measures to increase their productivity. The progressive scheme of a powerful marshalling yard is developed to increase the capacity of station up to 15 + 20%.



**მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომაგვლების სხვადასხვა სისტემის ელექტრული ამრავების
მუშაობის საწინააღმდეგო თვისებები**

სტუდენტი ირაკლი ზარკუა
სტუდ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
მაგისტრატურა I კურსი

ხელმძღვანელები ჯონდო სანიკიძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი
სერგო კარიპიდისი- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომაგვლებზე გამოყენებული მიმდევრობითი, დამოუკიდებელ აღზნებიანი და სამფაზა ასინქრონული წვეის ძრავების რეაქცია ექსპლუატაციაში წარმოქმნილი ბუქსაობის მიმდინარეობაზე, სიჩქარის კონტაქტორულ რეოსტატული და მდორე- ტრანზისტორული რეგულირების პირობებში. დადგენილია: მიმდევრობითი აღზნებიანი მუდმივი დენის წვეის ძრავის შემთხვევაში, ბუქსაობის აღკვეთა გარედან ქმედითი ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია; ბუნებრივ მახასიათებლებზე მუშაობისას დამოუკიდებელაღზნებიანი წვეის ძრავების ბუქსაობისას სიჩქარის ნაზრდი შესაძლებელია იყოს ბუებრივი მახასიათებლის დახრის ფარგლებში; ასინქრონული ძრავების ინვერტორიდან კვების შემთხვევაში ბუქსაობა შეიძლება გამოირიგოს. ასინქრონული ძრავების პირობებში, ბუქსაობის პროცესი მიმდინარეობს, მუდმივი დენის დამოუკიდებელაღზნებიანი წვეის ძრავებში მიმდინარე პროცესის მსგავსად.

**CONTRARY FEATURES OF DC AND AC DIFFERENT SYSTEM ELECTRIC LOCOMOTIVES ELECTRIC
DRIVES WORK**

Student Irakli Zarqua
GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering
MS I corse

Heads Jondo Sanikidze
Candidate of Technical Sciences,
Associate Professor of GTU
Sergo Karipidis- Doctor of Technical Sciences, Professor of GTU

In the work is considered and analyzed reaction of the applied in DC and AC electric locomotives successive, independent excitation and three-phase asynchronous traction motors on arisen in operation process slipping, in the conditions of speed contact rheostat and smooth-transistor regulation conditions. Is determined: in case of successive excitation DC traction motor the elimination of slipping without external impact is impossible; at slipping of operating in natural characteristics the independent excitation traction motors the increment in speed would be remained in the range of natural characteristics; in case of asynchronous motors feeding from the inverter, slipping can be avoiding. In the conditions of asynchronous motors, the slipping processes are being carried out, like the processes in the independent excitation traction motors.



რკინიგზის ლიანდაგის შეკეთების ორგანიზაციის სრულყოფის აქტუალობა

სტუდენტი	ირაკლი ჟორჯოლიანი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი მაგისტრატურა, II კურსი.
ხელმძღვანელი	ჯემალ მორჩილაძე საინჟინრო მეცნიერებების აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი.

რკინიგზის ტრანსპორტის საექსპლუატაციო მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ლიანდაგის გამართულ მუშაობაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს გადაზიდვითი (გამტარ- და გადაზიდვის უნარი) სიმძლავრის გაზრდას.

რკინიგზის ლიანდაგის შეკეთება წარმოადგენს რთულ პროცესს, რომლის შეკეთებაზე გათვალისწინებული დროის ხანგრძლივობის შემცირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სიმძლავრის გაზრდის საქმეში.

რკინიგზის საექსპლუატაციო გადაზიდვითი სიმძლავრის დანაკარგების მინიმუმადე შემცირების მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია ლიანდაგის კაპიტალური, საშუალო და აწვეითი შეკეთების ყველა სახის სამუშაოთა ხანგრძლივობა. შემოთავაზებულია ლიანდაგის შეკეთების ყველა სახის სამუშაოთა განსაზღვრის დაზუსტებული მეთოდოლოგია.

THE ACTUALITY OF THE IMPROVEMENT OF THE RAILWAY TRACK REPAIR ORGANIZATION

Student	Irakli Zhorzholiani GTU, Transportation and Mechanical Engineering MA, II course.
Head	Jemal Morchiladze PhD Engineering sciences, associate professor of GTU.

The railway transport operation work largely depends on the running order of truck that significantly contributes to increasing the capability of transportation (capacity and hauling ability).

Repair of railway track represents a complex process the reduction of the duration of time required for repairs of that has great importance to increase capacity.

In order to minimize the losses in railway operating capacity in the work are analyzed the duration of all types of capital, medium and erection repair works. Is offered the refined methods for determining of duration of all types of works for repairing the track.



თანამედროვე სარკინიგზო ტრანსპორტზე საკონტეინერო გადაზიდვების ინტენსიფიკაცია

სტუდენტი ნიკოლოზ ხურცილავა
სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
მაგისტრატურა, I კურსი

ხელმძღვანელი პეტრე კენკაძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე პირობებში გამოიკვეთა საკონტეინერო გადაზიდვების უპირატესობა სარკინიგზო ტრანსპორტით, ტრანსპორტის სხვა სახეობებთან შედარებით. წარმოდგენილ ნაშრომში დასაბუთებულია სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვითი პროცესის სრულყოფის აუცილებლობა ტექნიკურ-ტექნოლოგიური კუთხით და ამ ფონზე ახალი ინტენსიური ტექნოლოგიების შექმნა; ასევე დასაბუთებულია კონტეინერის გამაძვირი ვაგონის ტვირთაწეობის გამოყენების ხარისხის ამაღლების აუცილებლობა. განხილული სარკინიგზო-საკონტეინერო გადაზიდვითი პროცესის ინტენსიფიკაციის სფეროები და მისაღები შესაძლო ეკონომიკური ეფექტი.

Intensification of containerized cargo's transportation by the modern railway transport

student Nikoloz Khurtsilava
GTU, Transport And Mechanical Engineering Faculty
MA Course, I course

Head Petre Kenkadze
Doctor of Technical Sciences, Professor

Today the advantages of containerized cargo's transportation have been identified by rail transport, as compared to other types of the transport. In the present work the necessity of improvement of railway-container transport process in technical and technological terms and creating a new intensive technologies is substantiated. Also there is the need to increase the quality of use of the carriage of the container carrier. There is discussed fields of intensification of the rail-container transportation process and possible economic effects.



**ინტერფერომეტრული გადაჭრადების დამუშავება
ახალი ტიპის სარელსო წრედებისთვის**

სტუდენტი	იოსებ ჯავშანაშვილი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, დოქტურანტურა II კურსი
ხელმძღვანელი	მერაბ გოცაძე აკადემიური დოქტორი, პროფესორი

შემოთავაზებულია ახალი ტიპის სარელსო წრედი ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გამოყენებით.

დამუშავებულია შემოთავაზებული სარელსო წრედისათვის ინფორმაციის გაშიფრვისა და ინდიკაციის ბლოკის სრულტურული სქემა, რომელშიც ფაბრი-პეროს ინტერფერომეტრული მეთოდის საფუძველზე წინასწარ მოცემული ალგორითმის საშუალებით განისაზღვრება შესაბამისი ინფორმაცია.

**Processing of interferometric transmitters
for new type track circuits**

Student	Ioseb Javshanashvili GTU, Transportation and Mechanical Engineering, PHD, Course II
Head	Merab Gotsadze Academic Doctor, Professor

New type track circuit that is retooled by an optical fiber cable is suggested.

Processed block diagram model of block of description and indication, in which by the interferometric method of Fabry-Perot with predefined algorithm is determined appropriate information.



რკინიგზის ტექნიკური სადგურების სალიანდაგო განვითარების სქემების გაანგარიშება

სტუდენტი	მიხეილი გელაშვილი სტუ, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, დოქტორანტურა, I კურსი
ხელმძღვანელი	გრიგოლ თელია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

რკინიგზის სადგურთა შორის თავის მნიშვნელობითა და ფუნქციონალური დანიშნულებით გამოირჩევიან ტექნიკური (საუბნო და მახარისხებელი) სადგურები, რომლებიც დიდი რაოდენობით გადაამუშავებენ სატრანზიტო და ადგილობრივ ვაგონაკადს.

რკინიგზის სადგურებზე ვაგონთა მოვდენის და ოპერაციათშორისი მოლოდინების სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ასეთ სადგურთა ძირითადი პარკების სიმძლავრეზე, ანუ ამ პარკებში ლიანდაგთა რაოდენობაზე.

წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვლეულია და გაანალიზებულია ლიანდაგთა რიცხვის გაანგარიშების არსებული მეთოდები და შემოთავაზებულია აღნიშნული პარკების გაანგარიშების ორიგინალური ფორმულები, აგებულია მნიშვნელოვანი დიაგრამები და ჩამოყალიბებულია არგუმენტირებული დასკვნები.

Calculation of railway development schemes for technical railway stations

Student	Mikheili Gelashvili GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering, Doctorate, year 1
Head	Grigol Telia Candidate of Technical Science, Associate Professor

Among the railway stations technical (precinct and marshalling) stations are distinguished by its meaning and functionality. They process large quantity of transit and local carriage.

On the railway stations, the volume of carriage delay and intercontinental expectations is depending on the capacity of the main parks of such stations, meaning the number of tracks in these parks.

In this thesis the existing methods of calculation of the number of tracks is researched and analysed and the original formulas for calculating these parks are proposed, the important diagrams are built and the argumentative conclusions are formulated.



გოგორწყვილისა და რელსის სიმთელის მაკონტროლებელი სისტემა

სტუდენტი

ნესტორ კუტუბიძე

სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
დოქტორანტურის მეორე კურსი

ხელმძღვანელები

ნიკოლოზ მღებრიშვილი,- სტუს პროფესორი;

თამაზ მელქაძე- ბათუმის საზღვაო აკადემიის პროფესორი.

1. შემაღენლობის მოძრაობის დროს გოგორწყვილისა და რელსის ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიშევა განივი, გრძივი და ბრუნვითი ცოცვადობის ძალები. ეს ძალები დროთა განმავლობაში იწვევენ გოგორწყვილისა და რელსის ცვეთასა და დაზიანებას.

2. თანამედროვე რკინიგზის განვითარება დიდად არის დამოკიდებული გოგორწყვილისა და რელსის სიმთელის კონტროლთან, რომლის გარეშე შეუძლებელია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასიჩქარის გაზრდა

3. შემოთავაზებული სისტემის, მოძრავი შემაღენლობის აღჭურვით, მიღწეული იქნება გოგორწყვილისა და რელსის მდგომარეობის ავტომატური კონტროლი. კერძოდ, შესაძლებელი იქნება მოძრავი შემაღენლობის:

- გაცვეთილი გოგორწყვილის გამოვლენა და ცვეთის ხარისხის დადგენა;

- გაცვეთილი ან დაზიანებული გოგორწყვილის დაფიქსირება.

წინასწარ შემუშავებული და შედგენილი მათემატიკური მოდელის საფუძველზე:

- გაცვეთილი რელსის გამოვლენა;

- გაცვეთილი ან დაზიანებული რელსის ზუსტი ადგილის განსაზღვრა.

System of controlling the integrity of wheel pair and railway

Student

Nestor Kutubidze

Doctorate of Faculty of Transportation and Mechanical Engineering of GTU
Second course.

Head

Nikoloz Mgebrishvili- professor of GTU;

Tamaz Melkadze- professor of Batumi Marine Academy.

1. As a result of interaction between the wheel pairs and rails during rolling stock movement, lateral, longitudinal and torsional creep forces are created. Over the long term these forces cause wear and damage of the wheel pairs and rails.

2. Development of modern railways largely depends on controlling the proper functionality of wheel pairs and rails. It is impossible to ensure safety and increase the speed of railway traffic without providing such control.

3. By installation the device by proposed system, the automatic control of condition of wheel pair and rail will be achieved. Namely:

- Detection of the worn out wheel pair and determination of the degree of wear;
- Identification of the worn out or damaged wheel pair.

Also possible, on the basis of elaborated mathematical model:

- Detection of the worn out rail;
- Identification of precise location of the worn out or damaged rail.



საგზაო სექცია

**ციცაბო ქანობიან დაღმართებზე სატვირთო მატარებლის
დამუხრუჭების სითბური რეჟიმის გამოკვლევა**

სტუდენტი ბეკა სალთხუციშვილი
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, ბაკალავი,
IV კურსი, ჯგუფი 1365

ხელმძღვანელი გულვერ კვანტალიანი
ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

სამუხრუჭო სისტემის საიმედოობა და მოძრაობის უსაფრთხოება ციცაბო დაღმართებზე ბევრად არის დამოკიდებული სამუხრუჭო ხუნდების ტემპერატურულ რეჟიმზე. გადახურების შედეგად ირღვევა სამუხრუჭო ხუნდების მექანიკური მდგომარეობა და შესაბამისად მცირდება მოძრაობის უსაფრთხოების გარანტია. ამიტომ გრძელ დაღმართებზე აუცილებელია სამუხრუჭო ხუნდების თბური რეჟიმის შესწავლა. ნაშრომში დადგენილია ციცაბო ქანობით დაღმართების მაქსიმალური სიგრძეები ხუნდების გადახურების პირობით, როგორც თუჯის ასევე კომპოზიციური მასალისაგან დამზადებული ხუნდებისათვის. მარაბდა-ახალქალაქის ყველაზე ძნელ უბანზე შემოწმებული იქნა დაღმართის სიგრძეები ხუნდების გახურების ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით და ვაძლევთ რეკომენდაციებს დაღმართების დასაშვებ მაქსიმალური სიჩქარეების შეზღუდვის თაობაზე.

Steep falling on the cargo train examining the braking heat regime

Student Beka Salktskhishvili
GTU, Building Faculty, Bachelor, IV course, group 1365

Head Gulver Kvantaliani
Academic doctor,
GTU associate professor

The safety of the brake system and the safety of the traffic on the steep slopes depends much on the temperature of the brake pads. As a result of overheating the mechanical condition of the brake jumps is breached and therefore the safety guarantee of the movement is reduced. Therefore, it is necessary to study the thermal regime of brake currents in the long run. The work has been determined by the steepest extent of the maximum length of the tunnel under the condition of the feathers. As a cast iron for the lace made of composite material. At Marabda-Akhalkalaki's most difficult district, checking the length of the lagoon depends on the temperature of the junction and gives recommendations to limit the maximum possible speed of falling.



სატვირთო მატარებლის წონის ნორმის დადგენა სამთო რკინიგზებზე

სტუდენტი	გიორგი ლეჟავა სტუ, სამშენებლო ფსკულტეტი, ბაკალავრი IV კურსი, ჯგუფი 1365
ხელმძღვანელი	გულვერ კვანტალიანი ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

საანგარიშო წონის დადგენას სამთო რკინიგზებზე გააჩნია მთელი რიგი თავისებურებანი. ვინაიდან სამთო პირობებში ლიანდაგი უფრო მეტადაა დაჭუჭყიანებული, სველი და მოყინულია, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. ეს გარემოება მკვეთრად ამცირებს ლოკომოტივის წევის ძალას (მცირდება შეჭიდულობა რელსსა და თვალს შორის). ასეთ უბნებზე ხშირად გვხვდება მცირერადიუსიანი მრუდები ($R \leq 500$) რაც აგრეთვე ამცირებს წევის ძალას. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ელმავლის წევის ძრავების გადახურება აღმართის მიმართულებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომში დადგენილია სატვირთო მატარებლის საანგარიშო წონა ცივბიანი ქანობიან აღმართებისათვის. დავადგინეთ სატვირთო მატარებლის საანგარიშო წონის ნორმები მარაბდა-კრწანის რკინიგზის ხაზისთვის. კერძოდ ვიძლევი რეკომენდაციას, რომ ზაფხულის პერიოდში მატარებლის საანგარიშო წონა ორმაგი წევისთვის უნდა აღემატებოდეს - 1700ტ ხოლო ზამთრის პერიოდში - 1300 ტონას

Determination of Normal Weight of Freight Train on Mountain Railways

Student	Giorgi Lezhava GTU , Faculty of Construction, Bachelor IV year, group 1365
Head	Gulver Kvantaliani Academic doctor, GTU Associate Professor

Determination of the reporting weight on mountain railways has a number of peculiarities. As rail-track is more polluted, wet and frozen in the mountains than in normal conditions. This circumstance sharply reduces the strength of the locomotive (Decreases the traction between the rail and the wheel). In such areas the small radius curves are very common ($R \leq 500$), which also reduces the traction strength. It is also worth considering the overheating of electric locomotive motors in the direction of ascent. Based on all the above, the work determines the reporting weight of the freight train for steep ascents. We have determined reporting weight norms of the freight train for Marabda-Krtsanisi Railway line. In particular, we recommend that the reporting weight of the train for dual traction during the summer should exceed - 1700 Tons, and during winter - 1300Tons.



კომბინირებული ასფალტცემენტბეტონი

სტუდენტები	ილია მურველავილი, ილია ოზგებშივილი სტუ. სატრანსპორტო დამანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ბაკალავრი, IV კურსი
ხელმძღვანელი	მანუჩარ შიშინაშვილი აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

საგზაო მშენებლობაში ანსხვავებენ ასფალტბეტონისა და ცემენტბეტონის საფარს. ასფალტბეტონი მიეკუთვნება შუა საფარს, რომელიც მალევე შედის ექსპლუატაციაში, ხოლო ცემენტბეტონი გათვლილია მაღალ დატვირთვასა და სინტკიცეზე.

ამ საშენებლო მეთოდების გაერთიანებით მიიღება ნახევრად მყარი საფარი, სადაც ასფალტის სიგარილე (>25%) იესება ცემენტის ხსნარით. ეს მეთოდი უკვე მრავალი წელია გამოიყენება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, რომელსაც კომბინირებული ასფალტცემენტბეტონი ეწოდება.

კომბინირებული საფარის გამოყენების არეალი ეს არის მაღალი დატვირთვის ადგილები: თვითმფრინავების სადგომები, გზაჯვარედინები მუქნიშნის ზონებში და ა.შ.

საქართველოში აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს ტრანსპორტის გამტარუნარიანობისა და ეკონომიკის ზრდას, ქვეყნისთვის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

Combined asphalt cement concrete

Students	Ilia Murvelashvili, Ilia Ozgebishvili GTU, Transportation and Mechanical Engineering, bachelor, IV course
Head	Manuchar Shishinashvili Academic Doctor, Assistant Professor

In the road building there are differentiated asphalt concrete and cement concrete coatings. Asphalt concrete is the prepared road-coating . which can be exploited fastly. On the other hand, cement concrete is specialized for high-loading and solidity.

The unification of these building methods results in semi-solid road covering, where asphalt absence (>25%) is compensated by the cement solution. The mentioned method has been approved in the leading countries for years and it's called combined asphalt cement concrete.

The specific areas where the combined coating is utilized include: airplane parkings, crossroads (traffic zones) and etc.

The introduction of the mentioned methods in Georgia will promote the transport traffic capacity and economical growth, as well as additional financial investments.



საგზაო სამოსის საფუძვლის გაძლიერება ბიტუმინერალური დანამატების გამოყენებით

სტუდენტი ივანე ჯღამაია
ხელმძღვანელი სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, მაგისტრატურა I კურსი
თენგიზ პაპუაშვილი- ასოც. პროფესორი

საქართველოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საავტომობილო გადაზიდვების მოცულობა. შედეგად ექსპლუატაციაში არსებული გზები განიცდიან ინტენსიურ დეფორმაციებს. გამომდინარე აქედან სულ უფრო დიდი მალისხმევად საჭირო მათი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მარცვნელების საპროექტო დონემდე შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, განუზრებლად იზრდება სატრანსპორტო საშუალებების ტვირთაწეობა. მოძრაობის ინტენსიობის ზრდა, გაზრდილი ევრძული დატვირთვები და ხანგრძლივი ექსპლუატაცია – ეს ყველაფერი ხელს უწყობს საგზაო სამოსების საერთო მდგომარეობის გაუარესებას.

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ გზების მოვლა-შენახვა მოითხოვს მაღალ ფინანსურ დანახარჯებს, ამავდროულად უარესდება საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა, რადგანაც სამშენებლო მასალების გადამუშავების და მშენებლობის პროცესისათვის საჭირო ენერჯო რესურსების მოხმარების შედეგად გამოიყოფა მავნე აირები და ბინძურდება გარემო.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საგზაო სამოსის საფუძვლის ფენის გაძლიერების მეთოდური ღონისძიება, რაც გამოიხატება დრეკადობის მოდულის ამღლებით, კონსტრუქციული სისქის შენარჩუნების ფონზე.

Strengthening of Road Pavement Base by Using Bitumen-mineral Additives

Student Ivane Jghamaia
GTU, Faculty of Civil Engineering, Master, I Course
Head Tengiz Papuashvili - Associate professor

In Georgia, the several last decades have been marked with a considerable growth in commodity trafficking, entailing the intense deformations of roads that are under operation and calling for increased efforts made for maintaining the transportation-exploitation indices at design level. Apart from this, the load capacity of the transport means are constantly on the rise. Increased traffic intensity and axle loads together with a longtime exploitation result in deterioration of the general conditions of road dresses.

Practice makes it clear that the road maintenance is a costly entertainment that involves considerable financial expenditures, and at the same time it negatively impacts ecology, as both, the material processing and construction itself requires the power resources, whose use generate the toxic gases thus polluting environment.

Given work includes the methodology and consequent measure for improving the road pavement base that is manifested by increasing in resilience modulus, without increase in structural layer thickness.



**ლიანდაგის სიმტკიცეზე გაანგარიშების თავისებურებები მასზე ძალური დატვირთულობის
ზრდის პირობებში**

სტუდენტი ლაშა კვარაცხელია
სტუ. სამშენებლო ფაკულტეტი, მაგისტრატურა,
I კურსი, ჯგუფი #121681

ხელმძღვანელი ნუგზარ რურუა
ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი
სტუ-ს პროფესორი

ნაშრომში განხილულია ლიანდაგის სიმტკიცეზე გაანგარიშების თავისებურებები მასზე ძალური დატვირთულობის ზრდის, კერძოდ 270კნ-ის შემთხვევაში. გაანგარიშებულ იქნა "Pandrol"-ის სამაგრებიანი P65 ტიპის რელსებიანი ლიანდაგი სარელსო საფუძვლის დრეკადობის მოდულის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. განსაზღვრულია დინამიკური მომენტსაგან აღძრული ძაბვების მნიშვნელობები რელსის ფუძის წიბოში, მშალზე ქვედის ქვეშ, ბალასტის (ღორღის ბალასტის შემთხვევაში) შრეში, როგორც რკინაბეტონის, ისე ხის მშალების შემთხვევაში. გაანგარიშების შედეგად მიღებულია, რომ 270კნ დატვირთვის პირობებში ლიანდაგი აკმაყოფილებს ლიანდაგისა და სალიანდაგო კონსტრუქციების მუშაობის შეფასების კრიტერიუმებს: სიმტკიცის, სარელსო ლიანდის მდგრადობის, სარელსო რგოლების მდგრადობისა და მისი განივი მდგრადობის, მოძრაობის უსაფრთხოების პირობით.

**Peculiarities of Calculation on the strength of the track
in the conditions of increasing the powerful loading**

Student LASHA KVARATSKHELIA
GTU, Faculty of BUILDING, Master's Degree,
I Course, Group #121681

Head NUGZAR RURUA
T.M.K. Academic Doctor,
GTU Professor

The Peculiarities of Calculation on the strength of the track are discussed in the work, in case of increasing the powerful loading on it, in particular 270kl. There was calculated the railroad track of fasteners type for various meaning of the miracle basis elasticity module. The definitions of voltage launched from dynamic moment are defined in the base of Rib Rail, under the bottom of shuffle, in the ballast (in case of ballast of gravel) layer, as in case of reinforced concrete, also the wooden sleepers. As a result of calculation, in the conditions of 270kl load, the rail-track satisfies those criteria for assessing the work of railway and rail-track constructions, such as: on conditions of firmness, traffic safety, sustainability of rail-track and sustainability of railway rings and its transient stability.



საგზაო საფარის მოწყობა კომპაქტ-ასფალტის ტექნოლოგიის გამოყენებით

სტუდენტი ოთარ შოშიაშვილი
 სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, მაგისტრატურა, I კურსი
ხელმძღვანელი მანუჩარ შიშინაშვილი
 აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

კომპაქტ - ასფალტი წარმოადგენს ასფალტბეტონის დაგებისა და მოწყობის ინოვაციურ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს მცირედი ძალების დანახარჯით მაქსიმალური ეფექტის მიღება. ეს ტექნოლოგია წარმოადგენს ახალ მიმდევრობას საავტომობილო გზების მშენებლობაში. ტექნოლოგიის უპირატესობაა მსხვილმარცვლოვანი და წვრილმარცვლოვანი ასფალტბეტონების დაგება ერთდროულად. დაგებულ ფენებს შორის შესაკავშირებლად აღარაა საჭირო ზიტუმის ან ზიტუმის ემულსიის მოხმვა. დატკეპნა ხორციელდება ტრადიციული ტიპის სატკეპნი მექანიზმებით. ამ ტექნოლოგიის გამოსაყენებლად საჭიროა შესაბამისი შემრევი და დამკვები მექანიზმი. მისი უპირატესობებია: ენერგოდანახარჯების, სამშენებლო მასალების, დროის და მუშა - ძალის ეკონომია. ასევე სამშენებლო პროცესის სიმარტივე, ფენებს შორის შეკიდულობის მაქსიმალური ეფექტურობა, პერისადმი მდგრადი ფენილის მიღება და საექსპლუატაციო პერიოდის გაზრდა.

საქართველოში აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს ტრანსპორტის გამტარუნარიანობისა და ეკონომიკის ზრდას, ქვეყნისთვის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

Road surface repair by using the Compact asphalt method

Student Otar Shoshiashvili
 GTU, Building faculty, master's degree, I course
Head Manuchar Shishinashvili
 Academic Doctor, Assistant Professor

The Compact-asphalt method. This is an innovative technology of road surfacing and provides a maximum output and efficiency for the minimum cost. The compact asphalt method is the new way of building roads. One of the advantages of this constructive method is using of coarse grained and fine-grained asphalt concrete together. This kind of technology removes the need for bitumen emulsion, which is sprayed on the binder layer for conventional paving methods. For the ramming paving, there are used traditional ramming mechanisms. Other advantages of the Compact-asphalt method are: saving building materials and resources, reducing the time needed for paving, better bonding between the individual layers, etc.

These technologies will provide transport capacity, economic growth and investment in Georgia.



ფერადი ასფალტბეტონი და მისი გამოყენების თავისებურებანი

სტუდენტი	გაიოზ ტყემალაძე
ხელმძღვანელი	სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა I კურსი პეტრე ნადირაშვილი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს სრული პროფესორი

დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა საგზაო ფენილების სახეები და მათი დამზადების ტექნოლოგია. თანამედროვე საგზაო სამოსების სახეებს შორის გვხვდება ფერადი ასფალტბეტონის გამოყენებით მოწყობილი ფენილები, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს მიმართულება სიახლეს წარმოადგენს და ჯერ არ არის ფართოდ დანერგილი. ფერადი ასფალტბეტონის ნარევი არის ხელოვნური კომპოზიტური საგზაო-სამშენებლო მასალა, რომელიც შედგება მინერალური შემავსებლის, ორგანული შემკვრელისა და პიგმენტური დანამატისაგან. მისი გამოყენება მიზანშეწონილია ფენილის ზედა (საცვეთ) ფენებში, კერძოდ, ეფექტურია საგზაო მონიშვნებისათვის (ქვეითა გადასასვლელზე, სდექ ხაზის, გამყოფი და ავტობუსის ზოლების, ველობილიკების მოსაწყობად). მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიქმნას ისეთი ტიპის ფერადი ნარევი, რომლებიც ჩვეულებრივი ასფალტბეტონებისაგან არ იქნება განსხვავებული მისი ფიზიკო-მექანიკური თვისებებით, ექნება საკმარისი ხორკლიანობა, სიმტკიცე, იქნება ცვეთამდეგი და ეკოლოგიურად სუფთა.

Colored Asphalt and Peculiarities of Using It

STUDENT	GAIOZ TKEMALADZE GTU, CIVIL ENGINEERING, Ph.D STUDENT, ICOURS
HEAD	PETRE NADIRASHVILI DOCTOR OF TECHNICAL SCIENCES FULL PROFESSOR OF GTU

Road pavement types and technologies were developed and improved over the time. Among modern pavements, there are also colored asphalts, but it should be noted, that this trend is new for Georgia and it's not implemented. Colored asphalt mixture is artificial composite road building material, which consists of mineral filler, organic astringent and pigments. This type of asphalt is best to be used in top layers of the pavement, in particular for horizontal marking. It is important, that modern technologies give us opportunity to make colored asphalt mixtures, which have same physical-mechanical properties as normal asphalt mixes. They have enough stability, strength, durability and also are environmentally clean.



საფარის სისწორისა და საგზაო სამოსის სიმტკიცის ურთიერთდამოკიდებულება

სტუდენტი დავით გეჭაძე
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა I კურსი
ხელმძღვანელი ალექსი ბურდულაძე, პროფესორი

საგზაო სამოსის სიმტკიცეზე და დროთა განმავლობაში მის ცვლილებაზე გავლენის მქონე ფაქტორთა სიმრავლის გამო საგზაო კონსტრუქციათა სიმტკიცის ჭეშმარიტი მდგომარეობის განსაზღვრა გაძნელებულია. მექანიკის თვალსაზრისით უსწორობა განპირობებულია არათანაბრად განაწილებული შეუქცევადი (პლასტიკური) დეფორმაციების დაგროვებით. დაგროვების პროცესი უფრო ინტენსიურად ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში სატრანსპორტო დატვირთვის გაძლიერებული დინამიური ზემოქმედების წარმოქმნის ადგილებში მიმდინარეობს.

ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ავტომობილის მოძრაობის დინამიკაზე საფარის უსწორმასწორობის ზეგავლენის ზოგად პრინციპებზე, ასევე ზედაპირის სისწორისა და არახისტი საგზაო სამოსების სიმტკიცის ურთიერთკავშირის შესწავლაზე.

შემოთავაზებული გამოანგარიშების საფუძველზე მუშავდება სარემონტო ღონისძიებების დანიშვნის სისტემისადმი დამატებები, რომლებიც სარემონტოდ გამოიზნული მონაკვეთის სხვა თანაბარმნიშვნელოვანი მახასიათებლებისას იძლევა ყველაზე პრობლემური უბნის არგუმენტირებულად შერჩევის შესაძლებლობას.

Correlation between the road pavement rigidity and surface roughness

Student David Getsadze
GTU, Faculty of Civil Engineering, I year PhD student
Head Aleksi Burduladze, Professor

Determination of the true condition of the road pavement structures is complicated due to the abundance of the factors influencing pavement rigidity and its change over the time. In terms of mechanics, the absorption is due to accumulating irregularly distributed irreversible (plastic) deformations. The accumulation process is more intensively in the most weakened areas of pavement material and in the areas of increased dynamic impacts of transport load throughout the whole operation period of road.

The abstract is focused on the general principles of the impact of the pavement roughness to the dynamics of the vehicle movement, as well as the study of the correlation of road surface roughness and non-rigid pavement structure rigidity.

On the basis of the proposed calculation, developing of the additions to the repairing activities planning system is ongoing, which provide the opportunity to select the most problematic precincts of the road in comparison with other repair sections with equally important problematic features.



გოგირდ ასფალტბეტონის ნარევი მოდიფიცირებული გოგირდის ოპტიმალური პროცენტული შემცველობის დადგენა ექსპერიმენტული გზით

სტუდენტი დავით ბედუკაძე
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა II კურსი
ხელმძღვანელი თენგიზ პაპუაშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სტუ-ს
ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში წარმოდგენილია მოდიფიცირებული გოგირდით ასფალტ ბეტონის შემკვრელის ჩანაცვლების ყველაზე რენტაბელური პროცენტული შემცველობის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული გამოკვლევის შედეგები საქართველოს ადგილობრივი შემავსებლების გამოყენებით, რაც შემდგომში საქართველოს სხვადასხვა კლიმატური პირობებისა და გზებზე სხვადასხვა დატვირთვების შესაბამისი ასფალტ ბეტონის დაპროექტებაში იქნება გამოყენებული. ასფალტის ცხელი ნარევისაგან, რომელშიც ბიტუმი ნაწილობრივ ჩანაცვლებულია მოდიფიცირებული გოგირდით 10%-დან 50%-მდე, დამზადდა და დაიტკვნა ნიმუშები მარშალის ავტომატურ კომპაქტორზე, გაიზომა მექანიკური თვისებები მარშალის სტაბილურობის, დენადობის, სივარდილების და სიხისტის ჩათვლით. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ასფალტის შემკვრელის ნაწილის მოდიფიცირებული გოგირდით ჩანაცვლების 30/70-ზე არის საუკეთესო პროცენტული შემცველობა.

Determination of Optimum Percentage of the Modified Sulfur in the Sulfur Asphalt Concrete Mix by the Experimental Way

STUDENT DAVIT BEDUKADZE
GTU, CIVIL ENGINEERING, Ph.D STUDENT, II COURSE
HEAD TENGIZ PAPUASHVILI
DOCTOR OF TECHNICAL SCIENCES
FULL PROFESSOR OF GTU

In the work the results of investigation, carried out with the aim of determination of the optimum percentage of the modified sulfur in the sulfur asphalt concrete mix based on the local aggregates are presented. These results will be used for the design of asphalt-concretes meeting the requirements of different load intensities and climatic conditions of Georgia. Based on the hot mixes of asphalt concretes where the part of bitum was substituted by the modified sulfur with different percentage – from 10% to 50%, samples were prepared and compacted using the marshal compactor. Their mechanical properties, including the marshal stability, flow, air voids and the stiffness were determined by the experimental way. Based on these results can be concluded that the percentage of the modified sulfur in the asphalt binder 30/70 is the optimum one.



საქალაქო საავტომობილო გზების განვითარება მიწისქვეშა სივრცის გამოყენებით

სტუდენტი	ვლადიმერ კოხია სტუ. სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, I კურსი
ხელმძღვანელი	კონსტანტინე მჭედლიშვილი პროფესორი

მიწისქვეშა სივრცე წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო რესურსს, ვინაიდან:

- სულ უფრო მცირდება მიწის ზედაპირზე ეკონომიკისათვის გამოსადეგი თავისუფალი ფართობები;
- მიწის ზედაპირზე აშენებული სამრეწველო, სამოქალაქო, თბოენერგეტიკული და ა.შ. დანიშნულების ნაგებობები გარემოს სულ უფრო მეტ ზიანს აყენებს;
- მეგაპოლისებისა და დიდი ქალაქების რაციონალური განვითარებისთვის მიწისქვეშა სივრცის კომპლექსური ათვისება ერთადერთი გამოსავალია;
- გაზობრივი და თხევადი საწვავის, სასურსათო საქონლის და ა.შ. სტრატეგიული მარაგების უსაფრთხო და საიმედო შენახვის ერთადერთი საშუალება მათთვის მიწისქვეშა საცავების მოწყობაა;
- სამრეწველო ენერგეტიკული სახის მაღალტოქსიკური და ბუნებრივი ნეიტრალზაციის ხანგრძლივი პროცესის მქონე ნარჩენების საიმედო შენახვის ერთადერთი საშუალება მათთვის მიწისქვეშა საცავების მოწყობაა.

Development of urban automobile roads with the use of underground space

Student	Vladimer Kokhia GTU, Faculty of construction, doctoral programme, 1 st year
Head	Konstantine Mchedlishvili Professor

The underground space is a national resource of special importance, because:

- free areas at earth surface suitable for economy become more and more small;
- buildings and constructions for industrial, civil, heat energy for other purposes built on earth surface do more and more damage to the environment;
- integrated development of underground space is the only choice for rational development of megapolises and big cities;
- arrangement of underground storages is the only possibility for safe keeping of strategic stocks of gaseous and liquid fuels, food products etc
- arrangement of underground storages is the only possibility for safe keeping of industrial and energy type waste with lengthy process of high toxic and natural neutralization.



სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი

სტუდენტი ზვიად გაბედავა
სტუ. სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, III კურსი,
ჯგუფი #131403

ხელმძღვანელები კონსტანტინე მჭედლიშვილი
ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი, სტუ-ს პროფესორი
ნუგზარ რურუა
ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

ნაშრომში განხილულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. წარმოდგენილია სატრანსპორტო სისტემის შემადგენელი ნაწილების ეფექტურობის შეფასების მექანიზმი. იგი საშუალებას იძლევა ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო და რკინიგზების დეპარტამენტების მიერ შემუშავებულ იქნას სისტემის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო ქმედებები, მოძიებულ იქნას აუცილებელი თანხები, მოხდეს ხარჯებისა და შემოსავლების პროგნოზირება. სატრანსპორტო პროცესის ეკონომიურობის ძირითადი კრიტერიუმია სატრანსპორტო პროცესის შემდეგ მიღებული შემოსავლების გადაჭარბება ხარჯებზე. სატრანსპორტო პროცესი წარმოდგენილია, როგორც რთული და მრავალფეროვნობითი მოვლენა. მასზე მოქმედი ფაქტორები დიფერენცირებულია რეგულირებადობის და კონტროლირებადობის მიხედვით. შემუშავებულია სატრანსპორტო პროცესის, რთულად ორგანიზებადი სისტემის სქემა და მისი ფუნქციონირების აღწერილი მათემატიკური განტოლებები.

Mechanisms of financial provision of transport infrastructure development

Student Zviad Gabedava
GTU, Group - #131403 of Construction Faculty, III yaer PHD

Heads Konstantin Mchedlishvili
Academic Doctor of technical sciences, full Professor of GTU
Nugzar Rurua
Academic Doctor of technical sciences, full Professor of GTU

The paper describes the key issues of financing development of transport infrastructure. It presents assessment mechanisms for effectiveness of transport system elements. These mechanisms make it possible for the Roads Department of the Ministry of Regional Development of Infrastructure and Railway Department to implement the actions ensuring successful functioning of the system, find necessary funding and forecast revenues and expenditures. The criterion of efficiency of transport process is the surplus of the revenues over expenditures. The transport process is presented as complicated and difficult to predict. The influencing factors are sorted according to possibility of regulation and control. The scheme of transport process system is developed and explained with mathematical equations.



ევროკოდები და ქართული ნორმები

სტუდენტი თამარ ჯაფარიძე.
სტუ. საშენებლოფაკულტეტი, დოქტორანტურა, II კურსი.
ხელმძღვანელი გივი დათუკიშვილი.
ასოცირებული პროფესორი

ევროკოდების სისტემა – ეს არის ევროპული სტანდარტების სისტემა შენობა-ნაგებობების და სამშენებლო პროდუქციის დაპროექტებისთვის, რაც დამუშავდა სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის მიერ. ევროპული სტანდარტების საერთო მასივი მშენებლობის დარგში მოიცავს სამიათას დოკუმენტადღე. საქართველოში ევროკოდების დანერგვის მიზნები გახდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების დადება, რომელიც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის, როგორც კანონების, ასევე კანონქვემდებარე აქტების, ჰარმონიზაციას ევროკავშირის ბირითად აქტებთან. ამიტომ საჭიროა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და სტანდარტების შეჯერება ევროკოდებთან და საჭირო დასაშვები ცვლილებები სშეტანამათში. ბირითად დოკუმენტს ხიდების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დარგში ამჟამად წარმოადგენს სნდაწ 2.05.03-84* „ხიდები და მილები“ (საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წ. 18 თებერვლის ბრძანება), რომლის რიგი დებულებები უკვე მოძველებულია და ამასთან არ ეთანადება ევროკოდის დებულებებს. ეს განაპირობებს მოქმედ ნორმებში ცვლილებების შეტანას და ევროკოდებში საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებას.

Eurocodes and Georgian Norms

Student Tamar Japaridze
GTU, Faculty of Civil Engineering, Doctoral Degree, II Year
Head Givi Datikishvili
Associate Professor

System of Eurocodes – this is a European standard system for designing of building and structures and construction products, which has been developed by European Standards Organization. The total massive of European standards in the field of construction includes up-to three thousand documents. Conclusion of the Association Agreement between Georgia and the European Union resulted in introduction of Eurocodes in Georgia. It means harmonization of Georgian legislation, both the laws and subordinate acts, with the main acts of the European Union. That's why, construction norms and standards operating in Georgia should be in full conformity with Eurocodes and necessary admissible changes should be made therein. Currently, the main document in the field of construction and operation of bridges is the norms and rules of construction 2.05.03-84* "Bridges and Pipes" (the Order of the Minister of Economy and Sustainable Development of Georgia dated 18 February 2011). Many of its regulations have been already outdated and hereby it does not meet with the regulations of Eurocodes. It conditions amendments to applicable norms and consideration of Georgian peculiarities in Eurocodes.



სატრანსპორტო გვირაბების პროექტირების თანამედროვე მიდგომები

სტუდენტი **თორნიკე ყიფიანი**
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა II კურსი
ხელმძღვანელი **მანანა მოისწრაფიშვილი**
ტექნიკური მეცნიერების კანდიდატი, პროფესორი

თეზისში განხილულია ზერქაროსნულ სარკინიგზო მაგისტრალებზე გვირაბების პროექტირების თავისებურებანი და გაანალიზებულია გვირაბის მუდმივი სამაგრის კონსტრუქციული ნაწილის პარამეტრები. თეზისში წარმოდგენილია მოცულობით-გეგმარებითი გადაწყვეტები, შემოთავაზებულია კონსტრუქციის სამშენებლო მოთხოვნების ძირითადი პარამეტრები და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემსუბუქებისათვის საჭირო მოთხოვნები. ასევე დასკვნის სახით მოცემულია იმ საინჟინრო დარგების ჩამონათვალი, რომელთა სინქრონიზებული მუშაობის შედეგად მიიღწევა საბოლოო შედეგი.

Modern approaches in designing of transport tunnels

Student **Tornike Kiphiani**
GTU, Faculty of Building Doctorate(PhD) II course
Head **Manana Moistsrapishvili**
Candidate of Technical Science, Professor

This thesis deals with the features of tunnels' design on high-speed railroads and analyzes the parameters of the structural part of the final lining of the tunnel. The article presents volume-planning solutions. The main parameters of the building design requirements and the requirements necessary to reduce the impact on the environment are proposed. The article concludes with a list of engineering industries, as a result of the synchronized work of which the main goal will be achieved.



საავტომობილო გზების სიმდოვრე და ხმაურთან დაკავშირებული პრობლემები

სტუდენტი ილია მიკავა
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი,
დოქტორანტი, I კურსი

ხელმძღვანელი გივი დათუკიშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია საავტომობილო გზების სიმდოვრის მიღწევის და ზედმეტი ხმაურის აღმოფხვრის მეთოდები, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ კომფორტულ გადაადგილებაზე და არღვევენ ესთეტიკის პირობებს. მოცემულია კონკრეტული მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ საავტომობილო გზების სიმდოვრის რღვევას და ზედმეტი ხმაურის არსებობას. შესწავლილია ამ მიზეზების წარმოქმნის არსი პროექტირების, მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში სხვა და სხვა კატეგორიისა და საფარის ტიპის მქონე გზებისათვის. დამუშავებულია მეთოდები აღნიშნული მიზეზების აღმოსაფხვრელად. წარმოდგენილია შესაბამისი ცხრილები და დიაგრამები, რომელთა გამოყენებითაც ინჟინერს შეეძლება დააპროექტოს კომფორტაბელური გზები ესთეტიკის პირობების დაკმაყოფილებით. შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დაგეგმარება თავიდანავიცილოთ ზვერი ისეთი შეცდომა, რომელთაც სამწუხაროდ ხშირად ვხვდებით დღეს საუკეთესოდ აღიარებულ გზებზეც კი.

Smoothness of highways and problems related to noise

Student Iliia Mikava
GTU, Faculty of Civil Engineering
PhD, 1st Course,

Head Givi Datukishvili
Associated professor of GTU

In the work deals methods for achieving smoothness on highways and eliminating excessive noise, which adversely affect the comfortableness of traffic and violate the condition of aesthetics. Specific reasons are given that violate the smoothness and quietness of highways. The bases for the formation of these causes in the design, construction and operation of roads for various categories and types of road surfaces have been studied. Developed methods for eliminating of these causes. Here are presented the corresponding tables, diagrams and formulas according to which the engineer can design a comfortable road with the satisfaction of the conditions of aesthetics. There are presented recommendations that will help to avoid many mistakes, which are still saturated with even recognized excellent roads of the world



გეოსინტეტიკური მასალების როლი საავტომობილო გზების მშენებლობაში

სტუდენტი ირაკლი ურუშაძე
ხელმძღვანელი სტუ, სამშენებლო ფაკულტეტის დოქტორანტურის I კურსი;
პეტრე ნადირაშვილი
პროფესორი და ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საავტომობილო გზების მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში ყოველწლიურად იზრდება გეოსინტეტიკური მასალების როლი, რომლის გამოყენება მიზანშეწონილია რთულ სამშენებლო პირობების დროს. საქართველოს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ხშირია ისეთი საავტომობილო ტრასები, სადაც შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა გეოლოგიური პროცესები. მაგალითად: მეწყერი, ქანის გამორეცხვა, ჩამონაშალის ჩამოცვენა, ჩამოზვავება და სხვა. ასეთ დროს საჭიროა სხვადასხვა სახის საინჟინრო ღონისძიებების გატარება (ყრილების არმირება, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, სადრენაჟე და წყალსარინი ღონისძიებების განხორციელება). წარსულში, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ მიზეზების გამო, ან სრულიად შეუძლებელი იყო გზის მშენებლობა, ან დაკავშირებული იყო დიდ თანხებთან. თუ ჩვენ შევადარებთ საავტომობილო გზების მშენებლობის საგარეო პრაქტიკას, აქ თვალნათელი ჩანს ტექნოლოგიური პროგრესი. აქტიურად დხება არამარტო ახალი მეთოდების შემუშავება, არამედ მისი გამოყენება გზის მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას.

Title of an article: Utilization of Geosynthetic Materials in Road Construction

Student Irakli Urushadze
GTU, Civil Engineering PhD I Course
Head Petre Nadirashvili
Professor and Candidate of Technical Sciences

In the recent years, the utilization of Geosynthetic materials in road construction is gradually increasing and it is recommended for usage in difficult building conditions. Taking into consideration geographical location of Georgia, there are often cases when some geological process might erupt unexpectedly, during the road construction; such as landslide, washing rocks, rockfalls, avalanche, etc. In such a case it is required to implement different types of engineering works. For instance, reinforcement of soil, building of artificial constructions, implementation of drainage works, etc. The geological difficulties mentioned above werethe main reasons why it was often impossible to conduct road constructions or it caused huge expenses.



ნახევრად ხისტი საგზაო საფარები

სტუდენტი	ლევან ჩადუნელი სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, მე-3 კურსი
ხელმძღვანელი	ალექსი ბურდულაძე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ნახევრად ხისტი, კომპოზიციური საგზაო სამოსების გამოყენებას, რომლის პერსპექტიულობა განპირობებულია არა მარტო ძვრისადმი მომატებული მდგრადობით, არამედ ზიტუმის მნიშვნელოვანი ეკონომიისა და ადგილობრივი ქვის მასალების ფართო გამოყენების შესაძლებლობით. კომპოზიციური ფენილი აერთინებს ასფალტბეტონის და ცემენტბეტონის საფარების დადებით თვისებებს. ნახევრადხისტი კომპოზიციური საფარების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მდგომარეობს ხისტი და არახისტი ელემენტების ურთიერთაჩაივების უზრუნველყოფაში, რომელიც განაპირობებს მათ ერთობლივ მუშაობას დატვირთვის ქვეშ.

ცემენტის მასალებისგან დამზადებული ხისტი ელემენტების შემცველი ნახევრადხისტი საფარები პრინციპულად განსხვავდება ასფალტბეტონისგან დამზადებული არახისტი საფარებისგან, რომლებიც ასფალტშემკვრელი ნივთიერების სახით ზიტუმისა და ცემენტის ნარევეს შეიცავენ.

Semi-rigid road pavements

Student	Levan Chaduneli GTU, Faculty of Construction, Doctoral programme, 3 rd year
Head	Aleksj Burduladze Doctor of technical sciences, professor

The presented work is devoted to application of semi-rigid composite road pavements, prospects of which are predetermined not only by increased shear resistance, but also by significant economy of bitumens and possibility of wide use of local stone materials. Composite coating unites advantages of asphalt-concrete and cement-concrete pavements. One of the most basic principles of creation of semi-rigid composite pavements is the provision of mutual cohesion of rigid and non-rigid elements, which predetermines their collaboration under loads.

Semi-rigid pavements containing rigid elements manufactured from cement materials fundamentally differ from non-rigid pavements made of asphalt-concrete, which contain mixture of bitumen and cement as asphalt binding agent.



ღვარცოფებთან ბრძოლის საშუალებები

სტუდენტი	ლევან ჯანაშია სტუ. სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა I კურსი
ხელმძღვანელი	კონსტანტინე მჭედლიშვილი, პროფესორი

საქართველოს ტერიტორია ხასიათდება რთული საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით, რომელიც განპირობებულია ქანების ლითოლოგიური შემადგენლობის ნაირსახეობით, მათი ინტენსიური ტექტონიკური დაშლილობით, გეომორფოლოგიური ფორმების მრავალფეროვნებით და თანამედროვე გეოლოგიური პროცესების ფართო გავრცელებით.

მიუხედავად მძლავრი ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების მშენებლობისა, ტერიტორიების და ნაგებობების დაცვა ღვარცოფული ნაკადების კატასტროფული ზეგავლენისგან რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური მიდგომებით, ანუ საინჟინრო აქტიური და პასიურ ღონისძიებებით.

თანამედროვე ღვარცოფსაწინააღმდეგო სისტემების მშენებლობა XIX საუკუნეში დაიწყო და ბირითადი აქცენტი კეთდება ღვარცოფსაშიშ ფერდობის დატერასებასა და ტყის გაშენებაზე.

ნაშრომში განხილულია ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობები და ღონისძიებები. შემუშავებულია ღვარცოფული ნაკადებისგან საავტომობილო გზის დაცვის კონსტრუქციები.

Means against mudflows

Student	Ivan Janashia GTU, Faculty of Civil Engineering, PhD, 1 st Course
Head	Konstantine Mchedlishvili, professor

Territory of Georgia is characterized by complex engineering-geological conditions, which is caused by different types of lithological composition of rocks, their intensive tectonic destroy, diversity of geomorphological forms and the wide spread of modern geological processes.

Despite the construction of the powerful anti-mudflows constructions it is a difficult task to revert territories and structures from the catastrophic impact of mudflow that can be solved only by complex approaches i.e. active and passive engineering measures.

Construction of modern anti-mudflows systems started in XIX century and the main emphasis is laid on mudflow slopes terracing and forest cultivation.

This work covers anti-mudflows constructions and measures. Constructions of prevention of motoways from mudflows are developed.



**მოდულირებულ ბიტუმებზე დამზადებული ასფალტბეტონის
ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა**

სტუდენტი მაია ავალიანი
ხელმძღვანელი სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, მე-3 კურსი
ალექსი ბურდულაძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება საავტომობილო გზების არახისტი საგზაო საფარის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესებას. კერძოდ, განილულია სხვადასხვა პოლიმერებით მოდიფიცირებული საგზაო ბიტუმებისა და მათი გამოყენებით დამზადებული ასფალტბეტონების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის შედეგები.

დადასტურებულია პოლიმერ ელვალისა და კრატონის გამოყენების ეფექტურობა საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ ბიტუმში კრატონის და ელვალის პოლიმერების დამატება ფართო ტემპერატურულ ინტერვალში უზრუნველყოფს მის მოქნილობას, ელასტიურობას და სიმტკიცეს, რითაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება აღნიშნული მოდიფიკატორებზე დამზადებული ასფალტბეტონის საფარის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებები. ასევე, ხირკ ნარევის გამოყენების დროს საგრძობლადიზრდება ადჰეზიური თვისებები, ავტომობილის თვალთან ჩაჭიდება და მცირდება ხმაური, მისი გამოყენება შესაძლებელია ცივ კლიმატურ ზონებშიც კრიტიკული ტემპერატურის დროს -35°C .

Physical-mechanical properties of modified bitumen for Asphalt concrete

Student Maia Avaliani
GTU, Building Faculty, Doctorate, 3rd Course
Head Alexi Burduladze
Doctor of Technical Sciences, Professor

The presented work is devoted to improvement of features of roads with not firm coverings. Specifically were discussed, the results of research of physical-mechanical properties of asphalt concrete made by various polymers and also thier use.

The efficiency and effectiveness of polymer elvaloy and craton is verified by Georgia's climatic conditions. It is shown that the addition of craton and elvaloy polymer in the bimonth provides a wide range of temperature intervals, its flexibility, elasticity and strength, thus significantly improving the transport-carrying properties of asphalt concrete made for these modifiers. Usage of the resin-bitumen mixture adhesive properties are significantly increased noise during connection between the car eye and cover of the road will be reduced; besides, this combination can be used in cold climatic zones at critical temperature such as -35°C .



**არახისტი საგზაო საფარების ორმოული შეკეთება ინფრარითელი
გამოსხივების გამოყენებით**

სტუდენტი	ოთარ ხატიაშვილი სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, მე-3 კურსი
ხელმძღვანელი	ალექსი ბურდულაძე ტენიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება საავტომობილო გზების არახისტი საგზაო საფარის შეკეთების თანამედროვე, ეკოლოგიურად და ეკონომიურად ხელსაყრელ ტექნოლოგიას, კერძოდ ასფალტბეტონის საგზაო საფარების ორმოულ შეკეთებას ინფრარითელი გამოსხივების გამოყენებით.

მოყვანილია ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები, სადაც გამოკვლეულია სხვადასხვა ფაქტორების (ჰაერის ტემპერატურის, ქარის სიჩქარის, ასფალტბეტონის საფარის გაცხელების ტემპერატურის და ა.შ.) ზემოქმედება ორმოული შეკეთების ხარისხზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ინფრარითელი გამოსხივებით არახისტი საგზაო სამოსის შეკეთების რაციონალური ტექნოლოგია გარემო პირობების გათვალისწინებით.

Pothole Repair of Non-rigid Road Pavement using Infrared Rays

Student	Otar Khatiaashvili Construction Faculty of GTU, Doctoral Degree, Grade 3
Head	Alexsi Burduladze Doctor of Technics, Professor

Present work is related to the repairs of non-rigid road pavement using the useful modern technology in the means of ecology and economics. Mainly, this is about the pothole repairs of asphalt concrete road pavement using the infrared rays.

The presented work includes the results for the fulfilled experiments where the impact of various factors (air temperature, wind velocity, heating temperature of asphalt concrete pavement, etc.) has been investigated on pothole repair quality. Pursuant to the obtained results, the rational technology for non-rigid road pavement repairs using the infrared rays is recommended with consideration of environmental conditions.



სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფის

სტუდენტი ცოტნე გოროზია
სტუ, სამშენებლო ფაკულტეტი, დოქტორანტურა, II კურსი.
ხელმძღვანელი კონსტანტინე მჭედლიშვილი
ტ.მ.კ. აკადემიური დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

მოხსენებაში განხილულია მსოფლიოს მთაგორიანი რეგიონები, მათი რელიეფის თავისებურებები და საგზაო ქსელის განვითარების მახასიათებლები. ნაჩვენებია მთაგორიან და მაღალმთიან რეგიონებში საავტომობილო გზის ტრასირების საერთო კანონზომიერება მდინარის ფართო ველიდან, უფრო ვიწრო ხეობაში მთის მდინარის გასწვრივ, შემდგომ კი მთის ფერდობებზე ტრასის განვითარებით უღელტეხილისაკენ. მოყვანილია მთაგორიანი რელიეფის ლანდშაფტებისთვის დამახასიათებელი საავტომობილო გზების ტრასის გეგმისა და გრძივი პროფილის ტიპები, რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლებით. ნაჩვენებია ტრასირების კანონზომიერებები და ტრასის ელემენტების მახასიათებლების ყველა რეგიონისთვის იდენტურობა. შესაბამისად რომელიმე ქვეყანაში ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგები, შემუშავებული მეთოდები მთაგორიანი რეგიონებისთვის ვარიანტების შედარების და გზების სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლები გარკვეული კორექტივებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერ ქვეყანაში არსებულ მთაგორიან რეგიონებში დაპროექტებული საავტომობილო გზებისათვის.

Mechanisms of financial provision of transport infrastructure development

Student Tsotne Gorozia
GTU, Construction Faculty, II yaer PHD
Head Konstantin Mchedlishvili
Academic Doctor of technical sciences, full Professor of GTU

In the report world's mountainous regions, their relief peculiarities and road network development characteristics are reviewed. It is shown motor road layout common regularity from river large field, then from tighter valley along Mountain River, afterwards with route development toward pass. Types characterizing motor roads planning and longitudinal profile for mountainous landscapes are shown with quality and peculiarity characteristics. Routing regularities and route elements characteristics identity for all regions are given. Relatively we can use results of theoretic and experimental surveys conducted in any country, developed methods for mountainous regions, we can compare versions and roads transport-exploitation characteristics and use with particular correctives designs for mountainous regions roads existing in any country.



„რელსი-თვალი“ სისტემის დინამიკის პრობლემის გაუმჯობესების შესახებ

სტუდენტი ალექსი კორელი
სტუ. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
დოქტორანტურა (საგზაო ინჟინერია), მე-3 კურსი

ხელმძღვანელი მანანა მოისწრაფიშვილი - ტ.მ.კ. პროფესორი

ნაშრომში წარმოდგენილია „რელსი-თვალი“ სისტემის ურთიერთქმედების დინამიკის გაუმჯობესების ანალიზი საქართველოს რკინიგზის მაგალითზე მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების ღონისძიებების შემუშავებისთვის. ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ მოძრავი შემადგენლობის ლიანდაგიდან აცდენის და მისი გაუმართაობიდან გამომდინარე წუნების ოდენობამ შეადგინა სრული წუნების ოდენობის 36 %, რაც საგანგაშო მაჩვენებელია და უკავშირდება „რელსი-თვალი“ ურთიერთქმედების სისტემის მუშაობის ხარვეზს. განსაზღვრულია „რელსი-თვალი“ სისტემის ქვესისტემები და განხილულია თითოეული ქვესისტემის შემადგენელი კომპონენტი ასპექტპრობლემების ჭრილში და ასევე, რკინიგზის ლიანდაგში ბიკლოტოიდური მრუდების გამოყენების შესაძლებლობისა და „მოძრავი შემადგენლობა-ლიანდაგი“ სისტემის მოდელირების საფუძველზე წერილი და ბიკლოტოიდური მრუდების შედარებითი შეფასება. დადგენილია, რომ ბიკლოტოიდური მრუდში მოძრავი შემადგენლობის მოძრაობისას გვერდითი ძალების მაქსიმალური სიდიდეები უფრო მცირეა ვიდრე მოძრაობისას ტრადიციულ წრიულ მრუდებზე.

About of the problems of dynamic improvement of the system: "rail - wheel"

Student Aleqsi Koreli
GTU, Faculty of Transportation and Mechanical Engineering
Doctoral study (Road Engineering) 3rd course

Head Manana Moistsrapishvili - C.T.S. Professor

In this issue are considered the analysis of the dynamic interaction in the system: "rail - wheel" is proposed by the example of Georgian Railway for elaboration of the measures to enhance the safety of the train operation. Based on the analysis it has been established that the amount of the derailments of the rolling stock as well as of the troubles caused by its failed state comprised 36% from the total amount of the troubles. The subsystems of the system: "rail - wheel" are determined and the components of each subsystem are considered in the light of the aspect-problems for solving of four problems and to investigate one of the basic problem - improvement of geometric profile of the rail track - in the dissertation the comparative estimation of circular and biclothoidal curves is presented on the basis of the possibility of the use of biclothoidal curves in the rail track by modelling of the system: "rolling stock - rail track".

It was established that at the operation of the rolling stock in biclothoidal curve the maximum values of the lateral forces are less than at the operation in traditional circular curves.



არქიტექტურისა და ურბანისტიკის სექცია

ანტონიო გაუდის როლი არქიტექტურაში

სტუდენტი

ანა გიგანი

სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი,
ბაკალავრი, მე-4 კურსი

ხელმძღვანელი

დავით ბოსტანაშვილი

ასოცირებული პროფესორი, აკადემიური დოქტორი

არსებობს არქიტექტურა, მაგრამ ანტონიო გაუდის შემოქმედება სხვა განზომილებაში განსაზღვრას მოითხოვს. ყველა მოცულობა მთლიან, კონკრეტულ კომპოზიციას ქმნის, სადაც უმცირეს დეტალსაც კი, საერთო სახეში უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს. მისი არქიტექტურა ნათელი მაგალითია იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე სრულიად შესაძლებელია არაამქვეყნიური არქიტექტურული ზედაპირებისა და შიდა სივრცეების შექმნა. თემის აქტუალმა მდგომარეობს ტექნიციზმის გაბატონებულ ეპოქაში სხვა გზების მოძიებაში.

Antonio Gaudi's role in architecture

Student

Ana Gigan

GTU, Faculty of Architecture, Urbanism and design. Bachelor, 4th Course

Head

Davit Botanashvili

Associate Professor, PhD

There is architecture, but Antonio Gaudi's creations find their place in other dimension. All volumes, making a concrete composition, stand out with their smallest details that carry a particular significance. Gaudi's architecture is an example, that unmatched architectural surfaces and inner spaces can be crafted without relying on futuristic technologies. The paper searches new ways of creativity in the age dominated by technocentrism



ომი და არქიტექტურა

სტუდენტი

ელენე ბეჟანიშვილი
სტუ, არქიტექტურის, ურბანიტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.
ბაკ.ტი. კურსი-II

ხელმძღვანელი

დავით ბოსტანაშვილი
აკადემიური დოქტორი. ასოცირებული პროფესორი.

თემაზე მუშაობის იდეა, იმ თვისებებისა და პრინციპების ერთობლიობამ გამოიწვია, რომლებსაც არქიტექტურა მუდმივად თან ატარებს. თითქმის, არ არსებობს ცნება, რომელთანაც არქიტექტურა შეუთავსებელია. არც ომი აღმოჩნდა გამონაკლისი. ამ თემის აქტუალობაზე თუ ვისაუბრებ, გეტყვით, რომ ეს არათუ განხილვის საგანი, არამედ ნორმალური მიმდინარეობის განუყოფელი ნაწილია. მოხსენების თითოეული ნაწილი დაეთმომა ამ თემის სხვადასხვა რაკურსით განხილვას. მაგალითად არქიტექტურისა და ძალადობის ინტიმური კავშირები; წგრევა, როგორც ახლის შენების წინაპირობა; ის, თუ როგორ კარგავენ არქიტექტურული დეტალები(ხელოვნება) ფუნქციას, თუ როგორ იქცევიან ფარად და საბოლოოდ როგორ ეწირებიან მსხვერპლად; ომის შემდგომ განადგურებული ქალაქების აღდგენის პრინციპები. მაგალითები სხვადასხვა ქალაქის შესახებ; და ა.შ.

ისაუბრო ომისა და არქიტექტურის შესახებ და არ ახსენო ამერიკელი არქიტექტორი ლეიბუს ბიგელოუ ვუდსი, წარმოდგენილია. მოხსენების ერთი ნაწილი აუცილებლად დაეთმომა მის გამოცდილებასა და შეხებულებებს ამ საკითხზე. და ბოლოს, ომი, რომელსაც არქიტექტურა თავად უცხადებს საკუთარ თავს.

War and Architecture

Student

Elene Bezhanishvili
GTU, Faculty of Architecture, Urbanization and Design
Study Level-Bachelor. Course - II

Head

Davit Bostanashvili
Academic doctor. Associate Professor.

The idea of working on this subject, came from the combination of the principles and features, that architecture brings always by. Nearly there's no precept where the architecture is incompatible. Neither was war an exception... If I talk about this topic's topicality, I can tell you that that's not only a theme of discussion, but an integral part of a normalart's stream. Each part of a report willreview a discussion about topic's different perspectives and parts.

For Instance: The intimate ties between architecture and war; Demolition – as the precondition of building; Long ways and principles for renovating destroyed cities. Examples of different occasions; the way how architecture/art loses the function, how they transform in the shields, and finally how they become sacrifices.

Speaking about war and architecture's relations, and not mentioning the American architect Lebbeus Woods is unacceptable. So I will talk about his experiences and point of view about this theme.And finally, the war, which the architecture declares on itself.



არქიტექტურის ფაკულტეტის პროექტირების თანამედროვე გადაწყვეტილებები

სტუდენტი	თამარ კახიძე სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრიატი, III კურსი
ხელმძღვანელი	ნინო იმნაძე

განხილულია არქიტექტურის ფაკულტეტების უახლესი შენობები. აღწერილია მათი მხატვრულ-გეგმარებითი თავისებურებები. ხაზი გაესვა თანამედროვე მიდგომებით პროექტის შექმნის უპირატესობას.

Modern solutions for designing architecture faculty

Student	Tamar Kakhidze GTU, Faculty of Architecture, Urban planning and Design Bachelor III year
Head	Nino Imnadze

The study examines the newest buildings of architecture faculties. The author describes their artistic-planning characteristics. The emphasis was laid on modern approaches to the project.



არქიტექტურა, როგორც მულტისენსორული დისციპლინა.

სტუდენტი	ლევან ძეგველაშვილი სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. ბაკალავრი II კურსი
ხელმძღვანელი	დავით ხოსტანაშვილი აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მოხსენება ეფუძნება ცნობილი ფინელი არქიტექტურისა და თეორიტიკოსის იუჰანი პალასმას წიგნს "კანის თავლებს" და წარმოადგენს აღნიშნულ ნაშრომში არსებული არქიტექტურული თემატიკის განვრცობას, განზოგადებასა და მისადაგებას, ქართულ თუ საერთაშორისო არქიტექტურულ პლობლემეტიკასთან. მოხსენებაში გამოკვეთილია არქიტექტურის აღქმისა და შეფასების განსხვავებული დისკურსი, რომელიც გარკვეულწილად გეთავაზობს არამხოლოდ თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციების ახლებურად დანახვას, არამედ ისტორიულად, ამ დისციპლინაში მიმდინარე მოვლენების განსხვავებულ შეფასებასაც. ავტორი ძირითად პრობლემად გამოყოფს არქიტექტურის აღქმის პროცესში თვალისმიერი როლის დომინირებას, რაც, მისივე მოსაზრებით იწვევს სხვა სენსორულ მახასიათებელთა განდევნას და უგულვებელყოფას არქიტექტურის შეფასების თუ სწავლების პროცესში. წიგნის სათაური "კანის თავლები" ხაზს უსვამს ავტორისეულ განსაკუთრებულ მიმართებას ტაქტილური შეგრძნებებისადმი და აცხადებს მის სურვილს მოხდეს შეხებითი სენსორული მახასიათებლების წინ წამოწევა არქიტექტურის აღქმისა და შეფასების პროცესში.

Architecture as a Multisensory discipline.

Student	Levan Dzegvelashvili GTU, Faculty of Architecture, Urban Planning and Design. bachelor II course
Head	David Bostanashvili PhD, associate professor

The essay is based on famous finnish architect and architectural theorist, Juhani pallasmaas's book "the eyes of the skin", and represents the summery of the emphasized problems, that arementioned inthe book. The essayproposes the different discourse of perception of the architecture and offers different view, not only of modern architectural tendencies, but also, historically, ongoing worldwide or local processes in above mentioned discipline. Author's main concern is the increasing dominance of vision and the suppression of other senses in the way architecture is taught, conceived and critiqued, and the consequent disappearance of sensory and sensual qualities from architecture. The title of the book -"the eyes of the skin" also emphasizes author's special attitude towards tactile sensory responses and expresses the wish ofstrengthenhaptic sensory experience in the process of understanding architecture.



თეთრი სამყაროს დასაწყისი

სტუდენტი ქეთევან მანჯაყარაშვილი
სტუ. არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის
ფაკულტეტი ბაკალავრიატი II კურსი.

ხელმძღვანელი დავით ზოსტანაშვილი
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თემა განიხილავს ხელოვნების ავანგარდული მიმდინარეობების მნიშვნელობას არქიტექტურის და დიზაინის სფეროში. ამ მხრივ, მეოცე საუკუნის არქიტექტურისთვის გადამწყვეტი როლი დე სტილის სკოლამ ითამაშა.

„ყვეისფერი სამყარო“ უნდა შეიცვალოს „თეთრი“ სამყაროთი, – ეს სიტყვები გადმოსცემენ დე სტილის სულისკვეთებას. წმინდა აბსტრაქცია, ფორმისა და ფერის საწყისებამდე დაშლა, „სისუფთავე“ არქიტექტურა, კანდაკება და მხატვრობა მკაცრად დაკავშირებული ელემენტარული და სენტიმენტალიზმს მოკლებული მანერით. ალბათ ეს ის ნიშნებია რითიც დე სტილი და ბაუჰაუსი ერთმანეთს ეხმიანება. ბაუჰაუსი არ ყოფილა მხოლოდ „მშენებლობის სკოლა“. ბაუჰაუსი არის ხედვა რომელიც გახდა თანამედროვე დიზაინის, მოდერნისტული არქიტექტურის და ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობა და დღესაც ინარჩუნებს ამ სტატუსს. შემოქმედებითი ფანტაზია და პრაქტიკული ცოდნის შერწყმა ისაა ფუძემდელია, რომლებიც საუკუნეების შემდეგ მტ მნიშვნელობას მიანიჭებენ იმ სააზროვნო და შემოქმედებით სკოლას, რომლის შეილობაშიც არიან გროპიუსი, მერიერი, ვანდეროე, კლუე, კანდინსკი, ლისიცი; მეორეს მხრივ დეისბურგი, მონდრიანი, ოუდი, რიტველი.

The beginning of the wite World

Student Ketevan Manjaparashvili
GTU, Faculty of Architecture, Urbanization and Design
Bachelor Course II

Head Davit Bostanashvili
Academic doctor. Associate Professor.

Following essay reviews the importance of avant-garde movement of art in architecture and design fields. De Stijl school played key role for XX century architecture.

'Brown World' should be replaced with 'White World' – these words describe the spirit of De Stijl school. Pure Abstraction, cut form and color to its basic parts. 'Cleanness'. Architecture, Sculpture and painting with strictly attached manner and lack of sentimentalism. Bauhaus was not only the "Building School" but Bauhaus is the vision that became one of the most influential currents of Modern Design, Modernist Architecture and Art and keeps the status until now. Combining of creativity and practical knowledge are the basis that will give more importance to that intellectual school even after centuries. On one hand Gropius, Meyer, Mies van de Rohe, Klee, Kandinsky, Lissitzky and Doesburg, Mondrian, Rietveld on the other hand are the representatives of this school.



რაბათის ციხე-ქალაქი

The report refers to the history of Tbilisi facades from the recent past to the present. The actuality of this topic was conditioned by the state of urban environment , as well as chaotic solution of facades.

Today's solution of Tbilisi facades,the topic of multilateral discussion should be involved in the involvement of various professionals,because today's situation fully reflects the unprofessional and indifferent attitude of their city,i consider it's a crime,the city which has a long history.



სახელმწიფოს როლი ბუნებრივ და ეკო კატასტროფების რეგულაციასა და პრევენციაში

სტუდენტი მარიამ გელაძე
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი,
ზაკალავერიატი, IV კურსი,
ხელმძღვანელი ქეთევან სალუკვაძე
არქიტექტურის დოქტორი, ასისტენტ ხელმძღვანელი

დედამიწაზე ყოველდღიურად მატულობს ეკო და ბუნებრივი კატასტროფების რიცხვი. სახელმწიფოს ვალდებულებაა შეისწავლოს პრობლემური ტერიტორიები, გამოიკვლიოს და შეიმუშავოს სპეციალური გეგმა, მიიღოს საჭირო ნორმები, რადგან თავიდან აიცილოს კატასტროფების მიერ გამოწვეული პრობლემები და იზრუნოს ლოკალურ უსაფრთხოებაზე.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ როგორ უმკლავდება სხვადასხვა ქვეყანა ბუნებრივ და ეკო კატასტროფებს, რადგან მათზე დაყრდნობით შედარებით დაბალი განვითარების ქვეყნებს ჰქონდეთ ნათელი მაგალითი, სახელმწიფოს სწორი მუშაობის. საჭიროა სწორედ ამ კუთხით საქართველოს განვითარება - აუცილებელია სახელმწიფოს სწორი მიდგომა, აქტიურობა, რადგან თავიდან აიცილოთ ეკო და ბუნებრივი კატასტროფების მიერ გამოწვეული ზარალი.

The Role of Government in Disaster Prevention

Student Mariam Geladze
GTU, Faculty of Architecture, Urban Planning and Design,
Bachelor, IV grade.
Head Ketevan Salukvadze
Doctor of Architecture, Assistant Professor

Government's one of the main obligation is to prevent Eco and Natural disasters , which are daily increasing. Government strategies policies and services related to prevention in Progressive countries are greatest examples to follow. preparedness and recovery are important in countries like Georgia, where Effective — and cost-effective — disaster reduction must be grounded in a thorough understanding of the physical forces a community faces and their likely impacts on the human, built, and natural environment.



ინსტალაციის როლი თანამედროვე არქიტექტურაში

სტუდენტი	თინათინი ქორიძე სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, მაგისტრატურა, II კურსი
ხელმძღვანელი	თინათინ ჩიგოგიძე არქიტექტურის ასოცირებული პროფესორი

მოხსენებაში განხილულია ინსტალაციის არსი, თანამედროვე ხელოვნების სივრცითი კომპოზიცია, რომლის დამმარსებლად მიიჩნევა მარსელ დიუშანი და სიურეალისტები. მათ დასაბამი მისცეს ახალ მიმდინარეობას, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური და ილუზიურიც, რაც ბოლო პერიოდში ხელოვნებისა და გრაფიკის მაღალ დონეს წარმოაჩენს. ინსტალაცია განსაზღვრულია დროსა და სივრცეში. თანამედროვე ინოვაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს იდეის რეალიზებაში. განხილულია კონკრეტული მაგალითები, თავდაპირველიდან თანამედროვე ნიმუშებამდე. კონცეფცია, გზა იდეიდან რეალობამდე, მასალებისა და ინოვაციების დახასიათებით.

Installation in modern architecture

Student	Tinatini Koridze GTU, Faculty of Architecture, Urban planning and Design, Master Degree, II Course. Tinatin Chigogidze
Head	Associate professor of Architecture.

The report contains the essence of installation, the spatial composition of contemporary art, which is regarded by Marcel Duchamp and Surrealism. They give rise to a new process that can be physically and illusive, which presents a high level of art and graphic programs. Installation is defined in time and space. Modern innovations play an important role in realizing the idea. The specific examples are from the original to contemporary samples. Concept, the way from the idea to implementation, description of materials and innovations.



საცხოვრებელი ბინის მხატვრულ-ესთეტიკური და ფუნქციური გადაწყვეტის პრინციპები

სტუდენტი	ელენე კანტიძე სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, დოქტურანტურა, II კურსი
ხელმძღვანელი	გიორგი წულუკიძე არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი - დოქტორი

საცხოვრებელი ბინის ინტერიერის შექმნისას ბევრი პრობლემა წარმოიქმნება. აქედან გამომდინარე, საჭიროა სწორად მივუღვეთ საკითხს, რათა შევქმნათ „სასახლე“. ამისათვის საჭიროა ფერის, სტილის, განათების, ავეჯისა და სხვა მეთოდების სწორად გამოყენება. ბინის მოწყობისას მთავარი ამოცანაა - მხატვრულ-ესთეტიკური და ფუნქციონალური ორგანიზება. ფართის პროექტირებისას გასათვალისწინებელია, რომ ბინა არ უნდა იყოს მარტო ფუნქციონალური. სიმყუდროვე და სტილი ასევე შედის მისი ფორმირების ამოცანაში. საცხოვრებელი ბინების ინტერიერების სრულფასოვანი, ფუნქციური და ესთეტიკური გადაწყვეტის მიზნით მნიშვნელოვანია იმ რეკომენდაციებისა და წინადადებების გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს მათი შიდა სივრცის მრავალმხრივად სწორ ფორმირებას, შემდეგი პარამეტრებით: 1. ბინის რაციონალური გეგმარებითი სტრუქტურა; 2. ბინის სწორი ფუნქციონალური ზონირება; 3. ბინის ინტერიერისთვის სტილის სწორად შერჩევა; 4. ბინის ინტერიერის სწორი დეკორატიული გადაწყვეტა; 5. ბინის მოწყობა სწორად შერჩეული ავეჯით, განათებით; 6. ბინის ინტერიერის მასშტაბისა და შემადგენელი ელემენტების თანაზომიერების მართვა ვიზუალური გაზრდისა თუ შემცირების მიზნით; 7. კარ-ფარჯრების ფორმებისა და პარამეტრების როლი ბინებში; 8. ზოგადი რეკომენდაციები ბინის ინტერიერის მოწყობისათვის.

Principles of the artistic-aesthetic and functional solution of the residential apartment

Student	Elene Kantidze GTU, Architecture, Urban Planning and Design Faculty, doctoral, II Course
Head	Giorgi Tsulukidze- Candidate of Architecture Sciences-equivalent to PHD

Many problems arise creating the interior of the residential apartment. Therefore, it is necessary to approach the issue correctly to create a "palace". For this we need touse correctly color, style, lighting, furniture and other methods. The main task of furnishing an apartment is the artistic-aesthetic and functional organization. While projecting the space, it must be taken into account, that the apartment should not be functional only. Its formation task also includes the coziness and style. For the purpose of high-quality, functional and aesthetic solution of residential apartments interiors, it's important to take into consideration those recommendations and suggestions, which provides the exact formation of their internal space, with following options: 1. Rational planning structure of the apartment; 2. Exact functional zoning of the apartment; 3. Exact selection of style for apartment interior design; 4. Exact decorative solution of apartment interior; 5. Furnish an apartment with right chosen furniture, lighting. 6. Manage the intensity of the interior of the apartment and the constituents for visual enhancement or reduction. 7. The part of doors and windows shapes and parameters in an apartment; 8. General recommendations for arranging an apartment interior.



არქიტექტურის საფუძვლების სექცია

ანანაურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია

სტუდენტი ააკი მჭედლიძე
სტუ, არქიტექტურის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, I კურსი
ხელმძღვანელი ნათია ასათიანი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ანანაურის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, იგივე ჭრელი საყდარი მდებარეობს ლაგოდეხის რაიონ, სოფელ ანანაურში. ქალაქი ლაგოდეხიდან 32 კილომეტრის დაშორებით. ამ ეკლესიაზე ჯერჯერობით კვლევები არაა ჩატარებული და მე შევეცდები გაგანოთ ჩემი მოკრძალებული კვლევა-ანალიზი. ჭრელი საყდარი არის ერთნავეანი, ორფერდასახურავიანი, მარტივი სწორკუთხედის ფორმის ტაძარი. ნაშენია ადგილობრივი რივის ქვით. იგი განსაკუთრებული და ინდივიდუალურია იმით, რომ მოხატულია გარედანაც. ეკლესიის დასავლეთ ფასადზე (გარედან) გამოსახულია ნადირობის სცენა, რომელიც შესრულებულია მეწამული ფერის საღებავით. ეკლესიას, სიმეირის გამო სამხრეთ ფასადზე მიშენებული აქვს სამლოცველო. ჭრელი საყდარი, სავარაუდოდ, რომელიმე ადგილობრივი ფეოდალის საძვალეა. რასაც ამტკიცებს ეკლესიის მიწაშენის მშენებლობის დროს ნაპოვნი ძვლები

The Ananuri Church

Student Akaki Mchedlidze
GTU, Faculty of Architecture, Bachelor, 1 Course
Head Natia Asatiani
Doctor of Art's science, Professor

The Ananuri Church, the same majesty is located in Lagodekhi district, village Ananuri. The city is 32 kilometers away from Lagodekhi. There have not been any studies conducted on this church, but I will try to introduce my modest research-analysis. The church is cross-country, a one-sided, double-sided, which has a simple rectangular form. It was built with a local coconut stone. It is special and individual by drawing from the outside. On the western fringe of the church (from the outside) is a hunt scene that is made of purple color and it makes the sense of individualism of this church. The church has a chapel on the south facing due to the lack of light. A crossfire is supposedly the footsteps of any local feudal. This is confirmed by the bones found during the construction of the church.



თბილისის წმ.ბარბარეს სახელობის ტაძარი

სტუდენტი	გვანცა ნორაკიძე
ხელმძღვანელი	სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, 1 კურსი ნათია ასათიანი ხელოვნებისმცოდნე დოქტორი პროფესორი

ტაძრის აგების იდეა 1993 წელს ბავშვთა ფედერაციის სასახლეში დაიბადა. პატრიარქმა სურვილი გამოთქვა ბავშვთა მფარველი წმინდანის – ბარბარეს სახელობის ეკლესია აშენებულიყო. ნება-სურვილის განხორციელება ითავსებდა ფედერაციის დირექტორმა ლაშა კიკალიშვილმა და თავჯდომარე კობა გილაშვილმა. მხარდაჭერის მიზნად პატრიარქმა ტაძარს წმ. ბარბარეს ხატი და წმინდა ნაწილები გადასცა. ტაძრის მშენებლობა 1998 წელს დაიწყო. მისი პროექტი შეადგინა არჩილ მინდიაშვილმა. 2000 წლის დეკემბერში ტაძარი აკურთხა ცაგერისა და სვანეთის მთავარეპისკოპოსმა ნიკოლოზმა, ხოლო პირველი წირვა-ლოცვა ადვლინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. ტაძარი მოხატა მამა ანტონ ბეჟანიშვილმა. 2004 წელს დაიწყო წმ.ბარბარეს ტაძრის გაფართოების სამუშაოები. ეკლესიას მიუსენდა მარჯვენა და მარცხენა ნავეები. საკურთხეველიც მოეულობით გაიზარდა, მიემატა სამკვერთლო და სადიაკვნე ოთახები. დ.მხარეს ეკლესიის დარბაზი საკმაოდ გაგრძელდა. ტაძრის საკურთხეველი და გუმბათი 2001-2002 წლებში

Church of Saint Barbara

Student	Gvantsa Norakidze GTU, Faculty of Architecture, Bachelor, 1 Course
Head	Natia Asatiani Doctor of Art's science, Professor

The idea of building this church was born on 1993. During the visit of catholicos-patriarch of all Georgia, ilia II, to Georgian federation for children. The patriarch wished to have built a church of Saint Barbara nearby. The patriarch's wish was later fulfilled by the former president of Georgian Federation for children, Lasha kikalishvili, and the chairman, koba gilashvili. As a token of support, his holiness and beatitude ilia II gave the icon of Saint Barbara and the holy parts of the Saint as a gift to the church in 1993. The construction of the church began in spring of 1998. The employees took part in the building personally. Project was planned by the architect Archil mindiasvili without any cost. In December 2000 the church was sanctified by archbishop Nikoloz. The first mass prayer was said by the Catholicos Patriarch of all Georgia. The church was designed by Antoni Bezhanishvili. The broadening of the church began in 2004. The size of the altar, also the number of deacon's rooms, increased. As a result of creating a rational construction project the west side of the hall grew in length. The altar and dome of the church were painted by the abbot in 2001-2002. Other services in the church of saint Barbara were continued in 2012 by Vasil Zandukeli.



ვენის სეცესიონი

სტუდენტი	გიორგი კრავჩენკო სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიპლომატიის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი 2 კურსი
ხელმძღვანელი	მაია ძიძიგური

ვენის სეცესიონი ფინ დე სეკლის (არტ ნუვოს) ეპოქის ვენის მხატვრების გაერთიანებაა. დაარსდა 1897 წლის 3 აპრილს კოლომან მოზერის, იოზეფ ჰოფმანის, იოზეფ მარია ოლბრიხის, ვილჰელმ ლისტისა და სხვა მხატვრების მიერ. ოლბრიხის მიერ აშენებული სეცესიონის მთავარი შენობა ვენაში, კარლსპლაცის მოედანზე მდებარეობს. ვენის სეცესიონი, თავისი „სეცესიონ სტილის“ სრულყოფილად ჩამოყალიბებაში გავლენას განიცდიდა არტ ნუვოს ეპოქის სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნებისაგან. ისინი იყვნენ ცნობილი როგორც ფერწერულ-გრაფიკული ნამუშევრებით ასევე ქანდაკებებითა და არქიტექტურული კომპოზიციებით.

1903 წელს ვენის სეცესიონმა დააარსა ვენის ვორქშოფების კომისია, რომელსაც წლების განმავლობაში ჰქონდა თავისი სადურგლო საამქრო. მათ გაერთიანებაში 100 თანამშრომელი იყო. მათ განეკუთვნებოდა კერამიკის, მოდის, სამკაულების, ავეჯის და გრაფიკის სფეროები. თანდათანობით ზოგიერთი წევრი იდეური უთანხმოების გამო კომისიას გამოეთიშა. პრიმიტივიზმისკენ სწრაფვა წარმოიჩინდა ფერწერულ ნამუშევრებში, მოსაწყვეების წარმოებასა და იფუფასიანი მასალების გამოყენებაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მათი ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და 1932 წელს ყველა ფილიალი დაიხურა.

Vienna Secession

student	Giorgio kravchenko GTU, Architecture, Urban Planning And Design Faculty. Bachelor. 2 nd course
Head	Maia dzidziguri

The Vienna Secession is an association of Viennese artists in the era of Fin de siècle (Art Nouveau). It was founded on 3 April 1897 by artists Gustav Klimt, Koloman Moser, Josef Hoffmann, Joseph Maria Olbrich, Max Kurzweil, Wilhelm Bernatzik and others, who resigned from the Association of Austrian Artists. Olbrich built the main building of Secession in Vienna, on the Karlsplatz square. The Vienna Secession was inspired by different art states of the Art Nouveau epoch to perfectly form their "Secession Style". They were known with the paintings and graphic works, sculptures and architecture.

The Wiener Werkstätte (*Vienna's Workshops*) was founded in 1903, which had the joinery shops for many years. There were 100 employees in the union. They developed ceramics, fashion, jewelry, furniture and graphic spheres. Gradually some members dropped out of the commission due to an ideal disagreement. The motivation for primitivism is reflected in painting works, invitations and using of cheap material. After the First World War, their financial situation deteriorated and in 1932 all branches were closed.



თბილისის კლდისუბნის ეკლესია

სტუდენტი გიორგი ჩაბალუხა
სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი I კურსი
ხელმძღვანელი ნათია ასათიანი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

თბილისის წმ.გიორგის კლდისუბნის ეკლესიით დავინტერესდი მისი ისტორიის გამო. არსებული ტაძარი თავდაპირველ გეგმაზე დაყრდნობით მეფე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ხანას განეკუთვნება. საკულტო ნაგებობა, ერთნავიანი გეგმითაა შემონახული, თუმცა გამოვლენილია V-VII საუკუნის ეკლესიის ნაშთი. ყურადსაღებია ეგზარქოსობის დროს დამატებული გუმბათი. იმავდროულად სომხების მიერ შფოთისმომგვრელი, სრულიად შეუსაბამო, ფრონტონზე შემოდგმული სამრეკლო,რომლის დემონტაჟი მამა მიქაელმა ვერ მოახერხა სომხების მიერ ტაძრის კულტურულ მემკვიდრეობათა სიაში შეტანის გამო. ტაძართან დაკავშირებული პრობლემები 2002 წლიდან აღმოიფხვრა მამა მიქაელის დიდი ძალისხმევით. ეკლესიის შესახებ მცირე ინფორმაციის გამო შევეცადე ჩამეტარებინა ჩემი მოკრძალებული კვლევა და ძეგლის სტილისტური ანალიზი.

Kldisubani church of Tbilisi

Student Giorgi Chabalukha
GTU, Faculty of Architecture, Bachelor ,1 Course
Head Natia Asatiani
Doctor of Art's science, Professor

I was interested about , due to its history of Kldisubani church of Tbilisi St. George church. The existing cathedral is based on the original plan of King Teimuraz II and Erekle II. The architectural structure is preserved in a single plan. However, there are some reasons, which makes us to think that the church was revealed in the fifth or seventh century. The dome also was added to the eugarkosib. At the same time, a mausoleum added on the fronts of an unpleasant and totally irrelevant fountain by the Armenians, which was dismantled by Father Michael, was made by the Armenians to be included in the Cultural Heritage List of Armenians. Problems related to the church have been eradicated since 2002 by Father Michael. Because of the lack of information about the church, I tried to take my modest research and a stylistic analysis of the monument.



მე-20 საუკუნის დასაწყისის საბჭოთა(რუსული) ავანგარდი და
მისი გავლენა თანამედროვე აზროვნებაზე

სტუდენტი	გურამ ლიპარტელიანი სტუ. არქიტექტურის უზრანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრიატი IV კურსი
ხელმძღვანელი	მაია დავითაია აკადემიური ხარისხი -აკადემიური დოქტორი , აკადემიური თანამდებობა - ასოცირებული პროფესორი

რუსული ავანგარდი მოიხდებოდა 1890-1930 წლებს. იგი პოპულარობის ზენიტში 1917 წლიდან მოექცა. ამასი წელიწადი მიუძღვის რუსეთის რევოლუციასაც. ავანგარდი როგორც ტერმინი აერთიანებდა ხელოვნების მრავალ სტილს: სუპრემატიზმი, კონსტრუქტივიზმი, რუსული ფუტურიზმი, კუბო-ფუტურიზმი, ზა უმ და ნეოპრიმიტივიზმი. ამ დარგებში მოღვაწეობდნენ : კაზიმირ მალევიჩი, ელ ლისიტკი, ვლადიმირ ტატლინი, ვასილი კანდინსკი, დევიდ ბურლუკი... ამ ხალხის შემოქმედებამ და თეორიულმა იდეებმა საფუძველი ჩაუყარა ახალ აზროვნებას, სივრცის ახლებურ გააზრებას. როგორც რუსი კრიტიკოსები წერდნენ 1920იან წლებში, ეს იყო მომავლის ხელოვნება, ფერმენტი საიდანაც ახალი შხატერულ-ფსიქოლოგიური სკოლა წამოიშვა. ამ ხელოვნების შემოქმედებამ გავლენა იქონია ბაუჰაუსის მოძრაობაზე, დე სტილზე. მკაფიოა ავანგარდის გავლენა დეკონსტრუქტივიზმზე. მათი პროექტების უმრავლესობას, უტოპიურობისა და აბსტრაქციულობის გამო, ქაღალდის არქიტექტურა ეწოდა. ქაღალდზე დარჩენილი და წლების შემდეგ რეალიზებული პროექტები აისახა თანამედროვე არქიტექტორების შემოქმედებაში და განსაზღვრა მათი არქიტექტურული აზროვნება.

Soviet Union(Russian) Avant-Garde and it's influences on contemporary architecture

Student	Guram Liparteliani GTU, Faculty of Architecture, urbanism and design, Bachelor degree, 4 th Year
Head	Maia Davitaia Academic Degree - Master of Architecture Academic Position - Associated Professor

The Russian avant-garde was approximately from 1890 to 1930. It reached its creative and popular height in the period between the Russian Revolution of 1917 and 1932. The term covers many separate art movements: Suprematism, Constructivism, Russian Futurism, Cubo Futurism, Zaum and Neoprimativism. And the artists : Kazimir Malevich, El lissitzky, Vladimir Tatlin, Wassily Kandinsky, David Burliuk... On the bases of their works and ideology, started a new way of thinking. As the Russian critics said in 1920s, this was the art of the future. This was the ferment which could establish a new artistic school. Avant-garde influenced on Bauhaus Movement, De still. Also, it's easy to see its' roots in Deconstructivism movement. Most of Avant-garde drawings are called "Paper Architecture". That's because of their abstractiveness. This paper architecture, which was built after decades, is presented in modern architects' works.



უწვეულო არტეფაქტები

სტუდენტი	დიმიტრი კახიძე სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრიატი მეორე კურსი
ხელმძღვანელი	მაია ძიძიგური

არსებობენ არტეფაქტები, რომლებიც არ ჯდებათ ჩვენთვის ჩვეულ წარმოდგენებში და ეწინააღმდეგებიან იმას რასაც გვასწავლის ოფიციალური მეცნიერება. მეცნიერება ვერ ხსნის მათ წარმოშობას, ვერ იცებს თუ რით, როდის და როგორ დაამზადეს ისინი, ამიტომ უკომენტაროდ ტოვებს მათ, ზოგს კი ყალბათაც აცხადებს.

ეს თემა სწორედ ასეთ არტეფაქტებს განიხილავს. ხოლო გამოგონებელი ფაქტები მათ უტყუარობას უსვამს ხაზს, პლიუს ამას ჩვენ ვნახავთ წერილობით წყაროებს, რომლებშიც აღწერილი ფანტასტიური მოვლენები, რომლებიც შეიძლება რეალურ ამბებს გადმოსცემდეს. ასევე განვიხილავთ ძველ დროს არსებულ ტექნოლოგიებს, რომლებიც ოფიციალური მეცნიერების თანახმად მხოლოდ XX ს-ის ბოლოს გამოიგონეს!

ჩვენ შევძლებთ ახალი თვალით დავინახოთ ისტორია, აღმოვაჩინოთ უამრავი არტეფაქტები, რომელთა შესახებაც აქმდე არაფერი ვიცოდით, ვნახოთ სხვადასხვა კონტინენტებზე მდებარე ერთმანეთის მსგავსი გრანდიოზული ძეგლები, კარგი არგუმენტებით გაცვათილით ტყუილი, გავავლოთ პარალელები ძველ ეპოსებთან, ასევე ბიბლიასთან, ძველ და ახალ მეცნიერებთან და მკვლევარებთან ერთად სიმართლეს ჩაგხედავთ თვალეებში!

Unusual Artefacts

Student	Dimitri Kakhidze GTU, Architecture, Urban Planning And Design Faculty Bachelor. 2 nd course
Head	Maia Dzidzigur

There are artefacts which don't correspond to our usually point of view. They resistance the facts that official science has proved. Science can't explain how it can generate, by what, how and where it was done. That's the reason why they don't make a comment about it and announce as they were false.

This theme discusses exactly these artefacts. Exciting facts I have written about emphasizes their truth. We will read different sources which report about fantastical news that can be real. We will also talk about old-time technologies, which were invented only in XX century-according to official science.

We will be able to speculate on history in new ways, to discover many artefacts, on which we didn't even know about, to see similar huge sightseings on different islands. To defeat the lies with a good arguments. To line the parallels to the ancient period, and also to the bible and we will be led to the truth with old and new scientists and researchers!



ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი

სტუდენტი	ელენე კაკაჩია სტუ. არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ბაკ-ტი. I კურსი
ხელმძღვანელი	ნათია ასათიანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი, დიდი სამონასტრო ანსამბლის მთავარი ცენტრია. მისი მსგავსი ტაძარი სამეგრელოში ჯერ არ აშენებულა. ის გამოირჩევა არა მხოლოდ სიდიდით არამედ, მისი ფასადებიც აღფრთოვანებს მნახველებს, მიუხედავ იმისა რომ მისი მშენებლობა ჯერ კიდევ არაა დასრულებული. ტაძარის შიდა სივრცე დიდია, მაგრამ ჯერ არ არის მოხატული. მისი მშენებლობა 2009 წლის მარტში დაიწყო და დღესაც გრძელდება.

The Cathedral Of Iveria Church Of Zugdidi

Student	Elene Kakachia GTU, Faculty Of Architecture Bachelor I Course
Head	Natia Asatiani Doctor of Art's science Professor

The Cathedral Of Iveria Church Of Zugdidi is the main centre of the great monastic ensemble. A similar great church has not been built yet in Samegrelo. It is distinguished, not only by size, but also viewers are amazed by seeing the facades, despite the fact that the construction is still not finished. The interior of The Cathedral is large, but not painted yet. Construction started in March 2009 and continues today.



მუსიკა და არქიტექტურა

სტუდენტი

თამაზ კიკორია

სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი.
ბაკალავრიატი II კურსი.

ხელმძღვანელი

მაია ძიძიგური

მუსიკა და არქიტექტურა - ეს ის ორი სფეროა, რომელიც ერთი შეხედვით განსხვავებული ჩანს, მაგრამ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ. არქიტექტურას სხვაგვარად გაყინულ მუსიკასაც უწოდებენ. ისევე როგორც აბსტრაქტული ხელოვნების ფორმებია დაფუნდებული რიტმზე, პროპორციასა და ჰარმონიაზე, არქიტექტურასა და მუსიკას შორისაც გადის ეს კულტურული ხაზი. ჩვენ მათი შეკავშირება მრავალმხრივ შეგვიძლია, თუმცა განვიხილავთ მათ თეორიულ, პრაქტიკულ და ვიზუალურ კავშირს.თემაში მაგალითად მოყვანილია ირანის არქიტექტურა, სადაც საკმაოდ „მუსიკალური ფორმებია“ გამოყენებული. ასევე ტაძრების ინტერიერთა იარუსებიც, ნახსენებია ექსპრესიონიზმის დაბადება ორივე სფეროში და ნოტაციის ვიზუალად ქცევა - მისი ფასადზე გამოტანა. საბოლოო ჯამში, არ აქვს მნიშვნელობა, რა პერიოდზე და რა ცვლილებაზეა საუბარი, მუსიკა და არქიტექტურა ყოველთვის ერთმანეთთან შეთანხმებით დეფორმირებს და ვითარდება.

Music And Architecture

Student

Tamaz Kikoria

GTU, Architecture, Urban Planning And Design Faculty
Bachelor2nd course.

Head

Maia Dziridguri

Music and Architecture – these are the spheres, which ones seem different on one look, but have quite a close relationship. Architecture is also mentioned as a frozen music.

As abstract art forms based on rhythm, proportion and harmony, architecture and music share a clear cultural lineage. We can connect them in many many ways, but in our case we connect them with Theory, Practice and Visuality. We give talks about Iranian Architecture, where quite a “musical forms” are used. Also about the interior and the levels of churches. Then there is mentioned the birth of Expressionism in both spheres and how the notation is used on facades. In conclusion, never mind on what period, on what change we will talk about, the fact is that music and architecture always change and improve together.



წყლულეთის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი

სტუდენტი თებრონე დიაკონიძე
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი.
ბაკალავრიატი II კურსი

ხელმძღვანელი მაია ძიძიგური

თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, მთებშია ჩაფლული სააგარაკო დასახლება სოფელი ქვემო წყლულეთი, რომელსაც ბევლი ნასოფლარის ტერიტორია უკავია. მის სამხრეთით 3-ოდე კმ-ში მდინარე ვერეს გადაღმა ბეთანიის მონასტერია. გადმოცემით, როდესაც ბეთანიას აშენებდნენ, სამშენებლო ქვას წყლულეთის გავლით ეზიდებოდნენ და ზოგიერთ მათგანს იქვე ტოვებდნენ ეკლესიის ასაშენებლად. ამიტომაც, რომ წყლულეთისა და ბეთანიის ტაძრები ერთი და იმავე ქვითაა აშენებული.

წყლულეთის ეკლესია ქართული ისტორიოგრაფიისთვის 2005 წლამდე უცნობი იყო. ისევე, როგორც ვახუშტი ბატონიშვილისთვის, რომელიც დაწვრილებით მიმოიხილავს მიმდებარე ადგილებს, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს წყლულეთის ტაძარს.

იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისაფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტაძარი აგებულია XII-XIII სს-ში. აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 2004 წელს. წყლულეთის ტაძრის ინტერიერის გაწმენდის დროს შემთხვევით აღმოჩნდა რუსული ხელობის, ვერცხლის მოოქროვილი ხატი. ამ აღმოჩენამ დღის წესრიგში დააყენა წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური შესწავლა და მისი რესტავრაცია.

The Cathedral of The Mother of God in Tskluleti

Student Tebrone Diakonidze
GTU, The Faculty of Architecture, Urban Planning And Design
Bachelor 2nd Course

Head Maia Dzidziguri

20 kilometers away from Tbilisi to the northwest, there's a settlement hidden in mountains – named Tskluleti village. It's located on an old village territory. 3 kilometers away from that village to the South, across the river Vere, there's the monastery of Bethania. As it was said, when Bethania monastery was building, the stone was carried via Tskluleti and some of them were left there to build the church. That's why Tskluleti and Bethania church are built with the same stones

Tskluleti church was unknown for Georgian historiography until 2005, as for Vakhushti Batonishvili, who mentions the nearby territories in details, but he doesn't even mention the Tskluleti church.

The material that was found after archaeological digs, we can say, that the church was built in XII – XIII centuries. The recovery works began in 2004. During the interior cleaning works, cleaners accidentally found the handmade Russian bronze icon, which was gold plated. This discovery arranged the archaeological studying and restoration of Tskluleti church.



მინის ტექნოლოგია დაარქიტექტურაში მისი გამოყენების პრინციპები

სტუდენტები	ინა ფიჩხაძე , ნინო გარდავა სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ბაკალავრი III კურსი
ხელმძღვანელი	მაგდა ლეკიშვილი არქიტექტურის დოქტორი; ასისტენტ-პროფესორი

ჩვენს საპრეზენტაციო თემაში განხილულია არქიტექტურაში მინის განვითარების ისტორია დროის სხვადასხვა პერიოდში ფუნქციურ დანიშნულებათა და ესთეტიური აღქმით. კერძოდ: არქიტექტურაში მინის გამოყენების საწყისი პერიოდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, XIX-XX საუკუნეების მსოფლიოში წამყვანი არქიტექტორების მიერ დაპროექტებული მინის შენობა-ნაგებობების მაგალითზე და ამასთანავე, „მინის არქიტექტურის“, როგორც დამოუკიდებელი მიმართულების ცნების დაწერგვა ქართულ არქიტექტურაში. არქიტექტურაში მინის გამოყენების ისტორიის გამოკვლევის პარალელურად, ნაშრომში მოყვანილია და აღწერილია მინის თვისებები: ოპტიკური, ქიმიური, ფიზიკა-მექანიკური, სითბური. ასევე მისი დამზადების ტექნოლოგიების განვითარება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღევანდელ დღემდე. გამოყალიბებულია ახლო მომავლის მინის არქიტექტურის პერსპექტიული ხედვა. წარმოიქმნა ახალი მიმართულება მინის გარსის თანდათანობითი გარდაქმნა კიბერტექსტურად, რაც მაღალტექნოლოგიური დანართებით (მასალები, ხელსაწყოები, საინჟინრო აღჭურვა) აღჭურვილი, „გონიერი მინის“ განვითარებაა.

Technology and usage of Glass in Architecture

Students	Ina Pichkhadze, Nino Gardava GTU, Architecture, Urban Planning and Design faculty Bachelor, III course
Head	Magda Lekiasvili Academic Degree: Professor, Academic : Assistant-professor

In the work there is reviewed the history of glass development in architecture according to the functional designation and artistic perception, for instance: Breathe Summery of usage of Glass in Architectural history, based on XIX-XX centuries worlds leading architects glass based buildings and also introduction of "glass architecture" as an independent term in Georgian architecture. Equal with research of history of glass application in architecture, glass characteristics are given in the work: optical, chemical, physical, mechanical aswell as development of technology of its manufacturing from XX century till today. Prospective view of the development of glass architecture for nearest future formatted. Appearing of a new direction on the prospect of architectural design and changing of glass casing into cyber-structure step by step which is considered to be further development of smart glass is equipped with instruments, engineering, equipments.



რეკონსტრუქცია ქალაქის ისტორიულ ნაწილში კონვერსიის გზით

სტუდენტი	ლილე მამუჭაძე სტუ. არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრიატი III კურსი
ხელმძღვანელი	მაია დავითაია აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნათელია, რომ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები საჭიროებენ რეკონსტრუქციას, რაც საკმაოდ სათუთი საკითხია. მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს, როგორც სიძველეები და მისი ღირებულებები, ასევე ახალი ჩარევები და ამ უკანასკნელის მოწესრიგება ისე, რომ მოხდეს მათი ჰარმონიული თანხვედრა და ამავედროულად შეიქმნას ახალი, ღირებული პროდუქტი. ამის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა გზით: მასალით, ფორმით, ზოგ შემთხვევაში კი კონვერსიის მეთოდით, რომელიც გულისხმობს კონტრასტის გზას. მრავლად არის მსოფლიოში კარგი და ცუდი მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს სინთეზი, ან პირიქით გარემო კონტექსტის დარღვევა ისტორიული ძეგლისა და ახალი დანამატების, თანამედროვე მასალაში გადაწყვეტისას. განიხილება მსოფლიოში შექმნილი სხვადასხვა მაგალითები და გაკლებულია პარალელები ქართულ რეალობასთან, თბილისის მაგალითზე.

Reconstruction in historical areas with conversion method

Student	Lile Mamuchadze GTU, Faculty of Architecture, urbanism and design Bachelor degree, 3th Year
Head	Maia Davitaia Master of Architecture, Associated Professor

It seems that cultural heritage monuments accumulated over the centuries need reconstruction, which is very sensitive issue. It's very important to maintain antiquity, values and also make new interventions and make harmony of this two to make new valuable product. There are some ways to reach it: material, shape, and sometimes conversion method, which means contrast way. There are many good and bad examples in the world how to make synthesis or destroy environment context by remaking old historical buildings and making some new additions using modern materials. Will be considered different examples all over the world and make parallels on Georgian reality, based on Tbilisi.



ლე კორბუზიე

სტუდენტი	ლილე აბსანძე სტუ, არქიტექტურის უზრანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, IV კურსი
ხელმძღვანელი	მაია დავითაია აკადემიური დოქტორი ; ასოცირებული პროფესორი;

ლე კორბუზიე მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან არქიტექტორად ითვლება. მისი განხორციელებული პროექტები, უზრანული ხედვები და თეორია უამრავი არქიტექტორისა და ბიუროკრატისთვის მაგალითად იქცა. ამ ამკარა დომინანტურობის გამო, კორბუზიეს გავლენა გლობალურ არქიტექტურაზე განუზომელია. ამკარაა, რომ ასე დრამატულად არქიტექტურა ჯერ არავის შეუცვლია, ამიტომ, ის ცვლილება რაც კორბუზიემ შეიტანა ფორმის, სივრცისა და კონსტრუქციის ხედვაში კარგად უნდა იყოს გააზრებული. თემში კორბუზიე განხილულია როგორც გაკვეთილი, ერთგვარი არქიტექტურული ლაბორატორია და ექსპერიმენტი, რომლის შედეგების გააზრება აუცილებელია.

Le Corbusier

Student	Lile Absandze GTU, Faculty of Architecture, Urban planning and design; Bachelor degree; 4 th Year;
Head	Maia Davitaia Master of Architecture; Associated Professor;

Le Corbusier is considered one of the most influential architects of the 20th century. His buildings and urban plans pointed the way for countless architects and even bureaucrats, many taking his ideas in directions that have made his contributions questionable. Few men in history altered the course of architecture as dramatically as Le Corbusier. The essay is structured around Le Corbusier's work in general and understanding themes as a set of lessons, Seeing his role as a sort of laboratory or experiment meant to test and challenge our notions of programs, space, form and construction.



სტივენ ჰოლის ფენომენოლოგიური არქიტექტურა

სტუდენტი	მარიამ ბახტაძე სტუ, არქიტექტურის, უბრანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი III კურსი
ხელმძღვანელი	მაია დავითაია აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ცნობილი ამერიკელი არქიტექტორის, სტივენ ჰოლის, პროექტებში კარგად ჩანს მისი შემოქმედების კავშირი ფენომენოლოგიის მიმდევარი ფრანგი ფილოსოფოსის, მორის მერლო-პონტის ფილოსოფიურ იდეებთან. მერლო-პონტის გარდა ფენომენოლოგიის იდეებს ასევე უამრავი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და არქიტექტორიზიარებდა. მათი უმრავლესობა გერმანულ ფილოსოფოსს, გეორგ ვილჰელმ ჰეგელამდე მიდის. თუმცა, სტივენ ჰოლი ყოველთვის მერლო-პონტის ეყრდნობა და მის ფილოსოფიურ იდეებს არქიტექტურად გარდაქმნის. შემდგომი კვლევის მიზნად იქცა სტივენ ჰოლის იდეებისა და კონცეპციების შესწავლა, იმ გზებისა და საშუალებების დადგენა, რომლებსაც ის გრძნობითი აღქმის აქტივაციისათვის იყენებს, მისი არქიტექტურული კონცეპციების ურთიერთკავშირი მერლო-პონტის ფილოსოფიურ იდეებთან და მათი გავლენა მის არქიტექტურაზე. წინამდებარე ნაშრომი გახლავთ მცდელობა, სტივენ ჰოლის წიგნებსა და პუბლიკაციებზე დაყრდნობით ფენომენოლოგიურ იდეებსა და მათთან დაკავშირებული არქიტექტურული კონცეპციების განვითარებისაგან თვალის მიდევნებისა და არქიტექტორის თეორიული პოსტულატების პრაქტიკაში გამოყენების შედეგების შესწავლისა მისი პროექტების მაგალითზე.

Phenomenological Architecture of Steven Holl

Student	Mariam Bakhtadze GTU, Faculty of Architecture, urbanism and design, Bachelor degree, 3rdYear
Head	Maia Davitaia Master of Architecture, Associated Professor

In the projects of the outstanding American architect Steven Holl, it's clearly read the connection of his architectural concepts with philosophical ideas of the French philosopher, adherent of phenomenology M. Merlo-Ponty. Besides Merlo-Ponty, many philosophers, psychoanalysts, researchers, architects also applied to the ideas of phenomenology. Most of them go back to the German philosopher – Georg Wilhelm Hegel. However, Steven Holl always refers to M. Merlo-Ponty and transforms his philosophical ideas into architecture. The purpose of further study is the consideration of ideas and concepts of Steven Holl and clarification of the ways and means used by him to activate sensory perceptions, the interconnection of Steven Holl's architectural concepts with the philosophical ideas of merlo-Ponty, and their influence on the works of the architect. This article is an attempt to follow the development of ideas of phenomenology, as well as related architectural concepts referring to the study of books and publications by Steven Holl and to trace the results of applying his theoretical postulates to practice.



ფოთის საკათედრო ტაძარი

სტუდენტი მარიამ კოზლოვა
სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, I კურსი
ხელმძღვანელი ნათია ასათიანი
ხელოვნებისმეცნიერებათა დოქტორი პროფესორი

ფოთის საკათედრო ტაძარი -ქართული არქიტექტურის უნიკალური ძეგლია,თავდაპირველად აშენებული ,როგორც ტაძარი. შენობა საბჭოთა კავშირის დროს იყო გადაკეთებული თეატრად.ვარდების რევოლუციის შემდეგ შენობა ეკლესიას გადასცეს. მაშინაც დაიწყო რეკონსტრუქციის პროცესი. როგორც ჩაფიქრებული იყო, შენობა უნდა ყოფილიყო ბიზანტიური ტაძრის, აიასოფიას, დაპატარავებული ასლი.ზომების განსხვავების გამო, ფოთის ტაძარი ვერ იქნებოდა ბიზანტიური ტაძრის სრული ანალოგი.თუმცა იგი არ გავდა არცერთ ქართულ ეკლესიას და წარმოადგენდა ქართული და ბიზანტიური არქიტექტურის სინთეზს.

Poti's cathedral

Student Mariami Kozlova
GTU, Faculty of Architecture, Bachelor I Course
Head Natia Asatiani
Doctor of Art's science Professor

Poti's cathedral is one of the unique monuments of Georgian modern architecture. Initially builded as a temple in Byzantian stile it was rebuilt as a theatre. It was a theatre during the Soviet Era and then, after the Roses Revolution, the building was converted to the church. Then the process of reconstruction was started by first project as small copy of Byzantian temple Hagia Sofia. Of course, considering the small size of Poti's cathedral, it couldn't be an exact copy of Byzantian temple. But it was different from all other Georgian cathedrals and temples, being the synthesis of native Georgian and Byzantian architecture.



ფუტურიზმი არქიტექტურაში

სტუდენტი	მარიამ ჩაგელიშვილი სტუ, არქიტექტურის უზრანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრიატი, III კურსი
ხელმძღვანელი	მაია დავითაია აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ფუტურიზმი XX საუკუნის დასაწყისში იტალიაში წარმოქმნილი სოციალური და მხატვრული მიმდინარეობაა. მისი წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ ყველაფერს ძველს და საზოგადოებას მოუწოდებდნენ ტექნოლოგიის სისწრაფისა და თანამედროვე ცხოვრების შესატყვისი ხელოვნების დაფუძნებისაკენ. ფუტურისტებისათვის სილამაზე მდგომარეობდა მრბოლელ მანქანაში. ყველაზე ცნობილ და პირველ ფუტურისტ არქიტექტორად ითვლება იტალიელი ანტონიო სანტ'ელია, რომლის ჩანახატებიც დღესაც ამ მიმდინარეობის მნიშვნელოვანი მაგალითებია. ფუტურიზმი პოპულარული იყო პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში. ხოლო შემდგომ ფართოდ გავრცელდა მისი სახეცვლილი მიმდინარეობები როგორც იყო რუსული კონსტრუქტივიზმი და არქიზრემი, ასევე უფრო გვიან გზუგი და ფანტასტიკური არქიტექტურა. დღეს ტერმინ ფუტურიზმს უფრო ფართო გაგება აქვს. ის კვლავ აქტუალურია. ხშირად გვხვდება უტოპიური, მომავლის ქალაქების, პროექტები, რომლებიც დღევანდელი ტექნოლოგიების წყალობით შეიძლება ქალაქად აღარ დარჩეს.

Futurism in Architecture

Student	Mariam Chagelishvili GTU, Faculty of Architecture, urbanism and design Bachelor degree, 3 rd Year
Head	Maia Davitaia Master of Architecture, Associated Professor

Futurism is artistic and social movement that originated in Italy in the early 20th century. Futurists denied the past and welcomed speed and technology. They tried to create a form of art that would correspond with contemporary world and their state of mind. The racing car was futurist's epitome of beauty. One of the most famous futurist architects is Antonio Sant'Elia, his sketches are significant examples of the movement till today.

Futurism was popular before and during 1st World War. Its widespread variations include Russian constructivism, Archigram and later derived Google and Fantastic Architecture. Today's understanding of the term futurism broadened and it still stays a relevant subject. It's not rare to encounter utopic projects like city of the future. That can be brought to life with help of today's advanced technology. Many futuristic projects could graduate from paper architecture.



**პოლიციის შენობების არქიტექტურა საქართველოში
და მსოფლიოში**

სტუდენტი ნონა ითაშვილი
სტუ. არქიტექტურის უბრანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
ბაკალავრიატი; IV კურსი

ხელმძღვანელი მაია დავითაია
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

2004-2013 წწ, საქართველოში დაიწყო პოლიციის შენობების აქტიური მშენებლობა, იგი ასახავდა იმ პერიოდის მმართველობის ფორმებს, არქიტექტურა წარმოადგენდა ხელისუფლების სარკეს. საქართველო - ქვეყანა სადაც პოლიციის შენობები გამოირჩევა „გამჭვირვალობით“, წარმოადგენს მაგალითს მეზობელი ქვეყნებისთვის და იწვევს დაინტერესებას, პროექტის ავტორები კი უნებია. კოლუმბია - ქვეყანა, სადაც დანაშაულის სტატისტიკა მაღალია, პოლიციის შენობები, გამორჩეული აქცენტებით და ადგილმდებარეობით, რომელიც ახსენებს სამართალდამცავთა არსებობას მოქალაქეებს. რუსეთი - ქვეყანა, სადაც პოლიციის შენობების არქიტექტურას არ ეთმობა ყურადღება, ისინი განთავსებულია ნეოკლასიკური სტილის, ძველ შენობებში. თემაში მოყვანილია განსხვავებები და საერთო ნიშნები სხვადასხვა ქვეყნების პოლიციის შენობებს შორის.

Architecture of police station buildings around the world

Student Nona Itashvili
GTU, Faculty of Architecture,
urbanism and design; Bachelor degree 4th Year

Head Maia Davitaia
Master of Architecture, Associated Professor

During the time period of 2004-2013, Georgian government actively built police station buildings all over the country. To this day, those structures represent forms of administration, therefore, they are considered as a mirror of government. Georgia – a country, where police stations are transparent and its' architects unknown, remains a matter of interest for the region. Columbia – a country, where crime rate is exceptionally high, police station architecture represents hope and stays as a reminder of existence of justice. And finally, Russia – a country, in which police station architecture is disregarded. This essay is an attempt to find differences and similarities between the police station buildings all around the world.



ხვადასხვა სახის ინტერვენცია და პარადიგმები თბილისის ისტორიულ უბნებში

სტუდენტი	მაია მესხი სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, დოქტორენტი II კურსი.
ხელმძღვანელი	მაია ძიძიგური არქიტექტურის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ისტორიულ უბნებში მომრავლებული ახალშენებლობებისა თუ ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფონზე, სხვადასხვა სახის და მასშტაბის ინტერვენცია განხორციელდა. მომრავლდა ზოგ შემთხვევაში არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო, მაგრამ გარემოსთან და ისტორიულ განაშენიანებასთან შეუთავსებელი ნაგებობები. ამდენად, აქტუალური გახდა ქალაქის ძველი უბნების თვითმყოფადობის, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული სახის შენარჩუნების საკითხი.

წარმოდგინილ ნაშრომში განხილულია ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერვენციების პრობლემა თბილისის ორ უბანში (სოლოლაკის და ვერეს უბნებში) მდებარე კონკრეტული შენობების მაგალითებზე. ასევე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიულ ქალაქებში ძველი და ახალი არქიტექტურის თანარსებობის მაგალითები.

თბილისისა და უცხოური პარადიგმების (კონკრეტული მაგალითების) ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

**Different kinds of intervention end paradigms
in the historical districts of Tbilisi**

Student	Maia Meskhi GTU, Faculty of Architecture, Urbanism and Design. Student PhD, II Course.
Head	Maia Dzidziguri GTU. PhD. Associate professor

Recently, in the historic districts of Tbilisi, against the background of building new houses end reconstruction of the old ones, different scale intervention has been implemented. From this point of view it became urgent to protect the identity of the old quarters and historically formed settlements.

The problem of different interventions on the example of particular buildings which are located in two districts of Tbilisi (Sololaki and Vere) are discussed in this work. The examples of coexistence of old end new architecture in foreign cities are presented as well.

Finally on the basis of analysis of paradigms in Tbilisi and other historical cities the conclusions are done.



სამართლის სექცია

ცალმხრივი გარიგებისა და ცალმხრივი ხელშეკრულების სამართლებრივი გამოყენა

სტუდენტი ანა ტაკაშვილი
სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, II კურსი

ხელმძღვანელი მზია დუნდუა
სამართლის დოქტორი

კერძო სამართლის დარგი, აწესრიგებს რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა ხშირად თავისი არსიდან გამომდინარე საკმაოდ რთულია ცალმხრივი ურთიერთობების გამოყენა, უფრო ზუსტად გარიგებისა და ხელშეკრულების. სწორედ ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ ამ საკითხის სამართლებრივ ანალიზს.

Legal Demarcation of Unilateral Contracts and Unilateral Agreements

Student **Anna Takashvili**
GTU, Law and International relations Faculty,
Bachelor's degree, II course

Head **Mzia dundua**
PhD Law

Private law regulates a number of important issues, but often due to its essence it is quite difficult to demarcate one-sided relationships, more precisely one-sided contracts and one-sided agreements. Therefore, we think that legal analysis of this issue is of great importance



კანონიერი ქურდი. კანონიერი ქურდობა

სტუდენტი	ანამარია ბაგალიშვილი სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ბაკალავრი, კურსი III
ხელმძღვანელი	თემურ დარსანია სამართლის დოქტორი, უფროსი მასწავლებელი.

„კანონიერი ქურდობა“ და „ქურდული სამყაროს წევრობა“ ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინების ერთ-ერთი უმძიმესი ფორმაა. თემის აქტუალურობა განპირობებულია ასეთ ქმედებასთან ბრძოლის უკიდურესი სირთულით. აუცილებელია სწორად და დეტალურად მოხდეს მისი კრიმინოლოგიური და სისხლი სამართლებრივი დახასიათება, რათა დაისახოს მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდები. ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილი და კომპლექსური კვლევა ჩატარებული შემდეგ საკითხებზე: კანონიერი ქურდის ინსტიტუტის შექმნის ისტორიული მიმოხილვა; კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა. ასევე წამოყენებულია გარკვეული მოსაზრებები და წინადადებები კანონმდებლობის სრულყოფისაკენ და პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზეც.

The thief. Lawful theft

Student	Anamaria Bagalishvili GTU, Faculty – Law, Bachelor, course III
Head	Temur darsania Doctor of Law, Senior Teacher.

The "lawful theft" and "membership of the criminal world" is one of the hardest forms of organized crime. The actuality of the community is due to the extreme difficulties in fighting such an action. It needs to be correctly and detailed in its criminological and criminal reaction to put effective methods to fight against it. The work is consistently conducted and complex research has been carried out on the following issues: the legal thief institute of historical review; Criminology and criminal analysis and court practice. There were also some opinions and proposals to improve the legislation and improve the practice. The work focuses on other issues related to it.



პრობლემები თანამედროვე კრიმინალისტიკაში

სტუდენტი	ლაშა მაგანიშვილი სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის პირველი კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი	ლევან კობულაშვილი სტუ-ს, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სამწუხაროა, რომ დღეისათვის სამართლის სტუდენტებს, უფრო ზუსტად კი სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის მიმართულების სტუდენტებს არ აქვთ საშუალება გაეცნონ ისეთ სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებს, სადაც დეტალურად იწინება აღწერილი კრიმინალისტიკის თითოეულ დარგთან მიმართებით, თანამედროვე კრიმინალისტიკურ მეცნერებაში შემუშავებული ის სამეცნიერო ხერხები და პრაქტიკული საშუალებები, რომელსაც დღეისათვის იყენებს არა ერთი კრიმინალისტიკური სამსახური.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია თუ ამ დარგის სპეციალისტები, რომლებიც ეწევიან პრაქტიკულ მოღვაწეობას შექმნიან ისეთ სამეცნიერო ნაშრომებს ან სახელმძღვანელოებს, სადაც სტუდენტებს ან კრიმინალისტიკის დარგით დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ თეორიულად გაეცნონ იმ პრაქტიკულ საქმიანობას, რომლის კეთებაც ყოველდღიურად უწევთ პრაქტიკოს ექსპერტ-კრიმინალისტებს.

Problems in modern criminalism

Student	Lasha Dzaganishvili GTU, Faculty of Law and International Relations, First course student of law school
Head	Levan Kobulashvili Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Associate Professor

It is unfortunate that nowadays law students do not have the opportunity to get acquainted with the guidelines or scientific works, which describe in detail the scientific ways and practical means used by countless criminal services.

This problem can be solved if the specialist of this field create scientific works or guidelines, with which students or people interested in this field can get acquainted with theoretical practices that are used by experts of this field.



შეურაცხაობა ასაკის გამო, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება

სტუდენტი	ლოლიტა კაროუკინა სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტი.
ხელმძღვანელი	ჯემალ გაბელია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი მოადგილე, პროფესორი.

შეურაცხაობის საკითხი სისხლის სამართლის თეორისა და პრაქტიკის რთულ, სადისკუსიო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, ის პირდაპირ კავშირშია ბრალის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებთან. კოდექსის ცალკეულ მუხლებში არის გადმოცემული ისეთი გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს, ამავე დროს, კოდექსი ფართო დეფინიციას იძლევა ბრალის გამომრიცხველ გარემოებაზე, თუმცა ინდიფერენტული რჩება ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებაზე შეიძლება ითქვას ეს ორი ცნება არც კი არის გამოჯნული ერთმანეთისგან, რაც ნორმათა სხვადასხვაგვარ გაგებას წარმოშობს, რომელთაგან თითოეული შეიძლება სწორიც იყოს.

აღნიშნული თემატიკა არასაკმარისადაა შესწავლილი ქართულ სისხლის სამართლში. ბრალის გამომრიცხველი გარემოებების სრულყოფილი შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საპატიო და მისატევებელი გარემოებების, შეურაცხაობის ცნების, ნიშნების, შეურაცხაობის გამომწვევი გარემოებების და კრიტერიუმების გამოკვლევა.

The Inability of the crime as a failure to age

Student	Lolita Karoukina GTU, Faculty of Law and International Relations Second Course Student of Law school
Head	Jemal Gabelia Georgia Technical University Faculty of Law and International Relations Deputy Dean, Professor.

Inability of the criminal part of the discussion, which is directly linked to criminal liability issues. Code of the articles are conveyed in such circumstances which exclude charges, at the same time it doesn't distinguish whether the fault of the mitigating circumstances. Therefore give rise to a variety of understanding, which may be correct for each separate.



ჰუმანიტარული ინტერვენცია პოლიტიკური ზერკეტი თუ ლეგიტიმური უფლება?

სტუდენტი	ნანა გოგია სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობა, ბაკალავრიატი, II კურსი.
ხელმძღვანელი	ჯემალ გაბელია სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი.

ჰუმანიტარულ ინტერვენციას აქვს თავისი საზღვრები და თავად ტერმინი ჰუმანიტარული ინტერვენცია პრაქტიკული თვალსაზრისით არ უნდა იქნეს პროპაგანდისტის გამოყენებულენებად, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის ძირითადი მიზნის დამალვას. გარდა ამისა, შესაძლოა, ძალიან რთული იყოს ინტერვენციის განმარტების სახელმწიფოს ჰუმანიტარული და პოლიტიკური მიზნების ერთმანეთისაგან განსხვავება; ამ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ჰუმანიტარული მიზნების პოლიტიკურში გადაზრდა უნდა გამოირიგებოს.

რეალურად, ჩარევის პოლიტიზირებასა და მის მისაწევ მიზანთან მიმართებით სათაურში დასმულ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, ადევკატური იქნება მიგეზნო შეუალედურ პოზიციას და ვფიქრობ, რომ ყველაზე შეუალედური და ზომიერი პოზიციასა ჰუმანიტარული ინტერვენციის – როგორც პოლიტიკური მოვლენის მოქცევა სამართლებრივი რეგულირების სფეროში. თანაც, ეს მიდგომა ერთდროულად ითვალისწინებს სამართლებრივ, პოლიტიკურ, პრაქტიკულ და მორალურ კანონზომიერებებს!

Humanitarian intervention - political leverage or legitimate right?

Student	Nana Gogia GTU, Traffic and international relations Faculty, Law, Bachelor, II course
Head	Jemal Gabelia, Doctor of Law, Full Professor.

Humanitarian intervention has its limits - and the term humanitarian intervention in practical terms should not be used to promote the concept, which is aimed at the country's main objectives is to hide. In addition, it may be very difficult to implement the state's intervention in the humanitarian and political objectives differentiated from each other; In this case, the main thing is that the humanitarian goals to turn the political should be excluded.

In reality, there is no clear answer to the question of politically motivating and pursuing the goal, and I think it will be adequate to interim position and think that the most intermediate and moderate position is the humanitarian intervention - as a political event in the field of legal regulation. Moreover, this approach takes into account both the legal, political, moral and practical laws!



აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის
სრულყოფისათვის

სტუდენტი	თამარ ბარამია სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი.
ხელმძღვანელი	ირაკლი გაბისონია სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

საქართველოს, ტერიტორიული მოწყობა მრავალი წელია პრობლემატურია, ვინაიდან, კანონმდებელმა საკითხის მოგვარება სამომავლოდ გადადო, რაც ვფიქრობ, რომ არასწორია, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჯერ განვსაზღვროთ ტერიტორიული მოწყობის ფორმა, რომელიც მოგვცემს საშუალებას აღვადგინოთ სრულად ჩვენი ქვეყნის იურისდიქცია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ, მაგალითი უნდა ავიღოთ ისეთი სახელმწიფოებისაგან, რომელთაც გააჩნიათ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობანი და სიდიდით მეტნაკლებად შეესაბამებინან საქართველოს. ჩემს მიერ განხილული თემატიკა მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელ რეალობაში, მით უფრო, როდესაც მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილების ფონზე, წარმოდგენილი კანონპროექტით ისევ ბუნდოვანია ტერიტორიული მოწყობის საკითხი. ამ კუთხით პოზიტიური გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ, რაც ვფიქრობ აფხაზეთისთვისაც გულდასაწყვეტი იქნება.

Special status of Abkhazia is territorial For the improvement of arrangement

Student	Tamar Baramia GTU, Faculty of Law and International Relations First Course Student of Master of Law
Head	Irakli Gabisonia GTU- Faculty of Law and International Relations Dean, Professor.

The territorial arrangement for Georgia has been problematic for many years, since the legislator has postponed the issue in the future. I think that it is wrong, because of the situation, it is recommended to determine the form of territorial arrangement that will enable us to restore the jurisdiction of our country. First of all, we should take an example from other countries that have compactly settled ethnic minorities and are more or less compatible with Georgia. The topics are discussed by me and they are very important in today's reality, especially when the current constitutional amendment is still unclear by the draft law, on the issue of territorial arrangement. In this regard, the positive decision was not made by the state Constitutional Commission, which I think will be disappointing for Abkhazia too.



ორმაგი მოქალაქეობის პრობლემა საქართველოში

სტუდენტი	ნინო სულაბერიძე სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი	ქეთევან ჯინჭარაძე სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი

თემაში განხილულია საქართველოში ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების ახალი ტენდენციები და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

Problem of dual citizenship in Georgia

Student	Nio Sulaberidze GTU, Faculty of Law and International Relations PhD student
Head	Ketevan Jincharadze Professor of Faculty of Law and International Relations of GTU

There is reviewed in the article new tendencies of dual citizenship by the naturalization way and problem issues connected this question.



სოციალური საკითხების სფერო

Молодёжь в зоне риска

Автор текста	Артур Лукава Факультет- Право и международных отношений Группа- 112380 Курс- Четвертый
Куратор	გიორგი კალანდაძე, Доктор Социальных Наук, Ассоциированный профессор, GTU

Тема содержит актуальные общественные проблемы грузинской молодёжи, разглядывая их под разными ракурсами, приводя аргументы и факты в поддержку или опровержения тех или иных предположений. Отвечая на поднятые в теме вопросы, раскрывается сущность молодёжной проблематики.

Youth in the risk zone

Student	Artur Lukava GTU, Faculty of Law and International Relations. Bachelor's. 4th course.
Head	Giorgi Kalandadze Doctor of education, Associate professor.

In this topic the social problems of youth are considered, viewing them from different angles, adducing arguments and facts to support or disprove one or the other supposition. Answering the considered questions the gist of the problem is revealed.



საერთაშორისო უშიშროება და კრიზისების მართვის ძირითადი ასპექტები
(ნატო-ს მაგალითზე)

სტუდენტები	გვანცა წახნაკია, ანა ბედუკაძე სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ბაკალავრიატი, მე-4 კურსი.
ხელმძღვანელები	ჰენრი კუპრაშვილი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი კალანდაძე სოც. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

კრიზისების მართვა არის ნატო-ს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უშიშროების სფეროში. როგორც მითითებულია 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში: კრიზისების სრული სპექტრის გადასაჭრელად ის შეიძლება მოიცავდეს სამხედრო და არასამხედრო ზომების გატარებას კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ფუნქცია გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირისაგან ევროპის დასაცავად შექმნილი ალიანსი უკვე ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მთელი ძალით იჩინა თავი მრავალფეროვანმა და მრავალგვარმა არაპროგნოზირებადმა კრიზისებმა: ეთნიკური, ტერიტორიული თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივება, ტერორიზმის მასშტაბების ზრდა და სხვ. მოზღვავებულ კრიზისებს შესაძლოა ჩრდილო-ატლანტიკური სივრცე დაეზიანებინა. სწორედ ამ პერიოდთან შემოდის აქტიურ ხმარებაში ტერმინი კრიზისების მართვა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის საქმიანობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს.

International Security and Basic Aspects of Crisis Management
(On NATO's example)

Students	Gvantsa Tsakhnakhia, Ana Bedukadze GTU, Faculty of Law and International Relations. Bachelor's. 4th course.
Heads	Henri Kuprashvili Doctor of Political Sciences, Full Professor Giorgi Kalandadze Doctor of education, Associate professor

Crisis management is one of NATO's fundamental security tasks. It can involve military and non-military measures to address the full spectrum of crises, before, during and after conflicts, as outlined in the 2010 Strategic Concept. The main purpose for creation of the North Atlantic Treaty Organization in 1949 was to secure war torn Europe from the influence of the Soviet Union, in order to deter the red threat. NATO could handle those issues in the bipolar world. However after the dissolution of the USSR the alliance lost its threat, therefore the purpose and it faced the question of disintegration. Albeit the completion of the cold war unleashed the frozen ethnical and territorial conflicts and the threat became multi-directional, hence it might have crossed the north-Atlantic borders as well. The usage of the term Crisis Management became much frequent henceforth and has taken important place in the agenda of NATO.



ბირთვული იარაღისა და უკრაინის უშიშროები საკითხი მსოფლიო პოლიტიკში

სტუდენტი გიგო წიკლაური
სტუ, საერთაშორისო ურთიერთობების II კურსის
ხელმძღვანელი ეპიფანე გვენეტაძე
ასოცირებული პროფესორი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთისათვის უმთავრესი იყო თუ ვის ხელში აღმოჩნდებოდა საბჭოთა კავშირში არსებული ბირთვული იარაღი, რომელიც განლაგებული იყო რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე. 1992 წლის 23 მაისს ხელი მოეწერა დამატებითი ოქმი, 1991 წლის ხელშეკრულებისა იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ (START-I). ამ ოქმის მიხედვით უკრაინა აღიარეს START-I - ის მონაწილედ და ვალდებულებას კისრულობდა მოეხდინა მის ხელთ არსებული ბირთვული იარაღის უტილიზაცია ან რუსეთის ფედერაციაში გატანა. უკრაინას შეეძლო მოსკოვთან და ვაშინგტონთან მოლაპარაკებების გზით, გარკვეული რაოდენობის ბირთვული ქიმიის შენარჩუნება, რაგვ, როგორც შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა უჩვენა, შეიძლება გაზზადარიყო უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, მაგრამ იმდროინდელმა უკრაინის პოლიტიკურმა ელიტამ განიარაღების პროცესში დაფინანსებული 500 მლნ. დოლარი ამკობინა. 1994 წლის 5 დეკემბერს ბუდაბეშტის მემორანდუმმა უკრაინის უშიშროების გარანტიების შესახებ, ვერ შეიძინა საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის სტატუსი, რამაც საბოლოოდ უკრაინას ვერც უსაფრთხოება შეუნარჩუნა და ბირთვული იარაღი დააკარგვინა.

Nuclear weapons and Ukraine's security issue in world policy

student Gigo Tsiklauri
GTU, International relations II course student
Head Epiphane Gvenetadze
Associate professor.

After collapse of the Soviet union it was the key to the west in hands of the Soviet union, which was located in Russia, Ukraine, Belarus and Kazakhstan. On 23rd May 1992 an additional protocol was signed on the 1991 Treaty on Arms Reduction and Restriction (START-I). According to this protocol, Ukraine was recognized as a participant of (START-I) and obliged to utilize its nuclear weapons or withdrawal from the Russian. Ukraine could maintain a certain number of nuclear warheads by negotiations with Moscow and Washington, which as seen by the following developments could become a guarantor of Ukraine's independence and territorial integrity, but the Ukrainian political elite at that time spent \$ 500 million in disarmament the dollar preferred. On 5 December 1994 Bududesh't's memorandum on security guarantees of Ukraine did not acquire the status of an international legal document that ultimately saved Ukraine and suffered a nuclear weapon.



საქართველოს საგარეო პოლიტიკის გავლენა ქვეყნის შიდა პროცესებზე

სტუდენტი	გურანდა გოლიაძე სტუ, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, ბაკალავრი, II კურსი.
ხელმძღვანელი	სოფო ჩქოფოია- ასისტენტი პროფესორი

საგარეო პოლიტიკა სუვერენული სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია, შესაბამისად საკითხი ყოველთვის აქტუალურია, განსაკუთრებით ისეთი პატარა და რთული გეოპოლიტიკის მქონე სახელმწიფოსთვის, როგორც საქართველოა. სწორედ, საგარეო პოლიტიკის გამართულობა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა არის საქართველოს უსაფრთხოების, განვითარებისა და სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი გარანტი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეტაპობრივად ხდება ქვეყნის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ქცევა, სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის დაწესება და ურთიერთობის გაღრმავება. ასევე, საერთაშორისო სამთავრობო/არასამთავრობო სტრუქტურებთან სამუშაო პროცესში ჩართვა თუ ინტეგრაციის პროცესის ამუშავება. საგარეო პოლიტიკის განვითარება, მზარდი მხარდაჭერა და საერთაშორისო პროცესებში აქტიურად მონაწილეობა გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა პროცესებზე, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, განვიხილოთ საგარეო კურსის ფორმირებისა და განვითარების თანამხედრი პროცესები თუ რა შედეგების, გამოწვევებისა და პერსპექტივების წინაშე დგას თანამედროვე ეტაპზე ჩვენი სახელმწიფო.

Georgia's foreign policy impact on internal processes

Student	Guranda Goliadze GTU, 2nd year student of international relations
Head	Sofia Chkvoia - Assistant Professor

Foreign policy is a necessary attribute of the sovereign state, and therefore the issue is always relevant, especially for a small and difficult geopolitical state like Georgia. It is precisely the proper guarantee of security, development and stability of Georgia, to ensure the integrity of foreign policy and support of the international community.

After the restoration of Georgia's independence, it is gradually becoming the subject of international law, initiating cooperation with other states and deepening of relations. Also, involvement with international governmental / non-governmental structures in the process of work or the process of integration. Developing foreign policy, growing support and active involvement in international processes have influenced the country's internal processes both in terms of economic, political and social considerations. It is important to consider the convergence processes of the formation and development of the foreign course of our country in the modern stage of the results, challenges and perspectives.



ძილი და სიზმარი

სტუდენტები	დავით ვარშანიძე, ანა როდონაია სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობები, ბაკალავრი, I კურსი
ხელმძღვანელი	ლია მეტრეველი, განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

ადამიანი ცხოვრების 70 წლის მანძილზე 13 წელს ლაპარაკში, 6 წელს ჭამაში, ხოლო 23 წელს ძილში ატარებს. ძილი არის პროცესი, როდესაც კუნთები „პარალიზებულია“, ტვინი კი სხვადასხვა აქტივობებით არის დაკავებული. მიჩნეულია, რომ ყოველი ჩვენგანი ძილის დროს საშუალოდ 5 სიზმარს ხედავს, ხოლო ამასოვრდება მხოლოდ ის სიზმარი რომლის „მიმდინარეობის დროსაც ეღვიპება“. სიზმრებს ადამიანი ძირითადად სწრაფი ძილის დროს ხედავს. სიზმარს მხოლოდ ვიზუალური მხარე ახასიათებს. იგი არ მოიცავს სუნს და გარემოს; ან შავეთორია, ან ფერადი.

ძილს, სიზმარს, რასაკვირველია, თავიანთი ფიზიოლოგია აქვთ, მაგრამ, როგორც სიცოცხლის პოლუსს, ორივეს თავისი ფსიქოლოგიაც უნდა ჰქონდეს. ისე როგორც სიფხილზე ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის მთლიანობას წარმოადგენს, სწორედ ასევე ძილიც ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის მთლიანობაა.

საკმაოდ ამოუხსნელსა და გაუგებარ ფაქტორებს წარმოადგენს მეტად საინტერესო ძილისა და სიზმრის ცნებები. სწორედ ამიტომ, როგორც საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის, ასევე ჩვენთვის აღმოჩნდა ძილი და სიზმარი ყურადღების ცენტრში.

Sleep and dreams

Students	David Varshanidze, Ana Rodonaia GTU, Law and International Relations Faculty, Bachelor, I course
Head	Lia Metreveli, Doctor of education and Sciences, professor.

Human in 70 years spends his 13 years in talking, 6 years in eating and 23 years in sleeping. Sleep is process when muscles are paralyzed and brain is acting different activities, which are not controlled by human. It's considered that man usually sees 5 dream while sleeping, but recognizes only last one, while he/she comes round. Mainly human sees dreams while fast sleep. Dreams contain only visualized part. You can't feel smell or surroundings. It's black and white or colored.

Sleep and dreamshave got there physiology, but as the main part of our life it got its phycology too. As living is unity of phycology and physiology, same can be said about sleep too.

Sleep and dream concepts are sufficiently mysterious and incomprehensible. That's why sleep and dreams appeared under lots of people's attention and attracted our interest toward them too.



ოცნება და ფანტაზია

სტუდენტი	ვალერი ბიტარიშვილი სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობები ბაკალავრიატი 1კურსი
ხელმძღვანელი	ლია მეტრეველი განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ოცნება ცნობიერების ისეთი შეცვლილი მდგომარეობაა, რომლისთვისაც, სიზმრის მსგავსად, დამახასიათებელია, ფანტაზიის თავისუფალი მუშაობა. ოცნება იმით განსხვავდება სიზმრისაგან, რომ ამ უკანასკნელში, რაც უნდა არარეალური იყოს ფანტაზიის ნაყოფი, მძინარე ადამიანის, რეალურის მსგავსად განიცდის. ოცნების ძირითადი ნიშანი მისი ეგოცენტრულობაა. ადამიანი უფრო ხშირად იმაზე ოცნებობს, რაც უშუალოდ მის „მეს“ შეეხება, რატომაც უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ოცნების საგანი არ შეიძლება სხვისი ან თუნდაც ქვეყნის კეთილდღეობა იყოს. ფანტაზია, გზა რომელსაც ყველა ადამიანი გადის თავისი ცხოვრების მანძილზე, მის გარეშე არსებობა შეუძლებელია, წარმოდგენა უშედეგო, სურვილი უფერული და ილუზია მკრთალი. ილუზია კი ეწოდება მგდარა ღქმას, რომელიც არ შეესიტყვება ინტელექტუალურ კრიტერიუმებს და ფუძნებულ ცოდნას, აღქმული მოვლენის შესახებ ილუზიის, ფანტაზიისა და ოცნების გზები კი ხშირ შემთხვევაში იკვეთება. ამის შედეგად კი იქმნება, ის ჰარმონიული ფილოსოფიური კონცეფცია, რასაც სიზმარი ჰქვია.

Dream and fantasy

Student	Valeri Bitarishvili GTU, Law and international relations faculty, bachelor, I course
Head	Lia Metreveli Doctor of education and Sciences, professor

Day-dream is changed configuration of consciousness, when just like in a dream fantasy is working independently. Difference between Day-dream and dream is that in dream human thinks that everything is considered as real, but in fantasy and dream we know that it is just fantasy and it is not real. Dreams main part is egocentrism. Mainly person day-dreams about himself and his own Super Ego, of course but it does not mean that he does not day-dream about his own country's welfare. Fantasy, the way, for every human being in whole entire life. Without fantasy life is getting impossible to live, imagination ineffectual, demand blur and illusion dim. Ways of illusion, fantasy and day-dreams are usually crossed. And all that creates this harmonic-philosophic conception called dream.



ვიზალიბერალიზაცია და მიგრაციის პოლიტიკის მართვა საქართველოში

სტუდენტი	ირაკლი პაჭკორია, მარი ლეკიშვილი თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, მე-3 კურსი
ხელმძღვანელი	გიორგი კვინიკაძე გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

დღეს საქართველოსათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2012 წელს. 2013 წელს ევრო კომისიამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის მეორე ფაზა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა მიგრაციის პოლიტიკის მართვა. ამასთან დაკავშირებით, ევროკავშირთან გამართივებული სავიზო რეჟიმით სარგებლობისთვის საქართველომ რეადმისიის ვალდებულება აიღო.

კვლევის მიზან სწარმოადგენს იმის დადგენა თუ რამდენად დადებითი შედეგების მომტანი იქნება ვიზალიბერალიზაცია საქართველოს დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით. შესაბამისად საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ როგორ აისახება ვიზალიბერალიზაციის შედეგები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობაზე ევროკავშირის წევრქვეყნებში.

ჰიპოთეზის თანახმად ვიზის ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოდან არალეგალური მიგრანტების გადინებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

Visa Liberalization and Migration Policy Management in Georgia

student	Irakli Patchkoria, Mari Iekishvili TSU, Faculty of Social and Political Sciences, Bachelor, 3 rd course
Head	Giorgi Kvinikadze - PHD in Geography, Assistant Professor

Nowadays, one of the major challenges for Georgia is the Visa Liberalization process with the European Union, which was initiated in 2012. In 2013, the European Commission, during the Eastern Partnership project, gave the visa liberalization action plan to the Ministry of Foreign Affairs of Georgia. The second phase of the action plan include major issues, such as migration policy management. In this regard, Georgia took the commitment of readmission.

The aim is to ascertain whether the positive consequences of demographic changes will have the visa liberalization process. According this, the research question is: How will results of visa liberalization effect on the number of Georgian citizens in the EU countries?

The issue developing a hypothesis, according to which the visa liberalization will help the flowing process of Georgian illegal migrants to the EU member states and this phenomenon could have negatively impact on the country's foreign policy with the EU integration.



**საქართველო, როგორც სატრანზიტო დერეფანი
(პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები)**

სტუდენტი მარიამ ამილახვარი
ხელმძღვანელი ეკა ხუბრაშვილი - ასოცირებული პროფესორი

სატრანზიტო ფუნქცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ წარმოებულ საგარეო და სამინაო პოლიტიკაზე. აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებდა და ხელს უწყობდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას. საქართველოს მთავრობის მიზანი — ეს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნაა, გამომდინარე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, რათა მაქსიმალურად იყოს გამოყენებული სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი და გაიზარდოს ქვეყნის როლი საერთაშორისო გადაზიდვებში. საქართველო თავისი ფუნქციიდან გამომდინარე ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად დიდ სარგებელს იღებს. ამრიგად, აშკარაა საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის როლი საერთაშორისო არენაზე, როგორც ევროპისთვის, ასევე ამერიკისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის. თავის მხრივ, საერთაშორისო მნიშვნელობის ფუნქციის შეტენით საქართველო უზრუნველყოფს საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგრადობას, ასევე უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტირებას. საკვანძო სიტყვები: სატრანზიტო დერეფანი, გადაზიდვი კომპანიები, აბრეშუმის გზა, გეოპოლიტიკური მდებარეობა, სავაჭრო ბაზა.

Georgia as a transit corridor

Student **Mariam Amilaxvari**
Head **Eka Buxrashvili – Associate professor.**

The transit feature plays a special role in foreign and domestic policies produced by a number of states. We should definitely emphasize the geopolitical location that has somewhat stimulated and contributed to the development of Georgia's transit function. The aim of the Government of Georgia is to create a unified transport system based on a favorable geopolitical situation in order to maximize transit and trade potential and to increase the role of the country in international traffic. Georgia receives considerable economic or political benefits from its function. It is obvious that Georgia's role as an important strategic partner in the international arena for Europe, as well as America and the rest of the world. On the other hand, Georgia acquires its economic and political stability as well as guarantees security and peace through the functioning of international importance. Keywords: transit corridor, transporter companies, „silk road“, geopolitical location, trade base.



თურქეთის საგარეო პოლიტიკის გავლენა სირიის რეკონსტრუქციაზე XXI საუკუნეში

სტუდენტი მარიამ კიკნაძე
სტუ. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი,
ბაკალავრიატი, IV კურსი

ხელმძღვანელი გიორგი ჩხიკვიშვილი- ასისტენტ-პროფესორი

2011 წლის ამბოხებამ არაბულ სამყაროში რეპრესიული რეჟიმების წინააღმდეგ, საფუძველი დაუდო სოციალურ და პოლიტიკურ ძვრებს. რაც შეეხება სირიას, ცვლილებების სანაცვლოდ სახეზე ვგვაქვს სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომელიც მოგვიანებით სამოქალაქო ომში გადაიზარდა, მას ჰქონდა როგორც რეგიონული, ისე გლობალური შედეგები. გადამწყვეტ კითხვას წარმოადგენს როგორ მოახერხებს ერისა და სახელმწიფოს მშენებლობას კონფლიქტისა და ჰუმანიტარული ტრაგედიის წინაშე მდგარი ქვეყანა. მნიშვნელოვანია, თურქეთის ნულოვანი-პრობლემის პოლიტიკა სირიაში და მისი რეგიონული მისწრაფებები და ცვალებადობა. თურქეთი სახელმწიფო, რომელმაც შეასრულა დიდი როლი ლტოლვილების მიღებაში და გახდა ძირითადი დამაკავშირებელი გარე სამყაროსთან. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს კი თურქეთისთვის წარმოადგენს "დამოუკიდებელი ქურთისტანის" საკითხი, რაც რეალურად იწვევს სახელმწიფოს რეგიონული ჩართულობის ზრდას სირიაში. თურქეთი აქცენტს აკეთებს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე და იცავს მას მომავალი საფრთხისგან, სირიაში მის მთავარ საკითხს წარმოადგენს თურქეთის დაცვა. გარდა ამისა პრიორიტეტული გახდა ბრძოლა სირიის პოლიტიკური რეჟიმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ.

Turkey's foreign policy influence on reconstruction of Syria in the 21st century

Student Mariam Kiknadze
GTU, Faculty of Law and International Relations, Bachelor, IV course

Head Giorgi Chkhikvishvili- Assistant-Professor

The popular movements that started in the Middle East in 2011 led to change of regimes in Arabic countries. However, in Syria did not bring similar change but instead led to a bloody conflict which later turned into a civil war. The crisis also had serious global and regional implications. How the state and nation will be built and constructed of this conflict is also a crucial question. The crisis turned into a humanitarian tragedy. It is very important to realize Turkey's regional politics and the zero-problem policy with neighbors, Turkey's policy was consistent, ethical and lenient. Turkey has assumed a number of roles from attempting mediation to hosting refugees to sheltering armed opposition group. Turkey has been a critical patron of the position and its primary channel to the outside world. The most important factor for Turkey is to avoid "Sovereign Kurdish State". In Syria today, Turkey's first main concern is Turkey. Chief concern had become counterterrorism and fight against the regime.



XXI საუკუნის თანამედროვე გამოწვევები, ახალი პოლიტიკური სივრცე, ომი და მშვიდობა

სტუდენტი ნათია ჩილაჩავა
სტუ, საერთაშორისო ურთიერთობების II კურსის სტუდენტი
ხელმძღვანელი სოფო ჩქოფოია - ასისტენტ-პროფესორი

დღევანდელი მსოფლიო სასიათღება მრავალსპექტრიანი ურთიერთობებით, თანამედროვე სამყარო გვთავაზობს ახალ სივრცეს, რომელშიც თავის დამკვიდრება თითოეული სახელმწიფოს უპირველეს მიზანს წარმოადგენს, იცვლება ძალთა ბალანსი, პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი აქტორები ჩნდებიან, იქმნება ომისა და მშვიდობის თანამედროვე ფორმულა, რასაც ზუნებრივია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ცვლილებისკენ მივყავართ. საკმაოდ აქტუალური გახდა მსჯელობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. XXI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისები სტაბილურობის შენარჩუნების შემადგენლებელ ფაქტორს წარმოადგენენ. მულტიპოლარულმა სისტემამ შეცვალა პოლიტიკური ხედვები, დედამიწის თითქმის ყველა წერტილში ვხვდებით ახალ პრობლემებს, ახალ გამოწვევებს, ფიქრის საგანია მომავალი, იქნება თუ არა საზოგადოების უცილობელი ხვედრი მშვიდობა, როგორც ამას ფრიდრიხ ნიცშე აღნიშნავდა. კაცობრიობამ, გასული საუკუნეების მანძილზე გაიარა მძიმე რევოლუციური გარდაქმნების გზა, თუმცა როგორი იქნება პოლიტიკური ევოლუცია, რამდენად გაუმკლავდება საერთაშორისო სამართალი და პრინციპები აღნიშნულ საკითხებს ამას მომავალი გვიჩვენებს.

The modern challenges of the XXI century, the new political space war and peace

Student Natia Chilachava
GTU, International relations second year student
Head Sopo Chkopoia - Assistant Professor

Modern world is characterized with a lot of relations. Modern world gives us new space, the countries priority is to have a place in this space, the power balance changes, new actors are seen in the new political situation, new modern formula is created about war and peace, which takes us to a change in system of the international relations. This topic is very important today. The current political and economic crises in the XXI century are a hindering factor for maintaining stability. The multilateral system has changed political perspectives, in almost every aspect of the earth we encounter new problems, new challenges the future of thinking, will the peace of society be as strong as the Friedrich Nietzsche noted. Humanity has gone through a period of hard revolutionary transformation over the past centuries, but what will be the political evolution of how the international law and principles deal with these issues that will show us future.



ყირიმის კრიზისის შედეგები

სტუდენტები	ქრისტინე ჩიხლაძე, ქეთევანი ტატიკიანი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, III კურსი
ხელმძღვანელი	კონსტანტინე შუბითიძე საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, მოწვეული ლექტორი

2014 წლის 18 მარტს რუსეთის მხრიდან განხორციელდა ყირიმის ანექსია, რამაც დაარღვია საერთაშორისო სამართლის არაერთი ნორმა და საფრთხის ქვეშ დააყენა ევროპის საყოველთაოდ აღიარებული მშვიდობა. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ომის შედეგების ანალიზი რუსეთსა და უკრაინაში და მოვლენათა შესაძლო განვითარების წარმოდგენა. ნაშრომში პასუხი გაეცემა საკვლევ კითხვას: რა პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგები გამოიწვია ყირიმის კრიზისმა რუსეთისა და უკრაინისათვის? გამოყენებული იქნა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები. ძირითადად გამოყენებულ იქნა მეორადი მონაცემები: სხვადასხვა საჯარო, საარქივო ჩანაწერები, მედია წყაროები... ნაშრომში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს სტატისტიკურ ანალიზს, რომელიც ხსნის სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებას ყირიმში. თემა განიხილა კლასიკური რეალიზმის კრილიში.

Crimea Crisis Consequences

Students	Kristine Chikhladze, Ketevani Tatikiani Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Social and Political Sciences, III Course
Head	Konstantine Shubitidze PhD of International Relations, Invited Lecturer

On 18 March 2014 the Ukrainian territory of Crimea was annexed by Russian Federation. The fundamental principles of International law were neglected. The aim of the work is to analyze Crimean war consequences and answer the research question: What are the political and economic consequences of the Crimean crisis for Russia and the Ukraine? Quantitative and qualitative methods have been used for this research. We used secondary data, official records and media sources. It was important to analyze political and economic changes with the help of statistics. The issue was discussed in the terms of realism.



პარადოქსებისა და ანომალიების მიწის სამყარო - ჩრდილოეთ კორეა

სტუდენტები	ხატია ტერტერაშვილი, ნათია ლევიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ბაკალავრი, მე-3 კურსი.
ხელმძღვანელი	მალხაზ მაგაბერიძე - პროფესორი

21-ე საუკუნის სახელმწიფოთა უმრავლესობა, საერთაშორისო საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად ცდილობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვასა და განმტკიცებას, თუმცა თავისუფლებისა და დემოკრატიისკენ მსწრაფ ქვეყნებს შორის არსებობენ ისეთი სახელმწიფოებიც, სადაც ვითარება რადიკალურად განსხვავებულია, ამის ნათელი მაგალითი კი ჩრდილოეთ კორეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროშიც არსებობს პარადოქსებისა და ანომალიების მიწისამყარო – ჩრდილოეთ კორეა, სახელმწიფო, სადაც დიქტატორული და კლანური მმართველობაა. უკიდურესადაა შეზღუდული ადამიანის ავტონომია და გამეფებულია პიროვნებისკულტი. ესა აქვეყანა, სადაც მმართველი ლიდერი მოსახლეობაში თავყანისცემის ობიექტადაა ქვეული და ამის მისაღწევად აქტიურად იყენებენ პროპაგანდას. უშუალოდ საკონფერენციო ნაშრომში, ჩვენ შევეცდებით დეტალურად და საერთაშორისო კვლევებზე დაყრდნობით განვიხილოთ ჩრდილოეთ კორეის ფენომენი. განვმარტოთ და აწარმოვაჩინოთ ის საფრთხეები, რასაც ასეთი ჩაკეტილი სივრცე ქმნის და ზოგადად მიმოვიხილოთ რა საფრთხეების თუ გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე მსოფლიო ლიბერალური დემოკრატები.

The mini world of paradoxes and anomalies – North Korea

Students	khatia Terterashvili, Natia Levidze Tbilisi State University, FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES 3 rd year of Bachelor's program
Head	Malkhaz Matsaberidze - Professor

The most of the countries of 21st century tries to defend and strengthen and deepen democratic values but among these countries heading to freedom and democracy, there are countries where the situation is absolutely different. North Korea is a distinct example of this. Even in the 21st century, there can be a mini world of paradoxes and anomalies – North Korea; a state with dictatorship governance. Where the autonomy of a person is restricted and the cult of a human is respected. This is the country where the leader is worshiped due to an active propaganda. In this paper, based on international researches, we will try to discuss the phenomenon of North Korea in details, show the threads which are created in a closed system like this. We will discuss the threads and challenges facing the liberal democracy of the modern world.



ევროპაში თურქების მიგრაციის რელიგიური ასპექტები

სტუდენტი	ანა ნადირაძე სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურა I კურსის სტუდენტი.
ხელმძღვანელი	ნანა ზახსოლიანი ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და მისმა დასავლურმა მეზობლებმა ეკონომიკური ზუმი განიცადეს. ინდუსტრიალიზაციამ ამ ქვეყნებში გარანტირებული მუდმივი და სეზონური სამუშაო ადგილები წარმოშვა. 1950-იანი წლებისთვის დასავლეთ ევროპა, როგორც დიდი მიმღები სივრცე ჩამოყალიბდა, რომლისკენაც მილიონობით ადამიანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაემურა. 1961 წლიდან ევროპაში მიმდინარე მიგრაციული პროცესის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე თურქეთი გახდა, რომელმაც დასავლეთ გერმანიასთან ორმხრივ შეთანხმებას მოაწერა ხელი თურქი მუშების გაგზავნის შესახებ, მაგრამ „სტუმარი“ მუშები ევროპაში შეუზღუდავი დროით „ასახლებულ ემიგრანტებად“ იქნენ. თურქი მიგრანტთა უცხო კულტურულ სივრცეში მოხვედრამ წარმოქმნა ეროვნული და რელიგიური იდენტურობის დაპირისპირება ევროპულ კულტურასთან, რამაც განაპირობა თემის დახურულობა, რომლითაც ისინი სხვა ეთნიკური წარმოშობის ემიგრანტებისგან განსაკუთრებით გამოირჩევიან. მათ დასავლეთ ევროპაში მოახერხეს ისლამის რეანიმაცია, რომელსაც მოჰყვა მეჩეთების მოწყობა-აგების ზუმი და რელიგიურ-პოლიტიკური საზოგადოების შექმნა.

Religious aspects of migration of Turks in Europe

Student	Ana Nadiradze GTU, Faculty of Law and International Relations, Master of course I.
Head	Nana Bakhsoiliani Doctor of History, Associate Professor

After the Second World War, the Federal Republic of Germany and its Western neighbors suffered an economic boom. Industrialization has generated permanent and seasonal jobs guaranteed in these countries. For the 1950s, Western Europe became the largest recipient of space for millions of people in order to improve their economic situation. From 1961, Turkey became one of the most active participants in the migration process in Europe, which signed a bilateral agreement with West Germany on sending Turkish workers, but "guest" workers became "settled emigrants" in Europe. Foreign immigrants from foreign immigrants have created a national and religious identity confrontation with the European culture, which has led to the closure of the topic by which they are particularly distinguished from other ethnic origin emigrants. In Western Europe they managed to re-establish Islam, followed by the boom and build-up of mosques and the creation of a religious-political society.



რეალიზმის ახალი ტალღა საერთაშორისო ურთიერთობებში

სტუდენტი	ვლადიმერ კინძობე სტუ, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი მაგისტრატურა, პირველი კურსი
ხელმძღვანელი	გიორგი ჩხიკვიშვილი სრული პროფესორი

კრიზისები ახალი ფენომენი არ არის თუმცა თუ ვინმეს ეგონა რომ პროგრესი შეუქცევადი პროცესია და ევროკავშირით ან ლიბერალური დემოკრატიების შექმნით მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა ახლა თუ არა მაღიან მალე მოუწევს ახალ რეალობას გაუსწოროს თავალი. კაცობრიობა ვერასოდეს მივა განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც ომი როგორც მოვლენა აღარ იარსებებს, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- 1) ადამიანის ბუნება კონფლიქტურია.
 - 2) კონკურენცია და ბრძოლა რესურსების გადანაწილებისათვის ბუნებრივი მოვლენაა.
 - 3) ერთი მხარე რაც არ უნდა მონდომებული იყოს რომ მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს მეორესთან ვერ იქნება დარწმუნებული მეორე მხარის იგივე სურვილში ამდენად ის იბუღებულა ქონდეს თავდაცვის საშუალებები.
- ზემოთ განხილული მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს და ხსნის რეალიზმის ახალი ტალღის აღზევებას საერთაშორისო ურთიერთობებში. ლიბერალიზმი კიდევ ერთხელ მარცხდება რეალიზმის წინააღმდეგ ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მალე ისეთი ამკარა გახდება, რომ თავად ლიბერალიზმის მომხრეებს მოუწევთ ამის აღიარება.

The new wave of realism in international relations

Student	Vladimer kindzodze GTU, Law and international relations, master, first course
Head	Giorgi Chkhikvishvili Full professor

Crises are not a new phenomena but if someone thought that progress is inconvertible and the world went on to the new stage by establishing of EU or Liberal democracy if not now very soon will have to face new reality.

The mankind will never reach the stage of developing, where the war will not exist as the phenomena and what is the most important, is that, the importance of military forces will be reduced. There are some reasons of that:

- 1) The nature of human being is conflicting.
- 2) Rivalry and struggle because of redistributing resources is as natural process as the fact that the human live on air.
- 3) One side's strong desire for peaceful relationship to an other side, it can not be sure that second side's desire is the same.

The questions we talked about make it clear and explain the arising wave of realism in international relations. Liberalism once again defeats against realism. This process is already started and it will be as clear that supporters of liberalism will have to admit.



„საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე ევროპაში: აქცენტები, გამოწვევები და პრობლემები“

სტუდენტი ელისო გუმბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსი.

ხელმძღვანელი სოფო ჩქოპოია
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ევროპაში ტერორიზმის პრობლემა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საერთაშორისო დონეზე აღნიშნულ საკითხს უდიდესი ყურადღება ეთმობა, რაც გამოწვეულია იმით რომ თავად ტერორი როგორც ზრდილის ერთერთი საშუალება ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში და უდიდეს მასშტაბებს აღწევს. შესაბამისად მნიშვნელოვანია გავვინოთ და შევისწავლოთ საერთაშორისო ტერორიზმის იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, ფაქტებზე დაყრდნობით გამოვკვეთოთ ტერორიზმის სახეები და მოვახდინოთ ანალიზი. კერძოდ შევისწავლოთ მისი გამოწვევი მიზეზები, მიზნები და ვაჩვენოთ რა თავისებურებები ახასიათებს ტერორიზმს ევროპაში.

“International terrorism in modern Europe: accents, challenges and problems”

Student Eliso Gumberidze
Georgian Technical University
Faculty of Law and International Relations, Master's Studies, II course

Supervisor Sopo Chkpoia
Faculty of Law and International Relations, Associated Professor

Problem of terrorism is one of the main challenges in modern Europe. The biggest attention is attended to this issue on international level that is caused by the reason that terror itself, as one of the means of battle, is widely used in the world and it has the biggest levels. Accordingly, introducing and studying of ideological and psychological factors of international terrorism, emphasizing types of terrorisms and analyzing it based on the factors, privately studying its causing reasons, aims and showing what peculiarities are characterized to terrorism in Europe, is very important.



ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი - სირიის ომი

სტუდენტი	თამარ სამხარაძე სტუ, ზიზნეს ინჟინერიზის ფაკულტეტი, მაგისტრატურა, II კურსი
ხელმძღვანელი	ეკა ზუზრაშვილი ასოცირებული პროფესორი

ჯერ კიდევ რამდენიმე წლით ადრე სირიაში, ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ჯგუფები ძლიერდებოდნენ, რის შედეგადაც სხვადასხვა რეგიონში თავს იჩენდა დაპირისპირების პირველი ნიშნები. 2011 წელსკი, ეს ყველაფერი ფართო მასშტაბიან, მრავალმხრივ კონფლიქტში გადაიზარდა, სადაც სულ უფრო რთული ხდებოდა მტყუნ-მართლის გარჩევა. კონფლიქტი რომელიც სრულ მასშტაბიანი სამოქალაქო ომის სახით დღემდე გრძელდება, უკვე ჩაითრა არაერთი სახელმწიფო. სამთავრობო ძალების მხრიდან ძალადობამ და ჯიჰადისტების გაძლიერებამ, მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული კრიზისი შექმნა სირიაში. ქვეყნიდან 4 მილიონზე მეტი ადამიანი გაიხიზნა ახლომდებარე სახელმწიფოებში. იქ მომხდარმა ამბებმა ევროპა ძალიან შეაშფოთა, რის გამოც ისინი გაეროსა და ევროკავშირს ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ. ერთობლივ განცხადებაში საფრანგეთმა და იტალიამ მოითხოვა სირიის ხელისუფლებაზე ზეწოლის გაძლიერება. საბოლოოდ ევროკავშირმა სირიას დაუწესა სანქციები, მისი ხელისუფლების მიერ ანტი სამთავრობო დემონსტრანტების მიმართ ძალის გადამეტებული გამოყენების გამო.

Middle East conflict – War in Syria

Student	Tamar Samkharadze GTU, International Relations faculty, II Level of Master
Head	Eka Bukhrashvili Associate Professor

Several years ago in Syria, groups with animosity to the sovereignty got power, in result in different regions appeared first signs of confrontation. In 2011 all these turned into a wide, many-sided conflict, and it become very difficult to distinguish from each other the wrong and the right. The conflict, which is continued till nowadays as civil war, involved many state. The governmental violence and the force of jihad made a considerable humanitarian crisis in Syria. More than four million people migrated to a nearby state. Those news made Europe worried, and they asked UNO and European Union to make arrangement. France and Italy made a common statement for bringing pressure upon Syria. For good European Union established ratifications for Syria, because of violence upon non-governmental demonstrators.



**რელიგიის თავისუფლების საკითხი თანამედროვე საქართველოში
(ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობა)**

სტუდენტი თამარი ხარატიშვილი
ხელმძღვანელი სტუ, საერთაშორისო ურთიერთობები, მაგისტრატურის მე-2 კურსი
მანანა დარჩაშვილი
ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია, საქართველოში არსებული მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით. გაშუქებულია, ის ნორმატიული აქტები, რომლებიც სამართლებრივად აწესრიგებს სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობებს, მათ შორისაა საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო კონვენციები. ხაზგასმულია, ტოლერანტული გარემო, რომელიც ისტორიულად სუფევს საქართველოში რელიგიური უმცირესობების მიმართ, შესწავლილია მათი უფლებები და მდგომარეობა. გაანალიზებულია, რელიგიის როლი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა და სახელმწიფოს ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. თემაში ასევე მოცემულია, სტატისტიკური მონაცემები საქართველოში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა დემოგრაფიის, სკოლებისა და სალოცავების შესახებ. ნაშრომის ბოლოს შეჯამებულია, მკვლევართა და პოლიტიკოსთა მოსაზრებები რელიგიის როლის შესახებ, თანამედროვე ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში.

**The issue of freedom of religion in modern Georgia
(Georgian and international legislation)**

Student Tamari Kharatishvili
GTU, International Relations, 2nd year of Master's Degree
Head Manana Darchashvili
Associate Professor

The paper deals with the situation in Georgia in terms of freedom of religion. The work discusses the normative acts governing the legal relationship between the state and religion, these include the Constitution of Georgia and the International Conventions. The work emphasizes the tolerant environment that historically exists towards religious minorities in Georgia, studies their rights and conditions. The study analyzes the role of religion in the formation of the Georgian democratic state and the establishment of state institutions. The thesis also provides statistical data on demographic situation, schools and Chapels of religious minorities in Georgia. And finally, the paper summarizes the views of researchers and policy-makers about the role of religion in the formation of the modern Georgian democratic state.



სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი

სტუდენტი თორნიკე არევაძე
 სტუ. ზიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი, მაგისტრატურა, II კურსი
ხელმძღვანელი ეკა ბუხრაშვილი
 ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი შეეხება სამხედრო კონფლიქტებს კავკასიაში და კერძოდ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს. სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ, რუსეთისა და საქართველოს ზოლშევიკური ხელმძღვანელობის წყალობით, რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახკომსაბჭოს დეკრეტით 1922 წლის 20 აპრილს. 1989 წლის აპრილში ოსმა სეპარატისტებმა მოითხოვეს „ორი ოსეთის“ გაერთიანება. 1990 წლის სექტემბერში კი „სამხრეთ ოსეთი“ სუვერენულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ამის საპასუხოდ, 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენული რესპუბლიკა. 1991 წელს დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები. ერთი წლის შემდეგ, შედგა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ამოქმედდა ეუთოს მისიის მანდატი.

South Ossetian Conflict

Student Tornike Arevadze
 GTU. International Relations
 Master's II course
Head Eka Bukhrashvili
 Associated Professor

The report covers military conflicts in the Caucasian region, namely the conflict of South Ossetia. The South Ossetian Autonomous Oblast was created within the former Georgian Soviet Socialist Republic owing to the Russian and Georgian Bolshevik authorities on the basis of the decision of the Caucasian Bureau of the Central Committee of the Russian Communist Party, the decree the Soviet Georgian Central Executive Committee and Georgian Council of People's Commissars on April 20, 1922. Its establishing as an autonomous region was against the interests of Georgian people. In April 1989 Ossetian separatists demanded uniting so called "Two Ossetias". In September 1990 the South Ossetia was declared as a sovereign republic. In response, the Supreme Council of the Republic of Georgia abolished the sovereign Republic of South Ossetia on December 11, 1990. In 1991 military collisions commenced. After one year, a ceasefire agreement was signed and a mission of the Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE) was set up.



**ლობიზმი, როგორც საზოგადოებრივ-
პოლიტიკური მოვლენა, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობები**

სტუდენტი	რუსუდან ლომიძე სტუ, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის II კურსი
ხელმძღვანელი	მაია ამირგულაშვილი ასოციირებული პროფესორი

ლობიზმი დიდი ხანია თითქმის ყველა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. თანამედროვე დემოკრატია უბრალოდ წარმოუდგენელია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების შეთანხმების, თავისუფალი გამოხატვისა და კონკურენციის გარეშე. ნაშრომი შეეხება ლობიზმის დეფინიციას და მისი შინაარსობრივი ასპექტების ანალიზს, ლობიზმის აღმოცენებისა და განვითარების პირობებს, ლობიზმის მახასიათებელ ძირითად ნიშნებს, მის პოლიტიკურ და სამართლებრივ ასპექტებს, ლობიზმისა და „დაინტერესებული ჯგუფების“ ურთიერთ მიმართების საკითხებს, ასევე განხილულია ლობიზმის განხორციელების პროცესში საჯარო ინტერესების დაცვის პირობები, მიმოხილულია საჯარო ინტერესების ფორმირების თაობაზე არსებული შეხედულებები, საჯარო ინტერესების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები, ასევე განხილულია საჯარო ინტერესების დაცვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამდებობის პირთა ქვეყნის წორმები და მათი საქმიანობის პირობები.

Lobbyism as a socio-political event, its formation and development conditions

Student	Rusudan Lomidze GTU, The Master of International Relations, 2nd Course
Head	Maia Amirgulashvili Associated Professor

Lobbyism has become a part of almost every country's political life for a long time. Modern democracy is simply incredible without the consensus of the interests of different groups of society, free expression and competition. The work deals with the definition of lobbyism and analysis of its content aspects, conditions for the emergence and development of lobbyism, the main characteristics of lobbyism, its political and legal aspects, the issues of the relation of lobbyism and "interest groups". There is also discussed the conditions of protection of public interests in the process of lobbying. It surveys the views on the formation of public interests and institutional mechanisms for protection of public interests. The norms of behavior of public officials and their working conditions in the process of protecting the public interests and making a decision are treated as well.



საბჭოთა კავშირის დაშლა და გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში

სტუდენტი ქეთევან ვაშაკიძე
სტუ. საერთაშორისო ურთიერთობები
მაგისტრატურის მე-2 კურსი

ხელმძღვანელი მაია გურამიშვილი
ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან ერთ-ერთი ზესახელმწიფოს და სხვა სოციალისტური ქვეყნების გაქრობამ, გამოიწვია როგორც მსოფლიო პოლიტიკური რუკის, ისე გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები, რამაც სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეპოქას. წარმოიშვა ძალთა ახალი ცენტრები, რომელთა შორის დაპირისპირებამ, ხსენებულ სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტური კერები შექმნა.

კავკასია გასული საუკუნეებიდან მოყოლებული, დღემდე გეოპოლიტიკური თამაშის ობიექტია. რომლის უპირატესობას გეოგრაფიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავს. რეგიონის მიმართ ინტერესი თანდათან უფრო იზრდება, რადგან „ენერჯო თამაშების“ ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა.

სამხრეთ კავკასიაში „ძირითადი მოთამაშე“ ქვეყნების გარდა, მასზე გლობალური და გეოსტრატეგიული ინტერესები გამოცხადებული აქვთ რუსეთსა და აშშ-ს. მათი ინტერესები მნიშვნელოვნად დაუპირისპირდა ერთმანეთს, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორს არ უკავშირდება, არამედ გულისხმობს ამ ქვეყნების ინტერესების გატარებას.

Disassemble of Soviet Union and Geopolitical situation in South Caucasus

Student Ketevan Vashakidze
GTU. International Relations
Master's II course

Head Maia Guramishvili
Associated Professor

Disappearing one of the super-state and other socialist countries from political map of the world, caused political map of the world and geostrategical changes. It headed up new epoch of International Relations. New centres of forces have arisen and controversy between mentioned area created political, economical, ethnic and religious conflict hub.

From the past century, Caucasus is object of geopolitical game till today. Its advantage is conditioned with geographical location. Interests of the region is gradually growing, due to it has great importance in "Energy Games" epoch.

Except of "basic gamers" in South Caucasus, Russia and USA have announced their interests. Their interests challenged each other, which don't connect only economical factor, but also to spent their interests of these countries.



**აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი,
რუსეთის უსაფრთხოების ინტერესების სფეროში**

სტუდენტი	ნენო გაბელია „ლა საპიენცა“ რომის უნივერსიტეტის დოქტორანტურის მესამე კურსის სტუდენტი, იტალია.
ხელმძღვანელი	იგორ კვესელავა სტუეს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.

The role of the enterprise financial service, functions and modern instruments

student **Samson Darchia**
 GTU, faculty information systems
Head **Medea Tevdoradze - professor**

Nowdays financing and management are one of the most important directions of modern company activity and the report is characterized by the financial functions of the company and its structure. It is noted that financial services may be unified units such as: accounting, hiring, reporting and other departments. Modern business is known, that it relies on process-oriented management, this also applies to financial activity and my work is characterized by general business processes, there are described classification of business processes, which are usually associated with financial activity. In addition, the work is characterized by modern information technologies, which are used in financial activities, describes: ERP systems, business planning and budgeting, statistical and analytical systems, special attention is paid to business analysis systems (BI).



გეიმიფიკაცია ტექნოლოგიაზე-დაფუძნებულ სწავლებაში

სტუდენტი ქეთევან მამათელაშვილი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
დოქტორანტურის განყოფილება

ხელმძღვანელი თამარ ლომინაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

წარმოდგენელ საკონფერენციო ნაშრომში განხილულია გეიმიფიკაციის მიდგომების გამოყენება ტექნოლოგიაზე-დაფუძნებულ სწავლებაში. სიმულატორი, როგორც კომპიუტერული თამაშების ჟანრი, რომელშიც მოდელირებულია ან/და იმიტირებულია გარკვეული ქმედებები, ქცევა და რეალური სამყაროს ობიექტები. მისი საშუალებით ხდება სასწავლო პროცესების წარმართვა უფრო მიზნიდველ, გასაგებ და საინტერესო გარემოში. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სასოფლო-სამეურნეო სიმულატორის საშუალებით საკვირო უნარ-ჩვევების შეგნისა და მათი განვითარების პროცესი(სქემა).

გარდა ამისა ყურადღება არის გამახვილებული სწავლების პროცესში მოტივაციის მამოძრავებელი წარმართველი ფაქტორების ძიებასა და მათ შემდგომ გაძლიერებაზე, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის მიმართ ინტერესის გაზრდა. ასევე ხდება შეფასება სასწავლო პროცესში მოტივაციის მამოძრავებელი ძირითადი წარმართველი ფაქტორების ე.წ. ოქტალიზის საფუძველზე.

Gamification in Technology-Enhanced Learning

Student Ketevan Mamatelashvili
GTU, Faculty of Informatics and Control systems, PhD

Head Tamar Lominadze
Candidate of Technical Sciences, Professor

In the represented usage of gamification approaches in technology-enhanced learning is discussed. There is discussed a simulator, as a computer game genre, modeled and / or imitated some actions, behavior and real world objects. It enables learning processes in a more attractive, intuitive and interactive environment. The present work deals with the acquisition and development of the skills required by the agricultural simulator.

Furthermore, attention is paid to the motivation driving factors in the teaching process and further strengthening of the pedagogical factors in order to increase interest towards the learning process. It also assesses the main motivation driving factors on the bases of so-called Octalises.



მართვის ავტომატიზირებული სისტემების სექცია

**"მონაცმთა მეცნიერებისა" და "მანქანური სწავლების"
გამოყენება კიბერ უსაფრთხოებაში**

სტუდენტია : ვთანდილ ბიჩნიგაური
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ბაკალავრიატი, IV კურსი.

ხელმძღვანელი ბადრი მეფარიშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
კორნელი ოდიშარია
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი

სამყაროში ადამიანებთან ერთად არსებობენ მანქანები. ადამიანები სწავლობენ წარსული გამოცდილებიდან, მანქანები ასრულებენ მითითებულ ინსტრუქციებს. ჩნდება კითხვა, შეუძლიათ მანქანებს ადამიანებივით ისწავლონ საკუთარი გამოცდილებიდან? - რა თქმა უნდა, შეუძლიათ. ამ შემთხვევაში გამოცდილებაში იგულისხმება მონაცემები, რომელიც წინასწარ უნდა იქნეს მომიხვეული "მონაცმთა მეცნიერების" ერთ-ერთი ქვედარგის, "მონაცმთა მოპოვების" პროცესის საშუალებით. მონაცმთა ანალიზის ანუ "მანქანური სწავლების" შედეგად თამამად შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილებები მომავალი მონაცემების შესახებ. "მანქანური სწავლების" დაწერვა შესაძლებელია კიბერ უსაფრთხოების საკითხებშიც. მაგალითად, ვებ-გვერდების სანდო და საეჭვო მისამართების გადასამოწმებლად, ანტივირუსული სისტემების შესაქმნელად, საიმედო პაროლის გენერირებისათვის და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი, რომელიც ჩემ მიერ იქნა შემუშავებული, განხილული იქნება პრეზენტაციაზე.

**Using "Data Science" and "Machine Learning"
in Cyber Security**

Student Avtandil Bichnigauri
GTU, Faculty of Informatics and Management Systems,
Bachelor, Course IV.

Head Badri Meparishvili - Candidate of Technical Science, Professor
Corneli Odisharia - Candidate of Technical Science, Associate Professor

In the world there are humans and machines. Humans learn from past experiences, machines perform the specified instructions. The question arises, can machines learn from their experiences as humans? - Of course, they can! In this case, experience means the data that should be retrieved by one of the subdivisions of "Data Science", through the "Data Mining" process. As a result of data analysis or "machine learning", we can take decisions about future data. The introduction of "machine learning" can also be implicated in cyber security issues. For example, to verify reliable and suspicious addresses of websites, create anti-virus systems, generate reliable password, etc. All the above examples, which I have developed, will be discussed at the presentation.



**მონაცემთა ბაზის აგების პროცესის ავტომატიზაცია
MsSQL Server-ისთვის**

სტუდენტი	თეონა ილაშვილი, ფარნაოზ ლაბაძე სტუდენტთა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ბაკალავრიატი, 3 კურსი
ხელმძღვანელი	გია სურგულაძე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

განხილულია კორპორაციულ და კორპორაციათაშორის სისტემებში ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე საშუალებები მათი ინტეგრაციის მიზნით. მოცემულია კორპორაციათაშორის ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა ბაზების ობიექტ-როლური მოდელირების ამოცანა და მისი გადაწყვეტა. შემოთავაზებულია სხვადასხვა საფინანსო სტრუქტურებს შორის განაწილებული, ლოგიკურად ერთიანი მონაცემთა ბაზის აგების კონცეფცია სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის საფუძველზე. შედეგები რეალიზებულია ვებ-აპლიკაციების სახით Ms Visual Studio.NET პლატფორმაზე Natural ORM Architect მოდელირების პროგრამული ინსტრუმენტისა და Ms SQL Server პაკეტის გამოყენებით.

**AUTOMATION OF DATABASE DESIGN AND CONSTRUCTION
PROCESS FOR MsSQL SERVER**

Student	Theona Ilishvili, Pharnaoz Labadze GTU, Faculty of Informatics and Control Systems, Bachelor, Course 3
Head	Gia Surguladze Doctor of Technical Science, Professor

The work considers modern means of information exchange on the basis of their integration in the enterprise and inter-enterprise systems. Object-Role Modeling (ORM) problem for intercorporate automated systems and its implementation is considered in the article. The creation concept for the distributed databases for various financial structures on the basis of Service-oriented architecture is offered. The web-application forms on Ms Visual Studio.NET platform by The NORMA software and Ms SQL Server package are realized as a result.



**„სასწავლო აღრიცხვის სისტემა“
აღწერილი UML2- Unified Modeling Language დიაგრამების საშუალებით**

სტუდენტი	თინათინ შოგირაძე სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ბაკალავრიატი, III კურსი
ხელმძღვანელი	გულბათ ნარეშელაშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი მარინა ბიტარაშვილი საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მოწვე. მასწავლებელი

ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი ფაქტები, რისი აღწერა შესაძლებელია როგორც ადამიანის, ისე მანქანის მიერ. დღესდღეობით კომპიუტერულმა და ზოგადად, მანქანურ სისტემების შესაძლებლობებმა იმდენად მაღალ დონეს მიაღწია, რომ კომპიუტერები უკვე თითქმის ადამიანებისთვის „საუბრობენ“ და აღწერენ პროცესებს. კომპიუტერებისთვის ეს სირთულეს უკვე აღარ წარმოადგენს. მათ მრავალი მეთოდით შეუძლიათ პროცესის აღწერა, სისტემების დაპროექტება, ვებ-საიტის მუშაობის პრინციპის აღწერა. ეს არის სპეციფიკური დიაგრამები, ნოტაციები, პროგრამირების ენები და ა.შ. თავისი პროგრამული უზრუნველყოფით. პრეზენტაციაზე მინდა წარმოვადგინო სწორედ კომპიუტერული დიაგრამებით აღწერილი პროცესი. წარმოვადგენ „სასწავლო აღრიცხვის სისტემას“ UML2- „Unified Modeling Language/ უნიფიცირებული მოდელირების ენის“ ბოლო ვერსიის დიაგრამების საშუალებით.

**Using UML2- Unified Modeling Language Diagrams
in “a system of a store registration”**

Student	Tinatini Shogirdze GTU, Faculty of Informatics and Management Systems Bachelor, Course III.
Head	Gulbaat Nareshelashvili Candidate of Technical Science, Professor Marina Bitarashvili – PHD Engineering Science, Invited lecturer

In our life, very often we break off things, that can be described as by humans, as well as by machines. Today's computer or machine opportunities have reached insomuch high level that computers can almost “speaking” like humans and describe processes. That is not already a complication for computers. They can describe processes in many different methods, system management, describing of web-program working. Those are specified diagrams, notations, programming languages etc. with their programming maintenance. I want to present the process in this presentation described with computer diagrams. I will present “the system of a store registration” described with the end version of UML2 – Unified Modelling Language diagrams.



RFID და უსადენო სისტემების უსაფრთხოების დონე საქართველოში

სტუდენტი	კონსტანტინე მილორავა სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ბაკალავრიატი, IV კურსი
ხელმძღვანელი	ნინო თოფურია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი

სტატიაში შემოთავაზებულია უსაფრთხოების დონის აღწერა თბილისის მეტროპოლიტენის მაგალითზე. 2005-2006 წწ. თბილისის მეტროპოლიტენში გამოიყენებოდა ელექტრონული ბარათები Mifare Classic, რომლის „გატეხვაც“ მაშინ შეუძლებელი იყო. 2008-2010 წწ დღეს ნებისმიერს შეეძლო მონაცემების კლონირება. ზოლო დროს, მეტროპოლიტენმა შემოიტანა ახალი ტიპის ბარათები, რომლებიც ამ სუსტი წერტილით ვერ ტყუვდებიან, თუმცა მათ არ შეუძლიათ ბარათის „გასაღებები“ და ინფორმაციის კლონირება დღეს ისევ შესაძლებელია. სტატიაში განხილულია ამ სისტემის მოწყვლადი ადგილები და დაცვის საშუალებები. შემოთავაზებულია უსადენო სისტემების უსაფრთხოების სისტემებთან სამუშაო გარემოები, კერძოდ Arduino IDE გაერეშო, საიდანაც ხდება მოწყობილობაში დაწერილი პროგრამის ჩატვირთვა; ACR122U - მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ ბარათების ჩაწერა წაკითხვისათვის. Audacity - აუდიო ფაილებთან სამუშაო პროგრამა, mfcoc, mfcuak და nfcutils - უტილიტები, რომლებითაც შესაძლებელია ბარათის სუსტი წერტილების აღმოჩენა, მონაცემების კლონირება და შეცვლა.

RFID and Remote control systems security level in Georgia

Student	Konstantin Milorava GTU, Faculty of Informatics and Management Systems, Bachelor, First Course
Head	Nino Topuria Candidate of Technical Science, Associate Professor

The article describes the level of safety of the Tbilisi Metropolitan. In 2005-2006, the Metropolitan of Tbilisi moved from the system of ketones to electronic card systems. By that time Mifare Classic cards were safe and no known method was known for "hacking". However, in 2008-2010 researchers discovered that Mifare Classic can be cloned easily. Recently, the Metropolitan introduced new types of cards that have no vulnerability, but they did not change the card's "keys". The article discusses the vulnerable places and protection tools of this system. Tools that I needed are - Arduino IDE – environment where user writes code and burns to microcontroller; ACR122U - A device that is intended to read/write card's information. Audacity - a free audio editing. Mfoc, mfcuak and nfcutils - utilities that help us to find weak points, write, erase and replace data through ACR122U.



**ზოგიერთი რეკომენდაცია
ექსტრემალური დაპროგრამების პარადიგმის სრულყოფისათვის**

სტუდენტი	მარიამ მარდიშვილი სტუ. ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, IV კურსი, ჯგუფი 108340
ხელმძღვანელი	გელა გვინეფაძე ტ. შ. კ., აკადემიური დოქტორი, პროფესორი

მოხსენებაში გაანალიზებული არის ის გამოცდილება, რომელიც დაუგროვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრის თანაშრომლებს რიგი კომპიუტერული სისტემების შექმნის პროცესში და მის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, კომპიუტერული სისტემების დამპროექტებლებისათვის მოცემულია რიგი რეკომენდაციებისა, თუ როგორ გახადონ მათ უფრო სრულყოფილი ბიზნეს პროცესების ავტომატიზებისათვის გამოიზნული კომპიუტერული სისტემების შექმნის საშუალება.

**SOME RECOMMENDATIONS
FOR IMPROVING EXTREME PROGRAMMING**

STUDENT	MARIAM MARGISHVILI GTU, FACULTY OF INFORMATICS AND CONTROL SYSTEMS, BACHELOR, IV YEAR, GROUP 108340
HEAD	GELA GVINEPADZE PH. D., ACADEMIC DOCTOR, PROFESSOR AT GTU

The report analyzes the experience gained by the employees of the Department of Automated Control Systems of the Georgian Technical University in creating a number of computer systems and on the basis of it a number of recommendations are given to designers of systems with the purpose of improving the development of computer systems that automate business processes.



ეკოლოგიური პრობლემის კვლევისა და ანალიზის ამოცანა

სტუდენტები	ნიკა ყარაღაშვილი, ლუკა ოგაძე სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, II კურსი.
ხელმძღვანელი	იოსებ ქართველიშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი

სამყაროში ეკოლოგიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯამრთელობას. აუცილებელია ეკოლოგიის შემსწავლელი ფირმის შექმნა, რომელიც შეისწავლის ეკოლოგიურ მდგომარეობას და გამოიტანს დასკვნას. ასევე შეიმუშავებს მდგომარეობის გამოსწორების გზას, რომელიც დაგეგმვა გარემოს გაჯანსაღებაში. ჩვენს მიერ შემუშავდა ობიექტზე ორიენტირებული მოდელი UML დიაგრამების გამოყენებით. განისაზღვრა ასაგები კომპიუტერული სისტემის ფუნქციური მოთხოვნები, თავისი ბიზნესპროცესებით და ბიზნესწესებით. კერძოდ, აგებული იქნა გამოყენებით-შემთხვევათა დიაგრამა(UseCase Diagram), აქტიურობის დიაგრამა(Activity Diagram), კლასების დიაგრამა (Class Diagram), მიმდევრობითი დიაგრამა (Sequence Diagram), შეიქმნა მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და დამუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც განხილული იქნება პრეზენტაციაზე.

Ecological Problem Research and Analysis Task

Students	Nick Karalashvili, Luka Ogadze GTU, Faculty of Informatics and Management Systems, Bachelor, Course II.
Head	Ioseb kartvelishvili Candidate of Technical Science, Associate Professor

The ecological condition of the world is getting worse day by day, which threatens human health. It is necessary to create an ecology research company that will examine the ecological situation and conclude. It will also work out ways to improve the situation that will help us to improve the environment. We have developed an ecology firm's: Use Case Diagram, Activity Diagram, Class Graph, Sequence Diagram, Database and a Program which works on it, which I will discuss at the presentation



პირადი ინფორმაციის დაცვა სოციალურ ქსელებში

სტუდენტი	ელენა იორამიშვილი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მაგისტრანტი, I კურსი.
ხელმძღვანელი	გულნარა ჯანელიძე საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი

სოციალური ქსელებით სარგებლობისას არაერთი რეალური საფრთხე არსებობს. ნაშრომში წარმოდგენილია თუ როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელი სოციალური ქსელებით სარგებლობისას, რათა პირადი მონაცემები ზოროტუმზარახველს ხელში არ ჩაუვარდეს. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სასურველია, რომ ინტერნეტ მომხმარებელი ყურადღებას აქცევდეს შემდეგ საკითხებს: ელექტრონული ფოსტის სერვისზე რეგისტრაციის დროს ეცნობოდეს კონფიდენციალობის პირობებს; ერთმანეთისგან მოუხსნავდეს სამსახურებრივ და პირად კორესპონდენციას და აწარმოებდეს მათ სხვადასხვა ელექტრონული ფოსტის მისამართიდან; თავს იკავებდეს საეჭვო ტიპის შეტყობინებების და მასზე მიმავრებული ფაილების გახსნისგან, ასევე, მსგავს შეტყობინებებზე პასუხის გაცემისგან; იყენებდეს ფილტრაციის ფუნქციას, სხვადასხვა ვებგვერდებზე რეგისტრაციამდე (მაგალითად, ონლაინ მაღაზიები ან სიახლეების გამოწერა) აფასებდეს მათ სანდობას და ეცნობოდეს კომპანიის კონფიდენციალურობის პირობებს; იყენებდეს ანტივირუსის პროგრამას. წარმოდგენილია საქართველოში სოციალური ქსელით სარგებლობის სტატისტიკური ანალიზი სხვადასხვა კრტიერიუმის მიხედვით Facebook-ის მაგალითზე.

Protection of Personal Information on Social Networks

Student	Elena Ioramishvili GTU, Faculty of Informatics and Management Systems, Student on Master's Degree, 1st.
Head	Gulnara Janelidze PHD Degree in Engineering Sciences, assoc. Professor

There are many real threats in using social networks. In this work it is described how should the customer behave while using social networks in order to prevent personal data from falling into the hands of criminals. In order to protect personal data it is desirable that the Internet user focus on the following issues: be aware of confidentiality conditions during the registration of the e-mail service; To divide personal and work correspondence and send them from different e-mail addresses; avoid opening suspicious types of messages and attached files, as well as answering similar messages; The customer should use the filter function before registering to different websites (for example, online stores or newsletter subscriptions), to estimate their reliability and read carefully the company's privacy conditions; The customer should the antivirus program. The statistical analysis of social networking in Georgia is presented on the example of various criterias on Facebook.



სწრაფი გადახდის სისტემის მოკლე აღწერა

სტუდენტი	სოფიო ქათამაძე სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მაგისტრატურა, I კურსი.
ხელმძღვანელი	ნინო თოფურია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი

სტატიაში მოცემულია თვითმომსახურების ტერმინალების მოლიანი პროცესინგის დეტალური აღწერა კომპანია HTS-ის მაგალითზე. Hizli Tahsilat Sistemleri- მა 2011 წელს შეიტანა ტერმინალები თურქეთში და დღეს უკვე საკმაოდ განვითარებულია. სისტემა გადაწყვეტილია კლიენტ-სერვერ არქიტექტურის ბაზაზე. კომპანიის სერვერი დაკავშირებულია: ერთის მხრივ პროვაიდერების სერვერებთან და მეორეს მხრივ კი ტერმინალებთან. კლიენტი აკითხავს ტერმინალს, აკეთებს მოთხოვნას გადახდაზე, სერვერული კავშირი უდასტურებს შესაძლებლობას, კლიენტი ახორციელებს გადახდას და ღებულობს დასტურს. სტატიაში განხილულია გადახდის აპარატის და პროვაიდერების სერვერის (პროქსი) პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის პროცესი. პროგრამის ინტერფეისი გადახდის აპარატისთვის დაწერილია .Net პლატფორმაზე, პროვაიდერის სერვისის ჯგავაზე, მომხმარებლის სერვისები დამუშავებულია Erlang-ზე, მონაცემთა ბაზა კი SQL Server-ზე. თვითმომსახურების ტერმინალი შედგება ზევი მოწყობილობისგან, როგორცაა: Bill & Coin Acceptors, Bill & Coin Dispenser + Acceptor, Barcode Scanner, Printers, Card Dispenser, Rfid Reader.

Fast Payments System Short Description

Student	Sofio Katamadze GTU, Faculty of Informatics and Management Systems, Master degree of Informatics, First Course
Head	Nino Topuria Candidate of Technical Science, Associate Professor

The article describes a detailed description of self-service terminals throughout the company's HTS model. Hizli Tahsilat Sistemleri introduced its terminals in 2011 and now is quite developed. The system is based on the client-server architecture. The company's server is related to: on one side servers and on the other with terminals. The client asks the terminal to make a request for payment, the server connection confirms the possibility that the client has paid and receives confirmation. The article discusses the process of working with the servers of the payment system and providers server (proxy). Program Interface for the payment system is written on Net Platform, Provider Services - on Java, User Services are processed on Erlang and Database on SQL Server. The self-service terminal consists of many devices such as: Bill & Coin Acceptors, Bill & Coin Dispenser + Acceptor, Barcode Scanner, Printers, Card Dispenser, Pin Pads, Modems, Rfid Reader.



**მულტიმოდალური გადაზიდვების ბიზნესპროცესების
ავტომატიზებული მართვა**

სტუდენტი გიორგი სურგულაძე
სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
დოქტორანტურა, 3 კურსი.

ხელმძღვანელი გიორგი გოგიჩაიშვილი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

განიხილვას მულტიმოდალური გადაზიდვების დინამიკური ბიზნესპროცესების იმიტაციური მოდელების აგების და კვლევის საკითხები პეტრის ქსელების გამოყენებით. ამ მოდელების კონსტრუირება ხორციელდება უნიფიცირებული მოდელირების ენის კლასებისა და მდგომარეობათა დიაგრამების საფუძველზე. შემუშავებულია მულტიმოდალური გადაზიდვების (გემი, რკინიგზა, ავტო- და საჰაერო ტრანსპორტი) საპრობლემო სფეროს სტანდარტულ და არასტანდარტულ მდგომარეობათა (Statechart) დიაგრამები. UML-ის დინამიკური დიაგრამებისა და პეტრის ქსელების გრაფის იზომორფიზმის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აქტიურობათა და მდგომარეობათა მოდელების შესაბამისი ბიზნესპროცესების მახასიათებლების კვლევა პეტრის ქსელებით. იმიტაციური მოდელირება განხორციელებულია PetNet++ და CPN პაკეტებით, ხოლო კლასების პროგრამული გენერაცია Visual Studio.NET 2015-ის პლატფორმაზე.

**AUTOMATED MANAGEMENT OF BUSINESS PROCESSES OF
MULTIMODAL TRANSPORTATION OF FREIGHTS**

Student Giorgi Surguladze
GTU, Faculty of Informatics and Management Systems,
Study Level - PhD, Course -3

Head Giorgi Gogichaishvili- Doctor of Technical Science, Professor

The report presents topics related to construction and research of simulation models for dynamic business processes in multimodal transportation using Petri Nets. Such models are constructed based on class and statechart diagrams of unified modeling language. Standard and non-standard statechart diagrams have been constructed for the problem area of multimodal transportation (sea, rail, motor and air transport). The dynamic diagrams of UML and isomorphism of Petri Nets' graph, it is possible to make research on activity and statechart models using Petri Nets. Simulation will be done using PetNet++ and CPN packages, while software generation of classes - using Visual Studio.NET 2015 platform.



მართვის სისტემების სექცია

LightBall

სტუდენტები	გიორგი ზაქარეიშვილი, ირაკლი ბარათაშვილი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი. ბაკალავრიატი, I კურსი
ხელმძღვანელი	ია მოსაშვილი საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილული „LightBall“-ი შექმნილია გასართობად. ამ თამაშში მოთამაშეს მოცემული აქვს გარკვეული დრო და გარკვეული ქულების რაოდენობა, რომლის დაგროვებაც მოცემულ დროში უნდა მოასწროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თამაშს წააგებს. ეს თამაში გათვლილია როგორც ბავშვებისთვის ისე მოზარდებისთვის.

„LightBall“-ის სტრუქტურის აგებულება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ბურთის მდებარეობის განსაზღვრა (თუ რომელ ხვრელში ჩავარდა ბურთი)
2. ხვრელებისათვის ქულების მინიჭება
3. დროის ათვლის სისტემა

LightBall

Students	Giorgi Zakareishvili, Irakli Baratasvili GTU, Informatics and Control System, Bachelor, I course
Head	Ia Mosashvili Academic Doctor of Engineering Science, Associate Professor

Discussing in this article "Light Ball" is made for fun. In this game player have limited time and scores that he/she have to pile up while time is on, otherwise player will lose the game. This game is calculated as kids as adults.

"LightBall"'s structure is:

1. Determination ball's location (in which hole is the ball).
2. Give personal scores for each hole.
3. Time count system.



მარტივი მოქმედების ოპტიკური კოორდინატორი

სტუდენტი	გიორგი კაკაბაძე საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საინჟინრო ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, მესამე კურსი* ალექსანდრე თოიძე სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ელექტროინჟინერიის ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, მეორე კურსი**
ხელმძღვანელი	გელა ყიფიანი ტენიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ნაშრომში გადმოცემულია ოპტიკური კოორდინატორი გამარტივებული მოქმედების პრინციპით. კონცეფციის არსია, რაც შეიძლება მარტივი ელექტრონიკისა და მექანიკის საშუალებით მოხდეს მზრუნავი პლანერის ფრენის მიმართულების კორექცია. ამისათვის გამოირიგება საჭეების სიბრტყის გადახრა ორივე მიმართულებით და მოდულატორის მრავალი სეგმენტის დახშობა. ნაცვლად ამისა, დაიხშო მოდულატორის ერთი სეგმენტი არასრულად, ხოლო საჭეები გადაიხრებიან მხოლოდ ერთ მხარეს. აღნიშნული მართვის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას პასიური, ნახევრად-აქტიური და აქტიური ოპტიკური თვითდამიზნების თავაკის სისტემაში.

Optical Seeker with Simple Working Principle

Student	Georgi Kakabadze Georgian Aviation University Engineering Major, Bachelor's Degree, Senior Aleksandre Toidze San-Diego State University Georgia Electrical Engineering Major, Bachelor's Degree, Sophomore
Head	Gela Kipiani Technical Science PhD, Professor Deputy Rector in the Field of Science.

The paper presents an optical seeker with a simplified working principle. The concept idea is to correct a rotating airframe's flight path with as few electronic and mechanical components as possible. For that reason the ideas of tilting fins in both directions and using many-segmented modulator reticle was ruled out. Instead, only one segment of the reticle was made opaque and the fins tilt in only one direction. The described guidance system can be used in passive, semi-active and active optical seekers.



Smart Pot

სტუდენტი გიორგი კუცია, ნიკა ყრუაშვილი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
ბაკალავრიატი, II კურსი

ხელმძღვანელი ია მოსაშვილი
საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილული, "Smart Pot" შექმნილია ფლორისტთა და მცენარეთა მოყვარულთათვის. ერთი შეხედვით, მცენარის წყლის საჭირო ოდენობით უზრუნველყოფა საკმაოდ ადვილი საქმეა. მიუხედავად ამისა, ფლორისტთა უმრავლესობისთვის ეს ყველაზე რთული პრობლემაა.

გამომდინარე იქიდან, რომ სხვადასხვა ჯიშის მცენარეებისათვის მორწყვის პერიოდი და წყლის რაოდენობა განსვავებულია, ჩვენ შევქმენით მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებულია ინფორმაცია თითოეული სახეობის მცენარისთვის მორწყვის პერიოდისა და წყლის რაოდენობის შესახებ, რა თქმა უნდა მიწის ტენიანობის განსაზღვრის შემდეგ. მომხმარებელმა აუნდა აირჩიოს ბაზიდან თუ რომელ მცენარეს რგავს საყვავილეში და შემდეგ „Smart Pot“-ის ბაზაზე დაყრდნობით შესაბამის მცენარეს მისთვის საჭირო რაოდენობის წყალს მიაწვდის.

Smart Pot

Students Giorgi Kutsia, Nika Kruashvili
GTU, Informatics and Control System, Bachelor, II course

Head Ia Mosashvili
Academic Doctor of Engineering Science, Associate Professor

Discussing in this article "Smart Pot" is made for florists and plant lovers. At first look it seems easy to provide the plant with the quantity of water necessary for its growth. However, it is the most difficult problem to solve for most of florists.

Due to the fact that each plant requires different time or variety of water, we have created a database where information is available for each species of plant irrigation and water quantity, of course the humidity of soil is also defined. Customers will choose from the base of which plants are in flowering, and then based on the "Smart Pot" base, the appropriate plant will supply the required water to the water.



ფსევდი პოლოგრამების მეთოდი მართვის ციფრული სისტემების სინთეზის ამოცანებში

სტუდენტები	თეონა კაპანაძე, თეიმურაზ გოჩოლეიშვილი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, III კურსი.
ხელმძღვანელი	ნოდარ ნარიმანაშვილი პროფესორი

განხილულია მართვის ციფრული სისტემაში მასხიათებელი განტოლების ფსევდის სასურველი განლაგების შესაძლებლობა რეგულატორის გაძლიერების ცვლილების გზით. მეთოდი რეალიზაცია matlab პროგრამის გარემოში.

**The square hodographs method in the tasks of synthesis of digital
Control systems**

Student	Teona Kapanadze, Teimuraz Gocholeishvili GTU, Informatics and control system, bachelor, III course
Head	Nodar Narimanashvili Professor

It is considered to be the preferred choice of the roots of the dynamic equation in the management digital system by changing the regulator. Method of implementation in the matlab program environment.



ჭკვიანი სახლის დისტანციური მართვა

სტუდენტი	ონისე ონიანი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ბაკალავრი, II კურსი
ხელმძღვანელი	ია მოსაშვილი საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დღევანდელ საზოგადოებაში მეტად აქტუალური და მოთხოვნადია ჭკვიანი სახლი. შესაბამისად შევქმენით დისტანციურად მართვადი ჭკვიანი სახლი, რომლიც მოიცავს შემდეგ ფუნქციებს:

- განათების მართვა
- ფარდების და ფანჯრების მართვა
- კარის მართვა
- დამცავი სისტემის მართვა
- სახლში ჟანგბადის კონტროლი

Distance Control of Smart House

Student	Onise Oniani GTU, Informatics and Control System, II course
Head	Ia Mosashvili Academic Doctor of Engineering Science, Associate Professor

Smart Houses are more actual and salability in today's society. Accordingly, we create project, which called "Distance Control of Smart House". It has follow functions:

- Control of lightning
- Control of curtains and widows
- Control of door
- Control of security system
- Checkup of oxygen in the home



კალორიების მთვლელო

სტუდენტი	სალომე ონიანი სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, მაგისტრატურა, II კურსი
ხელმძღვანელო	ია მოსაშვილო საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დღეს მსოფილოს მამტაბით დგას ჭარბი წონის პრობლემა, ვინაიდან ადამიანები იკვევებიან სწრაფი კვების ობიექტებში და იღებენ ზედმეტ კალორიებს.

ნაშრომში განხილული "კალორიების მთვლელო" ადამიანებს დაეხმარება გააკონტროლონ მირთმეული საკვების კალორიების რაოდენობა.

კალორიების მთვლელის "სტრუქტურის აგება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. საკვების სახეობების ერთმანეთისგან გარჩევა- ამისათვის შევიმუშავეთ მექანიზმი, რომელიც დაეხმარება ჩვეულებრივ ჩანგალს განარჩიოს საკვები პროდუქტები.
2. ჩანგალზე მოთავსებულია მოწყობილობა, რომელიც ივებს საკვების წონას.
3. მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მისი გამოტანა საინფორმაციო დაფაზე.

Calorie Counter

Student	Salome Oniani GTU, Informatics and Control System, Master, II course
Head	Ia Mosashvili Academic Doctor of Engineering Science, Associate Professor

The moment comes in a human's life when he/she begins thinking on calories and tries to preserve weight or loose several kilograms.

"Calories Counter Fork", made by us, will help people to control calories of eaten food.

The structure of the project "Calories Counter Fork" include the follow steps :

Differentiate varieties of food from each other – it is natural that fork cannot make identification of food and counting calories without identification is difficult. That is why we have worked out the mechanism, which will help an ordinary fork to identify food.

Defining weight of food, placed on the fork

Processing of received information and display it on informational board – receiving of information form sensory equipment.



ბიოსამედიცინო ინჟინერიის სექცია

ფრინველის გრიპის ვირუსის გამოკვლევა

სტუდენტი ალექსანდრე ლაბაძე, თორნიკე კახნიაშვილი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემები,
ბაგ- III კურსი
ხელმძღვანელი ზვიად ღურტსკაია
საინჟინრო მეცნიერებათა და მედიცინის დოქტორი

მოცემულ კვლევაში ჩვენ შევისწავლეთ ფრინველის ვირუსის წარმოშობა და გავრცელება მე20 საუკუნის ბოლოდან დღემდე. ჩავატარეთ აფრიკასა და აზიაში გავრცელებული H5N1 ვირუსში არსებული HA გენის ფილოგენეტიკური ანალიზი.

ასევე შევქმენით რეგიონული რუკა თითოეული HA გენისთვის, იმის მიხედვით თუ რომელ გეოგრაფიულ ლოკაციაზე იყო აღმოჩენილი.

Investigating the Bird Flu Virus

Student Aleksandre Labadze, Tornike Kakhiashvili
GTU, Informatics and Control Systems, Bachelor III year
Head Zviad Ghurtskaia
PhD, MD Professor

In this research we investigated the origin of Bird Flu Virus and spreading from the end of 20th century up to today. We performed phylogenetic analyse on the HA gene from H5N1 virus isolated from chickens across Africa and Asia.

Finally, we mapped the geographic locations where each HA sequence was found on a regional map.



მარტივი სამედიცინო კალკულატორი

სტუდენტი	ალი საბა ჰეასიმჯასიმ სტუ ინფორმაციის და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ზიოსამედიცინო ინჟინერია, ბაკალავრიატი I კურსი
ხელმძღვანელი	ზვიად ლურჯაია მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დღესდღეობით მედიცინა ვითარდება ძალიან სწრაფად, და ექიმები უპირისპირდებიან ბევრ გამოწვევებს, დაზოგჯერ მათ ესაჭიროებათ სწრაფი, მარტივი მოწყობილობები თავიანთ სამედიცინო გამოთვლებში დასახმარებლად. აქედან გამომდინარე იდგა შემაჯენა მოწყობილობა ექიმებისათვის რომელიც გამოთვლის კრეატინის დონეს, სხეულის იდეალურ წონას, სწორ CI ინტერვალს, აგრეთვე SIRS, სეფსისს და სეპტიკური შოკის კრიტერიუმს.

Simple Medical calculator

Student	Ali Sabah Jasim Jasim GTU, Faculty of Information and Control systems, Biomedical engineering Bachelor Degree III Course
Head	Zviad Ghurtskaia MDr, PhD Professor

Now days medicine is developing very fast, and a lot of challenges are facing doctors times doctors need quick simple tools to help them in their medical calculations. from designing a tool for doctors to calculate Creatinine clearance, Ideal body weight, com well as SIRS, Sepsis, and Septic Shock Criterias.



რადიაციული საფრთხეები სამედიცინო გარემოში

სტუდენტი

ალი ჯასიმ ჯასიმ, კავა მხეიდე
სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემები,
ბაკ- I კურსი

ხელმძღვანელი

გიორგი გიგლაშვილი
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

დიაგნოსტიკური ვიზუალიზაციის უზარმაზარი სარგებელმა რევოლუციური ხასიათი იქონია თანამედროვე მედიცინაში. ვიზუალიზაციის დახვეწამ და კლინიკურმა ეფექტურობამ გამოიწვია მათი გამოყენების სიხშირის დრამატული ზრდა ბოლო 25 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიაში ატომური ბომბის აფეთქების შედეგად გადარჩენილი მოსახლეობის შესახებ მიღებული მონაცემები და სხვა მოვლენები მიუთითებს იმას, რომ ვიზუალიზაციის აპარატების მიერ წარმოქმნილი მაიონიზირებული გამოსხივება შეიძლება გახდეს კიბოს გამომწვევი მიზეზი, ასეთი სახის პრობლემების სიმწვავის შემცირება შესაძლებელია კვლევის არსებული მეთოდების და მეთოდოლოგიების ოპტიმიზაციის ხარჯზე რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გამოყოფილი რადიაციული დოზის შემცირებას.

Radiation risks in medical environment

Student

Ali Jasim Jasim, Kava Mxeidze
GTU, Informatics and Control Systems, Bachelor I year

Head

Giorgi Gigilashvili
PhD, Professor

The benefits of diagnostic imaging are immense and have revolutionized the practice of medicine. The increased sophistication and clinical efficacy of imaging have resulted in its dramatic growth over the past quarter century. Although data derived from the atomic bomb survivors in Japan and other events suggest that the expanding use of imaging modalities using ionizing radiation may eventually result in an increased incidence of cancer in the exposed population, this problem can likely be minimized by preventing the inappropriate use of such imaging and by optimizing studies that are performed to obtain the best image quality with the lowest radiation dose.



ენდოკაფსულა

სტუდენტი	ვახტანგ გულიაშვილი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ბაკალავრიატი, I კურსი.
ხელმძღვანელი	ანა ფიცხელაური სტუ-ს ასისტენტ პროფესორი

მოხსენების მიზანია ენდოსკოპიის შედარებით ახალი მეთოდის ენდოკაფსულის გაგნობა. ენდოკაფსულა გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ საჭმლის მომწელებელი სისტემა. ენდოკაფსულის მიერ გადაღებული სურათების მეშვეობით შესაძლებელია დიაგნოსტიკა და მრავალი დაავადების აღმოჩენა საჭმლის მომწელებელ სისტემაში. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი გაგნობა და შესწავლა.

Endocapsule

Student	Vakhtang Guliashvili GTU, Informatics and Control systems, GTU Undergraduate, I course
Head	Ana pitskhelauri PhD professor

The purpose of the report is the introduction of the endocapsule of a relatively new method. The endocapsule provides the opportunity to examine the digestive system. Using images made with the help of the endocapsule it is possible to diagnose and detect many diseases in the digestive system. Therefore, it is important to study it.



ქვეიანი სამაჯური

სტუდენტები	საბა კუხალაშვილი, ალექსანდრე ჩაკვეტაძე, ირაკლი უნდილაშვილი სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემები ბაკ- II კურსი
ხელმძღვანელი	ნიკოლოზ ინვია პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

სხეულის ტემპერატურა - ადამიანის ორგანიზმის სითბური მდგომარეობის კომპლექსური მაჩვენებელია, რომელიც ასახავს რთულ ურთიერთობებს სხვადასხვა ორგანოებისა და ქსოვილების სითბოს წარმოებათა შორის და სითბოს გაცვლას მათ და გარემოს შორის. სხეულის ტემპერატურის გაზომვა იძლევა საშუალებას მისი ნორმისგან შესაძლო გადახრის დადგენის საშუალებას და დაავადების გამოვლინებას საწყის სტადიაზე. დაავადების მიზეზის გამოვლინებისთვის ხშირად ატარებენ ტემპერატურის დღე-ღამის მონიტორინგს, როდესაც მას ზომავენ ყოველ 2 - 3 საათში, ღამის საათების ჩათვლით. მომატებული ტემპერატურის დროს (განსაკუთრებულად ბავშვებში) მნიშვნელოვანია, რომ სხეულის ტემპერატურა არ აღემატებოდეს დასაშვებ ზღვარს, რის შედეგად შეიძლება თავის ტვინი დაზიანდეს.

შემოთავაზებული სისტემა იძლევა, როგორც სხეულის ტემპერატურის მონიტორინგის საშუალებას, ასევე ატყობინებს პირებს, რომლებიც უვლიან ავადმყოფს, რომ ტემპერატურამ მიაღწია ან გადააჭარბა დაშვებულ ზღვარს.

Smart bracelet

Students	Saba Kukhalashvili, Aleksandre Chakvetadze, Irakli Undilashvili GTU, Informatics and Control Systems, Bachelor II year
Head	Nikoloz Invia PhD, MD Professor

Body temperature – a complex indicator of the human's body warmth, which describes difficult communication between organs and tissue heat exchanges and heat exchanges between them and the environment. body temperature measuring giving us opportunity of determining possible deviation from the norm and exposing of the disease to the initial stage. Due to the cause of the disease is often observed temperature day-night monitoring, when it is measured in every 2-3 hours, including nightclubs. During the elevated temperature (especially in children) it is important body temperature not to exceed the permissible limit, this may result in brain damage.

The proposed system lets us, not only to monitor body temperature, but also informs the persons, which care for the patient, that temperature reached or exceeded the allowed margin



მრავალარხიანი ეკგ-ის განვითარების პერსპექტივები და შეფასება

სტუდენტები	სეფერდად შანბედი, მიხეილ კიტაევიჩი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემები ბაკ. III კურსი
ხელმძღვანელი	ირინა გოცირიძე პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

არსებობს ელექტროკარდიოგრაფით სიგნალის მიღების ახალი მეთოდები, აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა. ამ პროექტში გვინდა ვისაუბროთ „ტენხას ინსტრუმენტების“ მიერ წარმოებული თანამედროვე ეკგ-ის პროგრამის ზოგიერთი მახასიათებლებისა და დეტალების განხილვაზე, რომელიც აერთიანებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც სავალდებულოა სამედიცინო ელექტროკარდიოგრაფისა და ელექტროენცეფალოგრამის (EEG) პროგრამებში. პროგრამული უზრუნველყოფის ჩიპი, ასახავს თავის დადებითი დაუარყოფით მხარეებს, მათ შორის სამომავლო განვითარების პერსპექტივებსა და შესაძლო პროგრამებს.

Multichannel, simultaneous sampling in ECG, perspectives and evaluation

Students	Sepherdad Shanbedi, Michael Kitaevich GTU, Informatics and Control Systems, Bachelor III year
Head	Irina Gotsiridze PhD, Professor

With a constant innovations in Electrocardiography signal acquisition new methods, hardware and software are being introduced. In this project we would like to discuss some features and details of the modern ECG processor, manufactured by Texas instruments, which incorporates all of the features that are commonly required in medical electrocardiogram (ECG) and electroencephalogram (EEG) applications. The software of the chip is being analyzed, showing its pros and cons, including future development perspectives and possible applications.



ელექტროენცეფალოგრაფია. პრინციპები და სიახლეები

სტუდენტი	ხატია ჯანიაშვილი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ბაკალავრიატი, II კურსი, ჯგუფი 108566
ხელმძღვანელი	ანა ფიცხელაური სტუ-ს ასისტენტ პროფესორი

მოხსენების მიზანია ელექტროენცეფალოგრაფიის პრინციპების გაცნობა, ტვინის სხვადასხვა აქტივობისას წარმოქმნილ ელექტრულ სიგნალებს შორის არსებული განსხვავებების განხილვა და ამ დარგში არსებული უახლესი მიღწევების მსმენელამდე მიტანა.

ტვინი ადამიანის ორგანიზმის ყველაზე რთული და ამოუხსნელი ორგანოა. დღეისთვის ცნობილია რომ მასში ინფორმაცია ელექტრული სიგნალების სახით ვრცელდება. ამ ელექტრული სიგნალების ჩანაწერს წარმოადგენს ელექტროენცეფალოგრაფია (ეეგ). ეეგ მრავალი დაავადების დიაგნოსტიკის საშუალებას იძლევა, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი საფუძვლებისა და მოქმედების პრინციპების ღრმა ცოდნა.

Electroencephalography. Principles and innovation

Student	Khatia Janiashvili GTU faculty of Informatics and Control Systems. Bachelor. Course II
Head	Ana Pitskhelauri, Ph.D. Assistant Professor of GTU

The aim of the presentation is to introduce principles of electroencephalography, to discuss difference between signals during different activity of brain and to present newest achievements in this field.

Brain is the most difficult and the least studied organ is human's body. Nowadays it's known that information in brain is spread by electric signals. EEG is graphic image of those signals. Many diseases can be diagnosed by EEG. That's why it's important to know its basics and principals of how it works.



სამედიცინო ინფორმატიკის EHR-ს სისტემა

სტუდენტი	მუჰამედ საიდ თავანა სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემები მაგისტრატურა I კურსი
ხელმძღვანელი	ირინე გოცირიძე პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

წარმოდგენილია EHR (ელექტრონული სამედიცინო დოკუმენტაცია) სისტემა, რომელიც აგროვებს პაციენტის შესახებ ინფორმაციას. პროგრამა შეიქმნა java ტექნოლოგიისა და ობიექტ ორიენტირებული პროგრამირების გარემოში. EHR-ს სისტემის საშუალებით შესაძლებელია სტატისტიკური ანალიზის ჩატარება. ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული სისტემის არქიტექტურა. ეს არის მონაცემთა ბაზასთან დამაკავშირებელი მაღალი სიჩქარის ტექნოლოგია. EHR - არის საიმედო, ეფექტური და უსაფრთხო სისტემა.

Java technology and ORM (object relational mapping) frameworks in medical informatics HER-s (electronic health records) system

Student	Mohammad Saeid Tavana GTU, Informatics and Control Systems, Master I year
Head	Irina Gotsiridze PhD, Professor

Hers is system which gather patient health information, with HER-s (electronic health records) system we can make statistical analysis in our data to find good information and make good decision for future. So in this article I will talk about java technology and ORM (object relational mapping) frameworks to make reliable and efficient system which has high security, because HER-s system security is most important part of every system. In this article I will talk about which ORM framework. And later I will talk about MVC architecture. For this article I have write simple HER-s system based on java programming and java framework and technologies and oracle RDBMS. And in this article I will talk about hibernate ORM framework which is good and high speed interaction with our database. Also it prevent sql injection attack which is common attack to databases.



კორონარული არტერიების სიმულაციური მოდელი (საღებავის ინექციის სიმულაცია)

სტუდენტი

დონგჰაკი კიმი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემები,

ხელმძღვანელი

დოქტ.- II კურსი
ირინა გოცირიძე
პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

კორონარული ანგიოგრაფი (კა) არის შედარებით უსაფრთხო ინვაზიური პროცედურა კორონარული ანატომიისა და პათოლოგიისათვის. ამ ნაშუშევარში კორონარული ანგიოგრაფის საღებავის ინექციის სიმულაციაა წარმოდგენილია და სისხლის ნაკადის ანიმაცია საღებავის ინექციის შემდეგ. ეს გამარტივებული CA (კა) გრაფიკული სიმულატორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ამ სიმულატორს შეიძლება დაემატოს ბევრი გაფართოება.

Phase Contrast X-Ray Dye Injection Simulation of Coronary Arteries

Student

Donghak Kim
GTU, Informatics and Control Systems, PhD, Iyear

Head

Irina Gotsiridze
PhD, Professor

Coronary angiography (CA) is a relatively safe invasive procedure for coronary anatomy and pathology. In this paper, a simulation of coronary angiography dye injection is presented with focuses on visualization of coronary arteries and animation of blood flow after dye injection. This simplified CA graphic simulator can be used for training medical students. There are many possible expansions to be added to this simulator.



**ვირტუალური ოლიფაცია (Olfaction) (სუნის შეგრძნება)
(სუნის შეგრძნების მენტალური გამოწვევა)**

სტუდენტი	თოჰიდ თალეზიფარი სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემები, დოქ- სკურსი
ხელმძღვანელი	ირინა გოცირიძე პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

დღევანდელი მსოფლიო საინფორმაციო ტექნოლოგიებს ეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია გავაზავნოთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ჩვენი ხმა, ჩვენი სურათები, ჩვენი ვიდეოები, ჩვენი ტექსტური ინფორმაცია. ასევე შესაძლებელია გამოსახულებას რომელსაც დისტანსიულად აგზავნი ინტერნეტით, მაგალითად ყვავილების სურნელი ქონდეს. ოლიფაცია (Olfaction) - არის სუნის შეგრძნება. ეს შეგრძნება ხერხემლიანი ცხოველების ცხვირის ღრუს სპეციალური სენსორული უჯრედების მიერ აღიქმება. არომატების შეგრძნების ვიზუალური მეთოდი ეფუძნება ალფაქტორული ნერვების ელექტრულ სტიმულაციას. სტატიაში სწორედ ამ მეთოდზე ვსაუბრობთ, ექსპერიმენტებში მწერებს იყენებენ. ჩვენ ვიმედოვნებთ რომ თუ მწერებზე ეს მეთოდი გაამართლებს, მას ადამიანის ალფაქტორულ სისტემაზეც გამოიყენებენ.

Virtual Olfaction (Mental inducing smell)

Student	Tohid Talebifar GTU, Informatics and Control Systems, PhD student 1 year.
Head	Irina Gotsiridze PhD, Professor

Today is the word of Information technology. We can send our voice, our images, our videos, our text or maybe we can say that our information overseas. Olfaction, also known as olfactics, is the sense of smell. This sense is mediated by specialized sensory cells of the nasal cavity of vertebrates. Our method for visual sensing of odors is based on electrical stimulation of olfactory nerves. In this article we talk about theory of this method for insects as laboratory sample. We hope that if this method has successful process for insects, in the future we can develop this method for human olfactory system to having a mental inducing smell.



საინჟინრო ფიზიკის სექცია

ანტიგადატვითა

სტუდენტი	გიორგი ქაჩლიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზუსტ და სასუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატი III კურსი
ხელმძღვანელი	გელა კიფიანი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩვენი სტატია ეძღვნება ავია-კოსმოსურ პრობლემას, კერძოდ დიდ სიჩქარეზე მოხვედის დროს გადატვითვა აღემატება დასშვებს, რის გამოც ადამიანი იღუპება. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი სისტემა, რომელიც გადაჭრის ამ პრობლემას. აღნიშნული სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უამრავი, რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ვმუშაობთ ინოვაციურ სამხედრო თვითმფრინავზე და ინოვაციურ კოსმოსურ მოძრაობაზე.

ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელია ისეთი "კურკლის" შექმნა, რომელშიც m მასის სხეულს (ფორმის დაურღვეველად), ყველგან შეღწევად ველში კი, ექნება უმნიშვნელო წონა". თუმცა მეცნიერების ვალია თითქოსდა ყველასთვის ჰემარიტ პოსტულატებშიც კი ეჭვის შეტანა.

ANTI G-FORCE

Student	Giorgi kachlishvili Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Exact and Natural Sciences Bachelor 3 rd year
Head	Gela Kipiani Deputy Rector of the Aviation University of Georgia in scientific field, Scientific Doctor of Technics, Professor

Our article is about aeronautics and space problem. In particular, the ANTI G-FORCE which arises due to the big velocity exceeds safe limit. Our mission is to create such a system, which will solve this problem. This system can be used in a variety of fields, although in this stage we are working under the research in innovative combat airplanes and innovative space travelling.

From one point of view, it is impossible to create such a "machine", where m mass body (irrevocably to the form) goes through even every field, will have "little weight". However the scientist's obligation is to make some suspects in any postulate.



ექსპერიმენტი კლიმატისა და ენერჯის კვლევით ინსტიტუტში

სტუდენტი თათია გონაშვილი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ბაკალავრიატი, III კურსი, ჯგუფი 108470
ბელმბღვანელი ქეთევან კოტეტიშვილი, ტორსტენ ჰოჰაუსი

ჩემი კონფერენციის თემა ეხება ექსპერიმენტს, რომელიც გერმანიის ქალაქ იულიხში Forschungszentrum Jülich სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, კლიმატისა და ენერჯის ინსტიტუტში შედგა. ექსპერიმენტის მიზანი იყო ორგანული ნივთიერების ამონიუმის სულფიდის ორთქლის კონცენტრაციის დადგენა ამონიუმის ნიტრატის პოლიდისპერსულ აეროზოლებთან, რომლის ზომაც მერყეობდა 50 ნანომეტრიდან 500 ნანომეტრამდე, და შედეგების კალიბრაცია. რადგან სხვაექსპერიმენტებისთვის გამოყენებული ყოფილიყო, როგორც ემპირიული მონაცემი. აღნიშნული სამუშაო ითხოვდა გარკვეული დანადგარების გამოყენებას. CPC, SMPS, AMS-კონდინცირებული ნაწილაკების მთვლეელი, ნაწილაკის ზომის მიხედვით სელექციის შემსრულებელი დეტექტორი და აეროზოლური მას სპექტრომეტრი. კომფერენციაზე განვიხილავ ექსპერიმენტის ყველა ეტაპს და მის შედეგებს.

Experiment in the Climate and Energy Research Institute

Student Tatia Gonashvili
GTU, Faculty of Informatics and Control Systems,
Bachelor, III course, group 108470
Head Ketevan Kotetishvili, Thorsten Hohaus

My report is about the experiment that was held in Germany, Forschungszentrum Jülich. Scientific Research Center, in Climate and Energy Institute. The goal of the experiment was to determine Organic substance-Ammonium sulfide vapors concentration with ammonium nitrate, the size of which varied between 50 nm-500nm. and to calibrate the results, because we needed to use empirical datasets for another experiment. This work required the use of certain equipment: condensation particle counter, Scanning Mobility Particle Sizer and Aerosol mass spectrometer. At the conference I will discuss all stages of the experiment and its results.



მაგნიტური ორმო

სტუდენტი ნათია ბერიაშვილი
სტუ. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების
ფაკულტეტი, ბაკალავრიატი, II კურსი.

ხელმძღვანელი ქეთევან კოტეტიშვილი

